


۸۰۳۰

① 3 0 3 6 0

60



წელიწადი პირველი

No VIII

ଓଡ଼ିଆ, ୧୮୯୮

ତୃତୀୟ ପରିବାର

Тип. М.Шарадзе и к°, 1921. № 21. 1898

განვთვილება

I

83.

I	* * — ლექსი.	1
II	უგრალო საუბარი („კრებულის“ ფოსტა)	3
III	ოცდა ორი თებერვალი 1898 წ.	16
IV	გაიძვერები—ხუთ მოქმედიანი კომუდია.	23


განვთვილება

II

V	რიხი-რიხის ხელმიწივი — ზღაპარი, ქართლში, ჩაწერ რილი ვანო ლალიაშვილისაგან	1
VI	შვებადი და ჩალი — ზღაპარი, ჩაწერილი ჯავახეთ- ში გიგო შატბერაშვილისაგან.	5
VII	ხალხური ლექსიზი შეკრებილი კახეთში ჭ. ჩხი- კვაძისაგან.	11
VIII	თბილება თამარ დედოფლივი — ჩაწერილი ცხივვალში თ. ალ. მაჩაბელისაგან.	19
IX	თაგაზურო — ლეგენდა.	21
X	აფხაზები — მასალა ნ. ჯანაშიასი	25
XI	მოწყალე გლილის შვილი — ლეგენდა ხიზაბაერა- ში ჩაწერილი კ. გვარამაძისაგან.	29

Օ Հ Ա Յ Ո Ւ

0 8 0 3 6 0



9555

Բյուլոնից գործակը

№ VIII

Տրօնություն, 1898



ԴՅՈՒՆՈՒՅ

Տպ. Մ. Շարադզե և Կ°. ԱՎԿ. 21. Խճան Վահագին գումար 10 մ., հոյ. № 21.

1898



Дозволено цензурою. Тифлисъ, 25-го марта, 1898 г.

ପାନ୍ତିକ ଓ ଫଳଗ୍ରହଣ

I

୩୩.

I	* * —ଲ୍ୟେଜ୍‌ସି.	1
II	୪୪ହାଲ୍ଲ ବ୍ୟବହାରି (”କ୍ରେଡ଼ିଟ୍“ ଫଳକ୍ରତା)	3
III	ରୂପରୀତି ବ୍ୟବହାରି ୧୯୯୮ ଫଲ	16
IV	ବ୍ୟବହାରି—ବ୍ୟବହାରି କ୍ରମିକା	23

ପାନ୍ତିକ ଓ ଫଳଗ୍ରହଣ

II

V	କୁଳୋ-କୁଳୋର ବ୍ୟବହାରି—କ୍ରମିକା, ପାନ୍ତିକ କ୍ରମିକା ବାନି ଲାଲିଗାଥ୍ୟବିଲିଙ୍ଗିକାଙ୍କାନ	1
VI	ଅଶ୍ଵାଶ ଏବଂ କାଲ୍ପି—କ୍ରମିକା, କ୍ରମିକାକିଲି ଜ୍ଞାନସ୍ଵର୍ଗତି ଶିଖିବା ପାର୍କିଙ୍ଗ ପାର୍କିଙ୍ଗରାଥ୍ୟବିଲିଙ୍ଗିକାଙ୍କାନ	5
VII	ବ୍ୟବହାରି ଲୋକମଧ୍ୟ ପାର୍କିଙ୍ଗରାଥ୍ୟବିଲିଙ୍ଗି କାନ୍ତିକାନ କ୍ରମିକାଙ୍କାନ	11
VIII	ଟକମାଲାର ତାମାର ଏଇନିପାଲିକା—କ୍ରମିକାକିଲି ପ୍ରକାଶକାଳି ତ. ଏଲ. ମାହିଦ୍ବେଲିଙ୍ଗିକାଙ୍କାନ	19
IX	ବ୍ୟବହାରି—ଲ୍ୟେଗନ୍ଡା	21
X	ବ୍ୟବହାରି—ମାସାଲା ବ. ଜ୍ଞାନାଶ୍ଵିତାନ	25
XI	ବ୍ୟବହାରି ବ୍ୟବହାରି—ପାର୍କିଙ୍ଗରାଥ୍ୟବିଲିଙ୍ଗି—ଲ୍ୟେଗନ୍ଡା କିନ୍ତାବାପରାକ୍ରମିକାଙ୍କାନ	29

თვისური „პრეზენტი“

გამოვა ყოველი თვის პირველ რიცხვებში.

წელიწადი ითვლება ენკენისთვიდან ენგენისთვემდე.

„კრებული“ ცალკე ნომრიბით არ გაიყიდება.

ჩედაქცია იღებს დასახმადათ კრიძო განცხადებებს.

წლიური ფასი თბილისში მცხოვრებთათვის 6 მანეთია, ხოლო კავკასიის და რუსეთის სხვა ქალაქებში გაგზავნით.—7 მან. ნა-ზევარი წლით 4 მან.

„კრებულის“ რედაქციაში შემოვიდა ზეპირ-სატელების სასარგებლოთ შეწარულება შემდეგ პითაგან:

	გ.	კ.
მინაჟორა მინას ასული ერგემლიძისაგან	.	50
მელიტონ ლევანის ძე ჩუბინიძისაგან	.	50
ისე საჩინოს ძე ჩუბინიძისაგან.	.	50
ქრისტესია ნიკოლოზის ძე მანაგაძისაგან	1	"
გიორგი ციმაკურიძისაგან	.	50
სოლომონ გიორგის ძე ბაგრატიონისაგან	1	"
გერასიმე თავართქილაძისაგან.	.	1
მალაქია მაქსიმეს ძე თურმანიძისაგან	.	1
ილა ზურაბის ძე მერკვილაძისაგან	1	"
ანა ნიკოლოზის ასული მერკვილაძისაგან	1	"
	7 გ.	80 კ.

ჩედაქცია ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმე-ებისა, დილის 10 საათიდან მეორე საათამდის.

ჩედაქცია არის მთაწმინდაში „მალარა სუდებნაია“ ქუჩაზე, სახლი № 4.

ადრესი: Тифлисъ „Кребули“. Малая Судебная, № 4

★ ★

რაც არ იწევის, არ ჰნათების,
უჩინარათ ლაპება ნელა.
მოდი, დამწევი, სიუკარულო,
მიაშექე, სადაც ბნელა!

ერთი წამიც-კი სიცოცხლის,
თუ სხივების მომფენია,
უსინათლოს და უგრმნობელს
საუკუნოს მირჩევია:

მართალია, მთას რომ ჭათოვს,
თან სიგრილეც ბარში დაჭკრავს;
თავზე თეთრი, თმა ჭალარა
გულს აგრილებს, გრმნობას ჩაგრავს,

მაგრამ ადგილს, ცეცხლის მჯმვენელს,
სადაც დაგავს გეენია,
ეს კანონი საზოგადო
თავიდანვე ასცდენია.

ზოეტის გულს, გახურვებულს,
სადაც ელავს, ღელავს გრძნობა,
რას მოუძლის თბა ჭადარა?
რას დააკლებს ხნოვანობა?

მრწამს სიწმინდე სიუგარულის
ისევ ისე, როგორც მჟელათ,
ჩა გულს ვუგებ საგურთხევლათ,
ზედ სიცოცხლის დასაწველათ!...

თუმც ეს მსხვერპლი საიდუმლო
საიდუმლოთ იწვის, ჰქონდა,
მაგრამ ზოგჯერ ჩუმ ტანჯვაშიც
არის დიდი ნეტარება...



„კრებულის“ ფოსტა

გულ-გრილობაზე უფრო საწყენათ და გულ-საკლა-
ვათ მე არა მიმაჩნია რა და მიტომაც მოხარული ვარ,
რომ ჩვენმა უურნალმა, მწარეთ თუ ტკბილათ, უმეტე-
სობას გულში გაუსისინა. ეს იქიდან ჩანს, რომ დღი-
თი დღე, თან და თან უფრო მეტი წერილები მოგვდის
რედაქტურაში. ბევრი მათგანი გულის წყრომის დროს არის
დაწერილი და ჩვენს კიცხვა-გინებას შეიცავს, მაგრამ
უმეტესობა-კი გულ-წრფელათ გვეკითხება სხვა და სხვა
რამების შესახებ. ყველას რომ პასუხი გავცეთ, შეუძლე-
ბელია და ზოგიერთებს-კი არ დავაგდებთ უყურალებოთ
და წერილის შინაარსსაც აქვე მოვიტანთ:

„ბატონო რედაქტრო! გადავიკითხე თქვენ მიერ
გამოცემული თვიური უურნალი „კრებულის“ IV ნო-
მერი და ახლა უფრო ნათლათ დავრწმუნდი, რომ
თქვენს ბუნებრივ ნიჭს ვირულ მხატვრობაში, ტლინკვა-
ყროყინში მობადლე არა ჰყავს. ღმერთმა მეტი შნო
მოგცეთ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენს ხელის მო-
მწერთა შორის იქნება არიან ისეთნიცა, რომელნიც
„კრებულის“ გამოწერით მოელიან რამეს, და არა ისეთს
ვირის გაკვეთილებს, როგორც თქვენ აწვდით თქვენს
ხელის მომწერლებს. თქვენი ხნისა და ჭალარისა მაინც
გრცხვენოდეთ! სვინიდისიც კაი საქონელიაო, თუმცა
თქვენ ამ ბოლო ხანში იმას ისე უფრთხით, როგორც
ჭირსა!“

„ერთი მკითხველთაგანი“

ბ ა ს უ ხ ი.

გადავიკითხე ეს თქვენი წერილი და უნდა აღვიაროს, რომ რამდენათაც საზოგადოო მეწყინა, იმდენათვე კერძოთ, პირადათ მიაშა. მაგრამ ამას, როგორც ნაწერზე გეტყობათ, თქვენ თქვენდა თავად ვერ გაიგებთ, თუ არ აგიხსენით. საზოგადოო მეწყინა, რომ თქვენისთანა კაცები რეულან ჩვენში, თუმცა იმასაც კი ვფიქრობ, რომ ქართველი არ უნდა იყოთ, და თუ ხართ, უეჭველათ სულით ავათმყოფი იქნებით და ღმერთმა გაგეურნოთ! კერძოთ-კი, პირადათ სასიამოვნოთ მიტომ დამირჩა, რომ ულირსი კაცისაგან ღირსეულათ ვისიმე მოხსენება ისე-თივე შეურაცხყოფაა, როგორათაც ღირსეულისაგან წუნის დადება. ულირსისაგან გმობა თვით ქება-დიდებაა. „მზგაցსმან მზგავსისა თანა განისვენოსო“ — ბრძანებს საღმრთო წერილი. დიახ, ყველას თავისი მზგავსი და შესაფერი მოწონს! თუმცა ზოგიერთების აზრით ის არის მოსაწონი კაცი, ვისაც ავებიცა და კარგებიც ერთნაირათ თანასწორ-კეთილათ იხსენიებენ, მაგრამ მე კი იმას ვაძლევ უპირატესობას, რომელიც კარგ კაცებს უყვართ და აქებენ და იმავე დროს ცუდებს სძულთ და აგინებენ. კაენის ძმობა, პილატეს მოყვრობა და იუდას მეგობრობა, აბა, ვისგან რა სანატრელია?! და ღმერთმა ნურც ჩვენ მოგვიშალოს კარგების მოყვრობა და ცუდების მტრობა-სიძულვილი!...

„ჯერ, სანამდი თანაგრძნობას გამოვიცხადებდე, უნდა აღსარება გითხრა: მე ერთი იმათგანი ვიყავი, დროს რომ მისდევენ და თავის გამოჩენით კმაყოფილი არიან. 3

„სამშობლო“, „მამული“, „გაუმარჯოს საქართველოს“, „მრავალ-ფამიერ“ და სხვანი ყოველთვის ენაზე მეკერა. ქართულ წარმოლგენებს არ ვაკლდებოდი, პირველ რიგში მქონდა სკამი და ჩემი „ვაშა-ვაშას“ ძახილი ქანდარას ნიშანს აძლევდა. საღაც საქველ-მოქმედო კი რამ ყოფილა; მეც იქ პირველი გავჩენილვარ. მამის დანატოვები სამკვიდრო ამაში ხელს მიწყობდა. მტერიც მომადლიერული მყავზა და მოყვარეც. ყველას მოვწონდი და მეც თავი მომქონდა. იტყვის კაცი: ამას მეტი ბედნიერება რაღა უნდაო? მეც მაგ აზრის ვიყავი, თუმცა კი ხშირათ რაღაცა გამოურკვეველი და შეუგნებელი გულზე მკბენდა, თითქო რაღაც მაკლია და შევსება ქვირვებაო. ჩემდა თავად ვერ მივხვდი და მოქმედი კი არსად იყო.

ქუთაისში ცხოვრობს ერთი მეგრელი ქალი. შინ გაზღიულია, ე. ი. გრძნობაცა და გონებაც საკუთარი აქვს, გარეწრობით შეუბლალავი და თავის-თავად, ცხოვრების დაკირვებით ნავარჯიშევი. ერთხელ იმასთან შევედი და ვნახე, რომ წინ რაღაც წიგნი ედვა და კითხულობდა. გულ-მკერდი ებერებოდა, სახე უღელავდა და მღიმარე, მედიდურ სახეზე ცრემლები მოგორავდენ. ვთქვი: აბა ეს არის — მზის ჭიატს რომ იტყვიან მეთქი... დღდ ხანს შევ-ჰყურებდი ხმა ამოუღებლათ და ვტკბებოდი მისი რაღაც მედიდური შვენიერებით. მივხვდი, რომ ამაღლებული გრძნობა ხორციაც აშვენიერებს და სახეს მომხიბლავათ ბეჭდავს... გვიან შემნიშნა და გააგდო წიგნი უკმაყოფილოთ. ჩვეულებრივი მოკითხვის შემდეგ შევიტყვე, რომ, ჰოი, საკვირველებავ, ქართულ წიგნს კითხულობდა და იმას აეღელვებია!... მიმითითა „კრებულზე“ და მკითხა: „როგორ მოგწონს, ბაში-აჩუკის“ საკოლეო?“ მე თვალი დავაქციტე, რადგანაც არგახლდითქიართულობის მო-

ტრფიალე და, როგორც სხვა ჩამ, არც ის წამეკითხა. „წაიკითხეო—მითხრა—დ თქვენიაზრი შემატყობინეთო.“

გამოვართვი წიგნი. მეტი რალა გზა მქონდა, უნდა წამეკითხა თავიღან ბოლომდე, მაგრამ განსაცდელში კი ჩავვარდი!... დიდი ხანია მას შემდეგ, რალაი კი გიმნაზიიდან გამოვედი, ქართული ალარა წამეკითხა და კითხებს გადაჩვეული ვიყავო. დავიწყე ჭაპან-წყვეტით კითხვა, შინ რომ დავბრუნდი. ჯერ თავს ძალა დავატანე, შაგრამ ბოლოს კი ნელ-ნელა წამიტყუა მოთხრობამ და, ერთხელ რომ ალარ ვიკარე, სამჯერ ზედი-ზედ გადვიკითხე და შართლა რომ რალაც უცნობი სიამოვნება ვიგრძენი! ის დღე იყო და ის დღე. იქიდან დაწყებული აქამდე არა თუ „კრებული“, სხვა ქართული წიგნებიც ალარა დამიგდია რა, რომ არ წამეკითხოს. შემიყვარდა კი-თხვა და ახლა კი ვგრძნობ, რომ სამშობლო ნიადაგზე ფეხის დგმა სანატრელი და სამუშაონალო ყოფილა: ნა-კლი შემევსო და ის მოწყენა ანუ ის „სკუკა“, ზოგი-ერთებს რომ ალრჩოს, მე ველარ მექარება. აი, ამას შე-მდეგ ვალდებულათ ვრაცხ ჩემ თავს ვისურვო წარმატე-ბა თქვენი „კრებულის“, როგორც ჩემი საკეთილ-დღეო პირველ მიზეზის და თანვე ვინატრო თქვენი დღეგრძე-ლობაც.“

პ ა ს უ ხ ი.

უმაღლოდეთ იმას, ვინც შოგხილბათ და სასურ-ველ გზაზე დაგაყენათ, თვარა ჩემი ნაცარა „კრებული“ აქამდისაც შეუმჩნეველი დარჩებოდა თქვენგან. თქვენს კმაყოფილებას მეც შევუერთებ ჩემ სიამოვნებას და ვისურვებ, რომ თქვენისთანა უძლები შვილი სხვაც ბევ-

რი დაბრუნებოდეს: მშობლიურ ნიადაგს. პირადადაც მე სასიამოვნოთ დამირჩა თქვენი წერილი: მწერალმა თუ თავისი გრძნობა სხვასაც აგრძნობინა და თავის მღელვარებით სხვაც ააღელვა — კმარა, მეტი რაღა უნდა მას? მაგ ნაირი, შორეული, მხოლოთ წარმოსალგენი თანაგრძნობაა, რომ გულს უმთელებს და ამხნევებს მოღვაწეს, და არა ის გარეგანი ნიშანი თანა-გრძნობისა, რომელიც ხშირათ და უმეტესათ სხვისი ფეხის აყოლით, ტაჭის კურით „ვაშა-ვაშას“ გაიძახის.

3

ზოგიერთები მექატხებიან დ. კ. შესახებ: „რა ვიფიქროთ იმ კაცზე, რომელიც დღეს აქ არის და ხვალ იქმ, ხან ერთს ამტკიცებს და ხან მეორესო?“ და იმ ჩემი პასუხი: მიკვირს კეშმარიტათ, რომ მარტო დ. კ. ამოგილიათ ნიშანში განა ცოტა არიან ჩვენში, რომ ხან მარჯვნივ უვლიან ბუქნას და ხან მარცხნივ? საღილობამდე ერთს გაიძახიან და ნასაღილევს კი მეორეს და მათზე ხმასაც არავინ იღებს!... გასაოცარია ქართველების ქრისტიანობრივი სულ-გრძელობა: რაც უნდა დიდი დამნაშავე იყოს მის წინაშე ვინმე, თუ კი შენიშნა მცირე რამ სინანული, გინდ ის სინანული მოჩვენებულიც იყოს, ყოველივეს მიუტევებს და დაივიწყებს გადასულს! ეს თავის თავად დიდი გრძნობაა, მაგრამ ცხოვრებაში-კი გამოუსადევგარი და მავნებელია. მართალია, საღმრთო წერილი ბრძანებს: „მიუტევეთ და მოგეტევოს-თო“, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ნურც გაუფრთხილდები და ნურც კერძალებით. მაგალითად, შემოვიდა შენს ოჯახში მპარავი და გაგქურდა. უნდა მიუტევო და სამაგიერო არ უზღო, მაგრამ ისე კი არ

უნდა დაივიწყო, რომ მეორეთაც კიდევ შემოიყვანო შენს
სახლში და ხელ-მეორეთ მისცე შემთხვევა ქურდობისა.
სახედარი რომ ზამთარში საღმე ტალახში ჩაეფლობა, მე-
რე იმ გზაზე ზაფხულშიაც ველარ გაატარებ. მიკვირს,
რომ ჩვენ ზმისგანაც ვერ გვისწავლია ქვეუ, რომ გავფრ-
თხილდეთ ხოლმე! ის, ვისაც ერთხელ და ორჯელ სა-
ზოგადო საქმეში მუხანათობა შემჩნევია, რაღა სანდოა
და სახსენებელი?! ავისა და კარგის გაურჩევლობას ქარ-
თველობისას ჩვენ უფრო მის საზოგადო საქმისადმი გულ-
გრილობას მივაწერთ, ვიდრე უგნურებას და ეს არის,
რომ გული გვწყდება!... ისინიც, ვინც დღეს აქ არიან
და ხვალ იქ, არც მტერი იციან და არც მოყვარე, მო-
გვაგონებენ იმ დაქირავებულ მეორებს, რომელნიც იქით-
ჟენ მიწევდენ, საიდანაც მეტ გამოსარჩენს ელოდენ და
თავისიანებს-კი არა პზოგავდენ, ოლონდ-კი მტრის, მაგ-
რამ მწყალობელი მტრის, გული მოეგოთ აი, ამას მო-
გახსენებთ საზოგადოთ და რაც შეეხება საკუთრად ბ.
დ. კ—ს, იმაზე ფიქრით თავს რათ იწუხებთ? ის იმ
გვარ არსებათაგანია, რომელსაც კანონი სჯის, სამღვდე-
ლოება ღმერთს ავედრებს და გონიერი ერისკაცობა-კი
ერიდება. მე კი, ჩემდა თავად, მგონია, რომ ეგ საბრა-
ლო სულით ავათმყოფია და ექიმობა ეჭირვება. განა
ცოტა არიან გიუები, რომ აულიათ კეტი ხელში და გამ-
ვლელსა და გამომვლელს, ვინც კი შეხვდებათ, გაურ-
ჩევლათ უთხლაშუნებენ? ისინი მაშინ დარწმუნებული
არიან, რომ სიმართლით იქცევიან და კარგ საქმეს ჩა-
დიან. დამერწმუნეთ, რომ სწორეთ მაგ დღეშივე ბ.
დ. კ. და ჩვენი მხრით სამდურავი უსამართლობა იქნება.
ვისურვოთ კი მხოლოთ, რომ გაიკურნოს ის საბრალო!...

„სხვათა შორის ამ დღეებში ერთი ჩხუბა მომივიდა
ბ. N... N... არ ვიცი; რა პირადობა აქვს შენთან, მაგ-
რამ ძალიან წინააღმდეგი კია შენი. საჯაროთ ამტკიცებ-
და, რომ შენი „კრებული“ უვარგისი, გამოუსადეგარი
რამ არის: იქ არც სამეცნიერო და არც საფილოსოფიო
არა მოიპოვება რა, გარდა ყოველ დღიური და ჩვე-
ულებრივი აქია-ბაჭისაო. ინტელიგენტისათვის მაგის
ხელში აღება და წაკითხვა დროს დაკარგვააო“ დასს.

ბ ა ს უ ხ ა.

შემცდარხარ, ჩემო კარგო, რომ წინააღმდეგობა
გაგიწევია! მართალი უთქვამს ბ. N... N... ს: ისე, რო-
გორც მაგას ესმის მეცნიერება და ფილოსოფია, მარ-
თლაც რომ ჩემ „კრებულში“ არც სამეცნიერო და არც
საფილოსოფიო არ არის რა. მე საზოგადოთ მწერალს
ისე ვუყურებ, როგორც პედაგოგს, სხვების გამზრდელ-
სა და გამწვრთნელს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ
მწერლის საჩიელი უფრო დიდია. მასწავლებელი რა-
მდენსამე მოწაფესა წრთვნის და მწერალი-კი მთელ
ხალხს და არა თუ მარტო აწყობში, — მომავალშიაც. მოძ-
ლვარი უნდა ცდილობდეს, რომ მოწაფეს მისთანა საზრ-
დო აძლიოს, რომელიც კეთილად შეერგება მის სულსა-
და ხორცს და კარგათ უნდა ჰქონდეს შესწავლილი მისი
ბუნება და ძალ-ლონე, უამისოთ, იმან რომ, აქა და მე-
ცნიერ-ფილოსოფოსი ვარო, აღმა ფრენა დაიწყოს თავ-
მომწონეთ, ვერ რას არგებს. მე მყავს მხედველობაში
ჩემი მკითხველები, ჩემი წრე, და იმათვისა ვწერ და

არა იმ ინტელიგენტებისათვის, რომელთაც ევროპის სიბრძნე-მეცნიერება შეუსწავლიათ და მაინც ვერ გადიან ფონს. რა მაქვს. სააღმაფრენო? და რომ კიდევ შემეძლოს აღმა ფრენა, განა ვისურვებ?! ვისთვის და რისთვის? მეცნიეროს ძალლსაც კი აქვს იმდენი ჰყუა, რომ წინ წაძლოლის დროს არ დაშორდეს ცხვრებს. ხშერათ შეჩერდება და უცდის, რომ არ ჩამომრჩენ და მგელმა არ მომტაცოსო. და მე რათ მინდა, რომ მაღლა-მაღლა არწივივით ვითვრინო იმ დროს, როცა დაბლა სამწყსო ჩემგან თანხლებას მოითხოვს? აი მე ამ აზრისა ვარ და მიტომაც პირ იქით ვურჩევ იმ შენს ბ. N... №...ს ხან და ხან ლომ-არწივობას თავი დაანებოს და მეცნიერის ძალლს მიჰმაძოს ხოლმე, რომ მოვალეობა უფრო სინიდისიერათ აასრულოს.

5

„ჩემ დათვისო რაღაც ეშმაკათ“ ისე შეუყვარდა ქართული წიგნების კითხვა, რომ დღე და ღამ სულ შეგ ჩაკირკიტებს. მეშინია, ვაი თუ სხვა საგნებში ჩამორჩეს და ეს სულ შენი ბრალი იქნება, რომ თავდაპირველათ შენ ააგულიანე და წაახალისე. გამიჯიუტდა, პირდაპირ მეუბნება: „თუ ქართულის კითხვა ამიკრძალეთ, სულ თავს დავანებებ სწავლასო.“ ღმერთმა მტერი შეგიწუხოს, მე შეწუხებული ვიყო... არ ვიკი. რა ვქნა? მინდოდა, დასამშეიდებლათ „ჯეჯილი“ გამომეწერა, მაგრამ მისმა რეპეტიტორმა დამიშალა: „მისი გამოწერა ტყუილი ხარჯი იქნება და მისი კითხვაც დროს დაკარგვაო. უვარებისი უურნალია და საყმაწვილო შიგ ბევრი არა მოიპოვება რაო. უმჯობესია რომელიმე რუსუ-

ლი საყმაწვილო უურნალი გამოიწეროთ და — მე ვუ-
თარგმნიო. „ეს ვუთხარით დათიკოსაც, მაგრამ არ შერე-
ბა: „ჯეჯილი“ მინდაო!“ და ახლა რას მირჩევ — ლირს
მისი გამოწერა თუ არა?“ *).

პ ა ს უ ხ ი

„ჯერ, სანამ „ჯეჯილის“ შესახებ პირდაპირ პასუხს
მოგცემდეთ, მომისმინეთ შემდეგი მოხსენება: ჩვენი
ქართული მწერლობის ნაკლი ის არის საზოგადოთ, რომ
კრიტიკოსები არა გვყავს და კრიტიკა არა გვაქვს. ცვე-
ლას ის მიაჩნია საყოველთაოდ კარგათ, რაც თვითონ
პირადათ მოწონს და იმასა დებს წუნს, რაც არ ეჭა-
შნიკება. ერთხელვე საზოგადო გადაჭრილი კანონით არა-
ვინ ხელმძღვანელობს. ვის არ გაუგონია ჩვენში ამ გვარი
სიტყვები: „რა ვუყოთ, რომ უშწავლელი არა ვარ და
თვითონ წერა არ შემიძლია? განა მაგიტომ ვერ გავარჩევ
ნაწერსო?! მზარეული არა ვარ, მაგრამ საჭმელს კი
შევატყობ, კარგია თუ ცუდიო!“

ეს შემცდარი აზრია. კაცი ყოველთვის ერთ გუნე-
ბაზე არ დგას, რომ მისმა შექებამ ყოველთვის ერთნაი-
რი სისწორით ამხილოს. ერთი და იგივე შეჭამადი სხვა
და სხვა დროს შეიძლება სულ სხვა და სხვა ნაირათ
ეჩვენოს, მაგალითად, როცა სიცხე აქვს აღამიანს, მაშინ
ტკბილიც კი ემწარება პირში. ნამდვილი გარჩევა კი
მხოლოთ იმას შეუძლია, რომელიც მარტო თავის საკუ-

*) ეს წერილი რუსულათ იყო დაწერილი, მისი მომწერი
მაღალი წოდების ქართველი ქალია.

ოფარ გემოს კი არ უჯერებს, იცის კიდევაც კანონი, თუ როგორ უნდა მომზადდეს ეს თუ ის შექამაღი და ახსნას: რა და რა მასალაა საჭირო და რა მოსელიათ მეტი ან ნაკლები შეკაზმისა და შეზავების დროს. და თუ ეს ასეა, მაშ რაღა უნდა ვთქვათ იმათხე, რომელთაც ხელოვნებაც კუჭის გზით უნდათ წაიყვანონ? ჩვენში, სამწუხა-როთ, ერთი ვინმე წამოიძახებს: ეს და ეს თხზულება კარგია, ან ცუდია, სხვები ბანს მისცემენ და მორჩა, გათავდა, დამცარდა აზრი! მერე საზოგადოთ ყველა იმასვე გაიძახის სხვების აყოლით. ამიტომაც ჩვენში ბევრი რამ არის ულირსათ მოწონებული და აგრევე უმარ-თლოთ დაწუნებულიც. სხვების ფეხის ხმის აყოლას და მიმბათბას დიდი მომზიბლავი ძალა აქვს. ეს ადვი-ლი შესამჩნევია, განსაკუთრებით საზოგადოთ ხელოვნებაში, რომელსაც შეგნებული გამრჩევი ბევრი არა ჰყავს. ვინ გაძედავს, რომ რომელიმე გამოჩენილი მხატვრის, მესაკრავის, ანუ მწერლის ნაწარმოები არ მოიწონოს და არ აქოს, ვითომ და თავის თავათ რომ უმეცრება. არ შემწამონო!

სხვისი ჩაგონებით ბევრი რამ წარმოუდგება და შოეჩვენება კაცს. წამხედურობა გადამდები სენია. გა-მიგონია: ერთ ოჯახში, საღაც ყველა ელამი იყო და თვალებს აპარპალებდენ, ერთი შვენიერი თვალ-ლამაზი, პატარძალი მიიყვანესო და, წლის თავზე საყოლში რომ დაბრუნდა, მისიანებს ცნობა გაუჭირდათ, თვალი გაფუ-ჭებოდა და აპარპალებდათ. სხვისი სიტყვა და სხვისი ქცევა იქცე კი ჭრის, საღაც დიდი შეგნება არ უნდა, თვარა მეცნიერება-ხელოვნებაში წინ რა აღუდგება? ზოგჯერ საუკუნებია საჭირო, რომ რომელიმე დროის შეცდომა გაასწოროს. ამ ორმოცდა ათი წლის წინეთ

ვის დააჯერებდით რუსეთში, გინდ ის მოწინავე წრის კაციც ყოფილიყო, რომ ოზეროვი და კუკოლნიკი შექსპირზე და შილერზე უკეთ არ სწერდენ დრამებს და ხელოსკოვი და ბენედიქტოვი ბარონსა და შელლის არა სჯობდენ? იყვენ მისთანაებიც, რომ ბულგარინს დიკერნს ადარებდენ. დღეს-კი ყველას ეცინება ეს. რაღა შორს მივდივართ, ჩვენშიაც შვილი საუკუნის განმავლობაში, სადაც რუსთველს-კი ახსენებდენ, იქვე წამოასკუპებდენ ხოლმე შავთველსა და ჩახრუხსაც, თითქმის უფრო მაღლაც აყენებდენ. რა იყო მიზეზი? მხოლოდ ერთხელვე ნათქვამის აყოლა!... რომ კითხულობდენ და გაგება უჭირდათ, პფიქტობდენ ალბათ აქ არის სიბრძნე, რომ გაგება გასაჭირია! ჩემ სიყმაწვილეში მე თვითონ გამიგონია მოხუცებული ქართველებისაგან: „შავთველი და ჩახრუხა სიბრძნის ზღვა არის, რომ შეცურო, ველარ გამოცურავო და რუსთველი-კი უბრალო სასიამოვნო რამ. ის თითქმის უმრობს და უბრალო ღელეში ჰყუმბალობს, მაგრამ მაინც მეტად სასიამოვნო რამ არისო.“ რა იცოდენ იმათქმა რომ გენიოსური რამ მხოლოდ ის არის, რაც ადვილო გასაგებია და გზა-გზა გაუჭირვლათ ხელათ იქერს გამალელ-გამომულელს და უბრალო, ადვილ-გასაგებ სიტყვებით სიბლავს გრძნობა-გონებას? ეს მამა-პაპური ცოდვა. შეცდომა დღემდისაც გვიწევს ჩვენ და ხშირათ უბრალო გაბერილი და გაპტურელებული, ბუნდოვანი რამ საქებათ ჰიგვაჩნია!... ამ გვარმა შეხედულებამ და უკრიტიკობამ ისე გაგვიფუჭა გემო ხელოვნების შესახებ, რომ კარგხა და აქს ძნელათ ვარჩევთ და ხშირათ სხვისი რამა ჩვენი კვერცხი.

ერთ მექანდაკე უცხოელ ქალს ვიცნობდი: მის სა- ჭუშავო ოთახში რომ შესულიყავით და გენახათ მისგან

გამოქანდაკებული სხვა-და-სხვა რამეები, გაგიკვირდებოდათ. განსაკუთრებით პატარა ბავშვები და ანგელოზები. ისე ცოცხლათ გამოჰყავდა, რომ თვალს ვერ მოაშორებდა კაცი. თვითონ კი თავისი პატარა ვაჟის სილამაზით იყო გატაცებული, თუმცა მაინცა და მაინც დიდი არა იყო რა. ერთხელ მე გვეხუმრე: ხომ ორივე თქვენი წარმოშობილია და რატომ ამ ქანდაკებზე კი არასა ბრძანებთ-მეთქი? გაიღიმა და მითხრა: ქანდაკი მხოლოდ ხელოვნურათ მიმზადებულია და ეს, ჩემი პეტია-კი, ნამდვილია და ცოცხალიოდა რაც უნდა იყოს, მაინც კიდე აჯობებს უსულო და უხორუო ქვასო. ქანდაკი მიბაძებით და წარმოდგენით გამიკეთებია და ჩემი პეტია-კი, მუცლით მიტარებია, ნელ-ნელა ჩემი სისხლით მიზრდია და თავის დროზე ტანჯვით მიშობიაო.“ სწორეთ ესვევ ითქმის თხზულებაზედაც. რასაც და რაზედაც წერს მწერალი, თუ ის დიდ ხანს გულში არ უტარებია, საკუთარი გრძნობა-გონებით არ უსაზრდოებია და თავის დროზე არ წარმოუშობავს, გარეგანათ შევნიერიც რომ იყოს, სრული მაინც არ ეთქმის. ფუტკარი რომ თავის სხეულში არ გაატარებდეს ხოლმე სანთლის ფიჭვს და ყაჭის ჭია შიგნიდან არ იხვეწდეს ძაფს და ისე მხოლოდ გარედან ატმასნიდენ, არც ერთი და არც მეორე ის აღარ იქნებოდა, რაც არიან დღეს. ჩვენი მწერლობის ნაკლიც ეს არის, რომ ის არ არის შშობლიურ დარჯაკში გატარებული, ავტორისაგან შესისხლ-ხორცებული და მხოლოდ წარმოდგენითა და მიმბაძობით არის გამოქანდაკებული. ჩვენი მწერლობის უმეტესობას ჰერნია, რომ უთუოდ დიდი საგანი, სამეცნიერო, კუუის სასწავლებელი. რამ უნდა აიღონ და იმაზე სწერონ, მაშინ როდესაც ძალ-ღონე კი ნებას არ აძლევსთ შესისხლ-ხორცებისას

და მერე ისე, როგორც საკუთარი რისამე წარმოშობისას. ამ გვარი ცოდვებით არიან ხოლმე უმეტესათ ავსებული ჩვენი უურნალ-გაზეთები. და ეს უბედურება ასცდენია თავიდან მხოლოთ ერთად ერთ „ჯეჯილს“. აქა და სა- ყმაწვილოაო, ავტორები ცდილობენ, რომ გაუზვაიდებ- ლათ, გაუძერავათ, მარტივათ, მშობლიურ რამეებზე სწერონ, რომელიც თვითონაც შეთვისებული და შე- სისხლ-ხორცებული აქვთ. ამ გვარი მწერლები არიან: თედო რაზიკაშვილი, ვანო, ილიკო, გ. იოსელიანი, ვ. აღნიაშვილი და სხვანი. გვიკეირს, რომ ამ ყოვლად სასარგებლო უურნალ „ჯეჯილს“ თანა-მგრძნობი ცოტა ჰყავს და ყოველ ოჯახში არ მოიპოება, რომ მოზარდი- ქართველობა ამ თავითვე შინვე იწვრთვნებოდეს!... აბა მიჩვენეთ ჩვენში მისთანა ნიჭიერი მოღვაწე ვინმე, რომ თავდაპირველათ მშობლიურზე არ დაეწყოს ვარ- ჯიშობა, არ ესწავლოს მხედრული თუ ხუცური წიგნი, ზღაპრები და ანდაზები არ ცოდნოდეს? ისინი კი, რო- მელნიც მშობლიურ ნიადაგს მოსხლეტიან და პირდაპირ გადასულან უცხოზე, ორთა შუა რჩებიან და ველარც ერთს ველარ წვდებიან. ჩემი აზრით დიდი ცოდვა და დანაშაულობაა, რომ ამ გვარ წიგნებს იმ თავითვე ოჯახშივე არ აწვდიან ყმაწვილებს მშობლები და თქვენც გირჩევთ: ნუ უშლით თქვენს დათიკოს ქართულის კით- ხვას, თორებ ინანებთ და გვიანდა იქნება!... და რაც შეე- ხება თქვენი შვილის რეპეტიტორს, ის ერთი იმ ცხვარ- თაგანი ყოფილა, სხვის ხმაზე რომ თვითონაც აბლავლ- დებიან და ყვირიან ხოლმე. დამერწმუნეთ, ქალბატონო, რომ „ჯეჯილის“ კითხვა პატარაებისათვის კი არა, დიდი ბავშვებისათვისაც სასარგებლოა და თქვენც რომ ჩახე- დოთ ხოლმე შიგ ხანდახან, არას გაწყენთ.

დღეს ირაკლის დასაფლავების დღეა. მას აქეთ ასრ
წელი შესრულდა, რაც საქართველოს ქართლ-კახეთმა
მაღალ-გონიერ სოლომონ მდივნის დატირებით მიწას
მიაბარა გმირთა-გმირი და იმერეთმაც, იმ უმეტესმა სა-
ქართველოს ნახევარმაც. ზარი აუშვა, რომ ერთად ორ
ძმას, ორ გაუყრელ ნახევარს, აღმოსავლეთ და დასავ-
ლეთ საქართველოს, თანასწორათ ეფლოვა დიდებული
ქართველი. „ათასი წელი—ვითარცა გუშინდედა დღეო“,
ამბობს უკვდავი წინასწარმეტყველი დავით. და მაშ ასი
წელი რაღათ უნდა იხსენიებოდეს საუკუნეთა უფსკრულ-
ში? მაგრამ ამ ჩვენს ცხოვრებაში-კი ერთი საუკუნეც,
დიდია: ცხოვრებას. ფერს უცვლის, ძველს აჭერის,
ახალს აღმოაცენებს, უკულმას წაღმა აბრუნებს და წა-
ღმას უკულმა სცარავს. რა იყო მაშინ და რასა ვხედავთ
დღეს? გაშინ თვალსაჩინო ამბოხება და მოუსვენარობა,
დღეს-კი სათვალდათვალო „მშვიდობა და კაცთა შორის
სათნოება“. „მართალი, ვითარცა ფინიკი, აღუფავდეს და ვი-
თარცა ნაძვი ფინანისა განმრავლდეს“. რა იყო ამ ასი
წლის წინეთ? შავი ჭირი მუსრს ავლებდა ჩვენს ქვეყა-
ნას, რომ მისი მხეინვარება საშარალისო სახსოვრათ და-
ეგდო ჩვენთვის, მაგრამ ირაკლის სიკვდილმა, როგორც

ყველაზე უფრო მეტმა უბედურებამ, გადაჭარბა და და-
ავიწყა ყველას კერძო და პირალი. ეტყობა, მაშინდე-
ლი აქამდისაც უწევს, რომ დღესაც კა მოღრუბლულია,
მთა-გორები ნისლით დაბურვილან, რომ თავი აღარ გა-
მოიჩინონ და თვითოვეულს ჩვენთაგანს რაღაც გამოუთ-
ქმელი ურვა მძიმე, ლოდათ გულზე აწევს... გაბრწყინ-
ვებულია მხოლოდ უძლურთა სასოება სამლოცველო,
ჭირთა მკურნავი სვეტი-ცხოველი, საითკენაც ხალხი მი-
ეშურება და, შიგნით რომ ტევა აღარ არის, დღეს ჩამო-
მტირალ მცხეთის ტაძარს გარს ეხვევა. წინაშე მის-
სა, ვინც მოციქულთა და მათ მოადგილეთა მიანიჭა „შე-
კვრა-გახსნის“ უფლება, გაისმის გრგვინვა მთავარ-დიაკ-
ნისა: „ანააააფემა!“ მგალობელთა გუნდი კრიმანჭულით
ეხმატებილ-კავშირება.. საყდარში საოცარი მღუმარებაა.
წამიერათ გაქვედა ხალხი. ყველას რაღაც უკბინა
გულზე... ჰელიოთ უწევს და სასოებით შეჰყურებენ
მას, ვინც ჩვენს სარწმუნოებას ქვა-კუთხედათ სიყვარული
დაუდვა: „შეივერე მოევასი შენი, ვითარცა თავი თვი-
სით“ და „მიუტევეთ, რამეთუ მოგეტევოთა“. „მოგვიტე-
ვენ, უფალო, შეცოდებანი ჩვენი!“ — ამბობენ გუნე-
ბაში მლოცველები. და მათაც სანუგეშოთ საიდუმლო
ხმა ჩაჩურჩულებს ყურში: „მოვედით ტეირთ-მძიმენ და
დაშაშვრალნო, რათა განგისვენთ“. აქ იცვლება კილო
განგაშისა და გრგვინვის. იგივე მთავარ-დიაკონი სასო-
ებით შეჰლალადებს ყოვლის შემძლებელს და მრავალ ქა-
მიერით იხსენიებს ღირს-სახსოვარ გმირებს. მათ რი-
ცხვში ირაკლიც გამოერია. „ააამინო!“ გაისმა ხალხში
ერთპირი ჩუმი დვრინი. გათავდა წირვა, გადახდილ იქ-
მნა პანაშვიდი, ხალხი ნასადილევს დაიშალა, წავიდ-წა-

მშვიდა; დაღამებამაც მოატანა, ჩამოკარდა ჩვეულებრივი სიჩუმე და არარაობა. ჯანდი მთას იქით გადავიდა, ცაშ ლრუბელი გადაიყარა, მთვარეზ გამოიჭიატა და იქ, სადაც იწაკლის სურათი ესვენა და მისი თოფი იყო ჩამოკიდებული, ორი აჩრდილი გამოჩნდა: გულ-ხელ-დაკრეფილი, თავ-ჩაღუნული, თვალ-ცრემლიანი ზის ოთხმოცი წლის მოხუცი და თავზე ადგას შუა-ხნის ტან-მორჩილი კაცი. საიდან გაჩნდენ ისე, რომ თვალმა ვერ მჰასწრო? მაღლით მთვარის სხივებს გადმოჰყენ თუ ქვესკნელით ამოვიდენ? შორს გაჰყურებს მოხუცი ნაღვლიანათ. მოწიწებით შეჰყურებს გულ-ჯავრიანი თავ-მდგმური. ხანგრძლივი სიჩუმეა.—სოლომონ, რა ვნახეთ? რას იტყვი? ეკითხება მოხუცი.

„მშვიდობა და კაცა-შორის სათნოება“, ჩემო ხელმწიფევ! მორჩილებით უპასუხებს სოლომონ.

— ვხედავ!... ვხედავ!... დიახ, „მშვიდობა და სათნოება“... ამ ასი წლის წინათ ქვეყანას გარს ცეცხლი ეკიდა და ქარბუქი უბერავდა!... ცხოვრება მსხვერპლს ითხოვდა და ტარიგიც დიდი იყო! დღეს სამსხვერპლოზე ზეარაკის ნაცვლათ დამშვიდებული გულით სწავლა-მეცნიერება იდება.....

— საუკუნე შესრულდა მას შემდეგ, რაც ირაკლი საქართველომ მიწას მიაბარა, მაგრამ დღესაც კიდევ მის გულშივე სუფევს მისი სიქაღული და ამ „წმიდა-წმიდა-თას“ გარეგან ნიშნების ძეგლათ უგებს.

აქ მოხუცმა ნაღვლიანათ ჩაიცინა და სთქვა:

— დიახ!... დიახ!... ჩემმა ნაჭირნახულევმა ქალაქმა დაამტკიცა ეგ: მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მცყრბელს, ყევნისა და ხვანთქარის მოქიშვებს, სამარადისო სახსოვრათ, დროებითად ირაკლის სახელით მოუნათლა

თვით: დღევანდელ ცხრილებასაცით: უსწორ-მასწორი, მის
ხვეულ-მოხვეული ქუჩა, საღაც დღეს ამ უძალლესათ
მინიჭებულ „მშეიღობანობის“ დროსაც ძალლებიც-კი
უშიშრათ დადონ!... შეიწირე, მეუფეო; ვითარცა წვლი-
ლი! წვლილი ღარიბისა და არა მდიდრისა!.. ჰმ...
განა საქველმოქმედო არა გამოინახებოდა რა, რომ ჩემი სა-
ხელით მოემართათ?... მაშინ, როდესაც ქალაქის გამგეობას
ამ გვარ შემთხვევაში ბევრი რამ გაუნაწილებია, რომ
სხვებისთვის მიეთვისებია... ირაკლი მათზე უჭირნახუ-
ლო არ ყოფილა... მემართლაბიან!... მე... მარ... ტლე...
ბიან!...

— განძრახვა კაცთა, ხოლო განგება მეუფისა ბო-
ბოროტი კეთილად შეცვლილა: გზა სასახლიდან ტაძ-
რამდი მიმყვანი და ტაძრიდან სასახლეში მაღლის მომ-
ტანი, უთუოდ ირაკლის სახელით უნდა აღნიშნულიყო;
ხასიათი საგნისა და არა სიღიდე თვალ-საჩინობს.

— ჩემო ხოლომონ! სიცოცხლეშიაც შენი მოქარეუ-
ლი ენა მიბრუნებდა გულს და დღესაც იმავ გზას
გინდა დაადგე? დავანებოთ თავი გარე-წრებს!... აქაც;
შინაობაში, რა ვნახეთ?... როგორც ხალხის შვილს,
მეც ყოველ გვარი მისი ზნე-ჩემულება ძვალ-რბილში
მქონდა გამჯდარი და დღეს კი მე აქ ყველაფერი
მეუცხოვა... მესხვაფერა! სად იყო ჩემულებრივი შე-
სანდობარი წვეულება?... განა ოდესმე ქართველი ისუ
დაიმარხებოდა, რომ ხალხი მიწვეული არ ყოფილიყო
და მიცვალებულის შესანდობარი არ დაელიათ? ჩემთვის
კი ჩემიანებს ასიოდე ჯამი ლობიო, რამდენიმე ხმიაღი
და საზედაშე დანანებიათ!.....

— მეც ვნახე და კიდეც ეგ მეუცხოვა!... მე მინდოდა
და მენახა სოფლელები, ის გლეხობა, რომლისაფერსაც

მთელ ჩემ სიცოცხლის განმავლობაში გული მიცემდა. ჩვეულებრივათ, მამა-პაპურათ ეკელესის გალავანში, წმინდა ტაძრის ირგვლივ, ფეხ-მოფრთხნით მჯდომარე რომ შეუდგებოდენ საღილის ჭამას: ჯერ პირ-ჯვარს გადარწერდენ, დაბებერავებული ხელით აიღებდენ ხმიადს, ემთხვეოდენ, გასტეხდენ, მოწიწებით მიიღებდენ, როგორც ზიარებას, ავსებულ სასმოს თავს წაუქცევდენ ჩემი სულის შესანდობრათ პურზევე და წმინდის გულით კურთხევას შემომითვლიდენ... ნასაღილევს დაბრუნდებოდენ შინ, მიუჯდებოდენ გახურებულ კერას, გარს ცოლ-შვილს შემოიხვევდენ და დაიწყებდენ ჩემზე საუბარს. მოიგონებდენ ჩემ ღვაწლს, გაიხსენებდენ ჩემგან თქმულს, ჩემზე ნათქვამს... და უმანკო გონებით გადაჭრილ სიყვარულს ჩარჩოში ჩასვამდენ, რომ მამა-პაპის ნათქვამი საშვილიშვილით გადასულიყო... აქ ხმა აუკანკალდა ირაკლის, თვალში ცრემლი მოერია, სიტყვები ყელში ეჩრებოდა, ნერწყეს ყლაპვა დაუწყო და დიდ ხანს ხმა აღარ ამოულია... სოლომონ! იკითხა უცბათ—ის რაღა იყო რომ დედა-კაცებს ყულაბები დაჭრნდათ?

— თქვენი სახელით საქველ-მოქმედო ფულებს აგროვებდენ.

— რაო?! მის ნაცვლათ, რომ ჩემი სულის მოსახსნებლათ სამოწყალო დაერიგებიათ, პირ-აქეთ მათხოვ-რობდენ და იმასაც კიდევ ირაკლის სახელით?... ვი ჩემს გაგონებას!... სოლომონ, შენ თვითონ მოწამე ხარ, იმ შავ-დღეს, როდესაც ხოჯა-ხანი თბილის აოხრებას უპირებდა, მოლარეთ უხუცესი მოვიდა ჩემთან და მომახსენა: „ბატონო მეფევ, გვიბრძანეთ, რომ სალაროები გავეხსნათ და სასახლის საუნჯე გადავარჩინოთ“—ო! მე წმინდის გულით ვუბრძანე: „რა დროს მაგაზე ფიქრია, რეგვენოს“

կաջապ ქցեցանա-კո ռերդքի, օյ դաօլութօնս մեղոն սայնշյը մետքո!“ Հա ամօն Շյմդք զոլաս Ֆյոնձա Շովլքի, հռմ հյիմ սաելոն անցարքինսատցոն Շյցըրտցիօն!...:

— հյիմ եյլմֆուցք, օյ և սալ և եվա անհրա- եցա ոյու: Ռյացենո լուցեցնուլու դա Ռմոնձա սաելոն ցուլոնս ցասալցիատ օքմարց, հռմ սայցըլ-մռյմյը համյ ցայլուտ յարտցյլցիս:

— յմարա!... մյուս նուլարաս ությունու!... յարտցյլու դա ցուլ-գուլուրուլո! ցանա Շյօնլուց մացուն Քարմռուցընա? ուցուուցյուլու հցընցանո, պալու ելուտ հռմ թրյուն ոցյրյեծի, մյուրյուտու միաց գրի գրի սամոնիպալոնս արոցը թրա!... սա- դապ կո մալ-լռոնց Շյերանձա, սալամդուսապ կո ելու մո- շունցը թուլու—ցուլու մռյուցը սայցըլ-մռյմյը հռուտ... քորու դա լունոն ուրուգա!... դա գույս-կո յարտցյլու ուսց ցալա- յմնունու, ցալասեցացյրյեծնուլու, համ կլուրյ-ցասալցինյ մո- ցարդա այժմ՞! ցան, ամ գունու մռմիթրյես!... և ուլունոն ամ ասու Ռլուս Ռինյու հյիմճա Շնյեցնուրատ համլուց մոխանու դա աելու-կո նցիուտ մոնձա հացուց սաբլացնու... Ռացուցու, մռ- չմռուրդցու այսարունօնաս!... ստյեցա և օձրունա նորու.

Ըուլ եանս եմա ալար ամուլու, սացոնցիցը լունու ոյու հացարճնունո. ծուլոնս մույթրյունճա և զուրուցըլուս, դա ոհոյի, ելու մալլու աակյուրու և Շյցըցը լուրի: “ լուցառ լմհուտու- սաց! Շյնու Ռու-եցը լուրի: դա Շյնու սայցլուս Ռյուլու յև յացընա!... Շյնու ելունու մուսու Քարմռուլուց դա մռմացալուց դա Շյն Շյցը Շյնուս մանցը նրանցա!...”

Տույա դա հացուց ոյցու սաբլացնու. մաստան յրտալ մուսու մելոյիցը լուրից ցայինանճա. Քայրնու ցանսմա էմա- բակը նուլու

გალობა; თგანუსვენე წმიდათა თანა განუსვენე, უფალო!...
საუკუნოთ იყოს სახსენებელი მისი!“ მგალობლები არა,
ჩანდენ. ანგელოზთა გუნდი იყო თუ სულნიმიცვალებულ-
თა—არავინ იცის!... შხვლოთ კილო ჭ სიტყვა-კი ქარ-
თული იყო და სიტყბოება და ძლიერება სასუფევლისა...



ଓଡ଼ିଆକୁଣ୍ଡଳ

ଶ୍ରୀ ମହାପ୍ରେଦୟବୀନଙ୍କ କୃତି

(ମେଲୁଟେ ମହାପ୍ରେଦୟବୀନ ଓ ସୁରାତାଳ)

მოძღვანი პირები,

სარიტონ კარლოვიჩ, იგივე ხეხატურ კარაპეტოვიჩ ტუ-
[როვი—რედაქტორი
სერაფიმ გრიგორიაზ ხაზაროვი—გამომძიებელი
ააგორ პავლოვიჩ სგისტკოვი—პრისტავი
თაგადი ამირინდო—სახლის პატრონი
მახნევიჩი—გამომძიებელი
ბროსორი—რედაქტორის თანაშემწე
ქარაპეტია
სოსიერა ამერიკა—ამირინდოს მსახური
გოგია გურული
სანდო—ხაზაროვის მსახური
ააგუნდოვი—ტუსალი—ცრუ მოწამე
სოფია—სოსიერა საკოლო და მერე გოგიას ცოლი
ოქტავია—სოფიოს ლელა
მკათხავი
უარაულები



କୁମାର ପିଲାଙ୍କ ଶବ୍ଦରେ କଥା କଥା

ଅନ୍ତର୍ଜାଲର ଆଖରିର ପିଲାଙ୍କ

ରିଗ୍‌ବିଦୀର ଶିଳ୍ପରୂପରେ କଥା କଥା

ଅନ୍ତର୍ଜାଲର ଆଖରିର ପିଲାଙ୍କ

(ମାର୍କ୍‌ବିଦୀ କାର୍ଯ୍ୟରେ ଶୈଖିଲାଇନ ପ୍ରକାଶକ ଦ୍ୱାରା ପ୍ରକାଶିତ)

ପ୍ରଶ୍ନାଗ୍ରହ

ନାମେରୀଙ୍କ ତଥାତୁଳନବ, କେମନ କାରାପ୍ରେର!

ପ୍ରଶ୍ନାଗ୍ରହ

ଆଖାର, ତକ୍ଷେଣ ସାମ୍ରାଜ୍ୟରେ ଏବଂ ପିଲାଙ୍କରେ?

ପ୍ରଶ୍ନାଗ୍ରହ

ରାଜପାତ୍ର ତଥା ଏବଂ କେବୁବା, ଗନ୍ଧେବା, ଗନ୍ଧନକ୍ଷବା!

ପ୍ରଶ୍ନାଗ୍ରହ

ଏହି, ଡାଲ୍‌ପ୍ରୋଫେସର, ଏହି ରାଜ ମାର୍କ୍‌ବିଦୀ ପିଲାଙ୍କ ପାଇଁ
ଏହିମନୀଙ୍କ ଏବଂ ଏହିତି ଶୈଖିଲାଇନରେ କଥା କଥା?

ପ୍ରଶ୍ନାଗ୍ରହ

ବିଶ୍ୱାସ ମନ୍ଦିରରେ ବ୍ୟାକ୍‌ରୀତି, ମାନ୍ଦିର, ରାଜ୍‌ପୁରୁଷ ବାର୍ଷିକୀ,
ମାନ୍ଦିର କିମ୍ବା ସାମନ୍ତରୀ ଡାରିବ୍ୟାକ୍

ପ୍ରଶ୍ନାଗ୍ରହ

କୋଣ! ପଥରରେ ମାମା ତକ୍ଷେଣ! ସାମ୍ରାଜ୍ୟ ଏବଂ ଏବଂ, ରାଜ
ମାନ୍ଦିର ବ୍ୟାକ୍‌ରୀତି ଡାରିବ୍ୟାକ୍ ଏବଂ ରାଜାଙ୍କ ନାନ୍ଦିଲାବନ୍ତି?

ტურთვა

იმას, რომ „ხანდახან სინიღისიც კაი საქონელია“ —
იცი?

ქარაპეტა

ვა, განა მაგას ღიღიღი ცოდნა უნდაই როცა უსინი-
ღისობას ბაზარი აღარა აქვს, მაშინ სინიღისიც გამოსა-
დეგია... ვაჭრული ანგარიშია.

ტურთვა

ვგონებ, მაგ ანგარიშის ბრალია, რომ ამ ბოლოს
დროს მეტად გაწუწყდი.

ქარაპეტა

ეეჲ! თქვენ-კი გაქართველ-კრიაზლით? ფანტაზით რაღა!

ტურთვა

ყველაფერს თავისი სასწორ-საზომი აქვს.

ქარაპეტა

მეც მაგას ვაღგივარ და!

ტურთვა

მიტომ აღარ სჯერდები ათის თავს?

ქარაპეტა

ვე, ათის თავი რომელია? თქვენ არხეინათ ბრძან-
დებით თქვენთვის, იქნება დღეში ორ საათსაც არ
მუშაობდეთ და მე კი დილიდან საღამომდე საქმეში ვარ
გაბმული, როგორც ვირი ტაქაში.

ტურთვა

ეგ ხელობამ იცის: შენს საქმეს ბევრი სხვაც იტვირ-
თებს და ჩემსას-კი ყველა ვერ მოახერხებს:

ქარაპეტა

ახარ, რომ იტვირთოს რა გამოვა? ყველა ხომ ვერ
აიტანს! ნათელი დააღვეს იმ დიდ-სოფელს ჩემ დედ-მა-
მას, რომ ასე მაგარი ვინმე გამოუყვანივარ, თორემ ძალ-

ლიც ვერ აიტანდა, ჩემდონობას!... ცაზე იმდენი ვარ-
სკვლავი არ იჭედება, რამდენიც ცხელი ჯოხი ამ ჩემ
ზურგზე გამოჭედილა და მუშტა და სილაპ. რომ ანგა-
რიშიც არ ექნება!...

ტუროვი

ვერ ყოფილხარ ფრთხილი!

ქარაშეტა

ჰმ! კურდღლს განა სიფრთხილე აკლია, რომ მუ-
ლამ დღე იჭერენ? რაც მოსაფალია კაცის თავზე, მოვა
რალი!...

ტუროვი

თუ მოვა და... შენც უნდა აიტანო.

ქარაშეტა

ვინ ამბობს, თუ არა? კი ვიტან... მავრამ ცოდვა ვარ,
თქვენც უნდა შეხვიდეთ ჩემ გარემოებაში. ნათქვამია:
„ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეხედავსო“.

ტუროვი

მერე და შენისთანებმაც რომ ღმერთს შეხედონ,
ეშმაკს რაღა პასუხი უნდა გასცენ?

ქარაშეტა

ეს, დალოცვილო, თქვენ გეცინებათ, და მე კი
ცრემლები მომდის!... თქვენ მოგახსენებთ... განა ჩემზე
ვამბობ?... ცოტა რომ მომიმატოთ, რა დაგაკლდებათ...
ღვთით ბარაქა მოვდით.

ტუროვი

შენ, მგონია, ფულები ქუჩაზე ასახვეტი გგონია!
იცი, საიდან მოდის ოქრო და ვერცხლი?

ქარაშეტა

განა არ გამიგონია? ციმბირიდან.

ტუროვა

მაშ, რქ წაბრძანდი, იმ სათავეში და მუქიად იქ
მოგცემენ.

კარაპეტა

დალოცვილო, უჟევენოზ აქ რას ვარგივარ, რომ
იქ ვიხეირო?

ტუროვა

განა ამ თვეში ცოტა მიგიღია? აბა ჩახელე დავ-
თარში.

კარაპეტა

ვინ მამა ოხრის შვილს, რაც მიმიღია, ორი იმტონი
არ დამიხარჯავს!

ტუროვა

შენ რომ ფანტვა ვიყვარდეს; ვისი ბრალია?

კარაპეტა

ვა, ეგ რა სთქვით?! ვინდათ ბუზები გააცინოთ?
უანგარიშოთ განა კაპიქს დაეხარჯავ?! მაგრამ საქმეა,
ანგარიშია... დალოცვილო, პირდაპირ ოჯახებში ხომ ვერ
შეხვალ? უნდა დაბლიდან დაიწყო: ჯერ მოსამსახურეები
გაიცნო, დაიმეგობრო... აქეთ წაიყვანო, იქით... ეს
სულ ხარჯია.

ტუროვა

მაგდენიც არაფერი.

კარაპეტა

ეგ კიდევ არაფერი, მაგას გაუძლებს კაცი. ახლა
სხვა ხათაბალაც მეტია და!... ამას წინათ კინალამ სულიც
წავიწყმიდე და ხორცითაც დაეიტანჯე!

ტუროვა

როგორა?

კარპეტა

ერთ გოგოს არშიყობა დავუწყებთა რა, არისნ, რომ
შერე იმისაგან მისი ქალბატონის ანბავის უკეთ გამევეოს;
უგებ საგაზეოოდ გამომაღებოდა... თურმე, ნუ ბრძანებ,
იმერელი საქმრო ჰყოლია და ისე გამხადეს; რომ ვთქვი,
თუ ამისთანა დაზელა რომელ აბანოში უსწავლიათ-მეთქი?

ტუროვა

მოგცხეს?

კარპეტა

ვა, მომცხეს რომელია? ისე გამხადეს, რომ ძვალი
და რბილი გამიერთეს... სააფთეკოთ გადამდეს რაღა!...

ტუროვა

შერე არა გრცხვენიან, რომ მოგერიენ?

კარპეტა

განა ერთი იყო? ერთი როგორ მომერეოდა, მაგრამ
იმერელი ხომ ერთი არ იქნება! სადაც ერთია ცხადათ,
იქ ეშვავივთ უჩინრათ ასი კიდევ სხვაცა დგას... შერე
რა გამრავლებული არიან ამ ჩვენს ქალაქში!... იმდენი
რწყილიც არ მრავლობს! ერთი რომ დაიძახა იმ ყურუ-
მსაღმა, გამოცვინდენ აქედან, იქიდან: თითო-თროლა
ყველა სახლში იყო თურმე... ქუჩა აივსო, დამეხვივნენ
ძალებივითა და გამგლიჯეს!...

ტუროვა

კიდევ გაგგლიჯეს?

კარპეტა

ვა, მაშ! ქამარი მომხსნეს, საათი ამგლიჯეს და ფუ-
ლიც ჯიბიდამ ამომაცალეს.

ტუროვა

შერე პოლიცა?

ქარაბეტა

ეჭი, განა, პოლიციას მოუკლიდენ? სტვენა: რომ გა-
იგონებს, აქეთ-იქით გაპერენ ეშმაკებივით... საჩივარი შე-
მიტანია და აქამდის არა გამოდის რა, ამიტომ რომ არ
ვიცი ვინ არიან.

ტურთვა

გვარი ვერ შეიტყვე?

ქარაბეტა

განა გვარი მათაც აქვთ? ყველას იმერლებს ეძახიან.

ტურთვა

სახელი?

ქარაბეტა

სახელი ყველასი ერთია. სამი სახელის მეტი არ
იციან: ივანიკა, გოგია და კიკოლა... მორჩა გათავდა,
რომელ ერთს უნდა ვუჩივლო? ვინ გაარჩევს? ისე თუ
საღმე შეხვდი — ერთს კი ვიცნობ, მაგრამ აბა საღ მეჩვე-
ნება! აი, რა ხათას გადავვეკიდე და თქვენ კი, დალოცვი-
ლო, ამბობთ, თუ ასე ბევრი ფული მიგაქვსო!...

ტურთვა

შენ ხომ მარტო ჩემგან არ იღებ? გამომძიებელი
რამდენს გაძლევს?

ქარაბეტა

გროშ-კაპიკა! ისე თუ რამეს ჩამოვრჩები, თორემ...

ტურთვა

პოლიცია?

ქარაბეტა

ვა, პოლიციამ განა მიცემაც იცის?! არა, ჩემმა მზემ,
რასაც თქვენგან არ ვიღებ, მეტი არავისაგან არა ვიცი-
რა და აქიდანაც ხომ აღარა მრჩება რა...

ტუროვა

მაშ კარგი, მაგ სიებს თუ კარგათ შეასრულებ, რაც
გერგება, იმაზე კიდევ მეტს მოგცემ. გარაპეტა

ვეცდები, მაგრამ სია-სწორე არ არის, ორგან იალ-
ლიშათ მოსულხართ: ალელი, ღვთის წყალობა ტყვილათ
ჩაგიწერიათ.

ტუროვა

განა დამჭლევდა?

გარაპეტა

ეა! კურატია, მაგრამ იმას თვითონ დაუკერია ან-
კესით მილიონები და შენს ანკესს როგორ-ლა მოვდება?

ტუროვა

ჩემი ანკესი კალმის წვერია, ზედ ბევრი წამოცმუ-
ლა ძალა-უნებურათ.

გარაპეტა

ის სულ სხვა ვინმეა! თევზის იჯარა რომ ჰქონდა,
თევზის ჰქუაც უსწავლია: პირში წყალს იგუბებს და
ვინც რა უნდა თქვას, ხმას არა სცემს. ასე ამბობს გუ-
ნებაში, რომ ჩემთვის რედაქცია და გაზეთები ჩემი კან-
ტორა და ვექსილებიათ. დიდი ჰქვიანი ვინმეა!

ტუროვა

მაინც არ შეიძლება, ერთხელაც არის ფეხი არ წაპ-
კრას.

გარაპეტა

მართალია! აქლემი განა ისე ივლის, რომ არ დაი-
ჩოქოს, მაგრამ ისევ თავის თავად აღგება.

ტუროვა

კარგი, ამოშალე.

კარაპეტა

მერჯარადრე — გორელი იახშიოლოვი — ჯერ ერა-
თვეც არ გასულა, რაც ის გამომძიებელმა საბუდარში
ჩასეა და ბატის კვერცხები დაადებინა.

ტუროვი

თითოებათა?

კარაპეტა

ერთი იმერელი ბიჭი ეყიდა და მიტომა.

ტუროვი

ეყიდა?!

კარაპეტა

ჰუ, განა კუპჩინთა და ნატარიუსით? ისე...

ტუროვი

არ მესმის!...

კარაპეტა

ზოგიერთ აფერისტებს იმერეთიდან გადმოჰყავთ
პატარა ბიჭები მოტყუცებით, თუ ისე მოპარეოთ და აქა-იქ
ვინმეებთან აყენებენ ჯამაგირში. წინდა-წინვე, რამ-
დენიმე ფულს იღებენ და მოდიან.. პატარა ბიჭები-კი
უპატრონოთ რჩებიან. საწყლებმა არც გზა იციან, არც
კვალი, სანამ არ მიხვდებიან და გონებაში არ ჩავარდე-
ბიან.

ტუროვი

მართლა?

კარაპეტა

მაშ არ იცოდით? იმ გვარი აფერისტების ახოტნიკი
ყოფილა იახშიოლოვიც და ყოველთვისაც შერჩენია.
მაგრამ მოგეხსენებათ, „კოკა ყოველთვის წყალს ვერ
მიიტანსო.“ ამ ბოლო დროს სულ ერთად დაატყდა თა-

ვზე. ვიღაც იმერელი ჩამოსულა და უჩივლია: რვა წელიწადია, შვილი დამეკარგა, მე მკვდარი მეგონა... ვაწირვინე, გამოვიგლოვე და ის კი თურმე ტყვეთა ჰყოლია ამა და ამ კაცსაო და ერა აღამამადხანობა მოძრუნებულაო? განა ქრისტიანობა მოსპობილაო! ამ საქმემ მიახწია გამომძიებლამდი და სტაცის ხელი შენს იახშიოლოვს.

ტურდვა

მერე?

გარაპეტა

აბა ის წაბძანდებოდა იქ, საიდამაც ოქრო და ვერცხლი მოდის, თუ აქტები არ გამოსჩენოდენ! აქაც ქალაქელმა ვაჭრებმა თავს გამოიდეს: თქვეს, თუ ჩვენც ამის ხელობას არ ვადგივართ, ჩვენც ისე არ ვიჭერთ მოტყუებით მუქთად მოჯამავირებსო? ის რომ გაგზანონ და ეს გაგზანაც კანონით დაიდვას, მერე დიდ ხანს ხომ აღარც ჩვენ მოგვასვენებენ, ჩვენც გაგვისტუმრებენო. დატრიალდნენ, ბევრიც დახარჯეს და გამოიყვანეს.

ტურდვა

იმერლები?

გარაპეტა

მამა იმერეთშივე გაგზავნა გამომძიებელმა: უბილეთო არისო და შვილი-კი თვითონ დაიყენა თვეისთვინ.

გამოსვლა მორჩა

(ისინივე და პროხორი შემოდის მოვრალი. ორივე ხელში წიგნები უჭირავს. იქვე კარებთან ჩერდება შეუნიშნავათ და ყურს უდებს იმათ საუბარს).

ტურთვა

რატომ აქამდი არ მითხარი ეს აშბავი? უანა არ იცი,
რომ ამ გვარი რამ უფრო საინტერესოა მკითხველებისა-
თვის, ვიდრე შენი სულელური ცნობები: ამა და ამ
კაცს გული გაუსკდა და მოკვდა, ესა და ეს ვაჭარი
გაკოტრდა, ამას ცოლი გაექცა, ის გაქურდეს და სხვა-
ნი. ამისთანა ამბებს მიაჩვია ხალხმა ყური და აღარაფრათ
მიაჩნია. შენ იმისთანა რამ უნდა შეიტყო ხოლმე, რომ
ქვეყანა აალაპარაკოს!...

გარაპეტა

დალოცვილო, ახლა ეშმაკს ხომ ვერ ვტაცებ კუ-
დში ხელს და რქებით ვერ დავიკერ!...

შროხორი

უნდა დაიკირო!... უფროსები როცა გიბრძანებენ,
ეშმაკიც უნდა დაიკირო... ან კუდში უნდა სტაცი ხე-
ლი, ან რქებში, ეს სულ ერთია, მაგრამ უთუოდ კი უნ-
და დაიკირო, ამიტომ რომ გიბრძანებენ... გესმის!...

ტურთვა

პროხორ?

შროხორი

დიახ, პროხორ! თავიდან ფეხებამდე პროხორ!...
შაქეს ჰატივი, რომ გამოგემუხალოთ...

ტურთვა

ოჲ, შენ კიდეც გახეთქილხარ ასე ადრე!...

შროხორა (შეშინებით)

გაეხეთქილვარ? მერე რატომ მე კი არასა ვგრძნობ-
დი!... (იხედება აქეთ-იქით) აბა სადა?

ଶ୍ରୀରାଜ୍ୟ

କାର୍ଗତ ଗାନ୍ଧାରିପ୍ରେପ୍ରକଳାପ୍ତି
ଶରୀରକଣି

ଶୁଦ୍ଧେବିତ! ସାଥି ଲାଗେ, ପ୍ରେପ୍ରକଳି ତଵାଲିତାପ୍ରା ଏହି ମିନାବସ୍ତୁ, ଅମିତ୍ରମ ରାମ ଶ୍ରୀଶା ଦେଖିବା... ଫେରି ଏହି ବାବୁର୍କ୍ଷ-ବିନ୍ଦୁ... ଓସ ଉଠିବିବି ଏକାମ୍ବିତ ନେଲ-ନେଲା... ଶ୍ରେମପ୍ରିୟ-ଦେବା—ଗାନ୍ଧାରେକିରାମ, କିନ୍ତୁ ଶ୍ରେମପ୍ରିୟଦେବା—ଗାନ୍ଧାରେକିରାମ ଲାମାଶବ୍ଦାଶି ନେଲ-ନେଲା ଉଠିବିବି... ଶିପ୍ରିଯେ ମିଳିବି... ପ୍ରକଳା ମତାଶ ନିଜିତ ନିକାରିଗ୍ରେବା... (ଶୁଦ୍ଧେବିତ)।

ଶ୍ରୀରାଜ୍ୟ

ଶ୍ରେମପ୍ରିୟଦା, ରାମ ଏହାପ୍ରା ମିଳିବିବି ଗାନ୍ଧାରିପ୍ରକଳାପ୍ତି
ଶରୀରକଣି

ଏହା?

ଶ୍ରୀରାଜ୍ୟ

କୌ, ଏହା, ରାମ କିମିଶି ଏହାର ଗିନ୍ଦେବ୍ବୁ!

ଶରୀରକଣି

ରାମଙ୍କର ତ୍ୱ ଏହି ମିଳିବ୍ବୁ?! ମାତ୍ର ଏହି ଶ୍ରେମାଜମା ଫିଲିଲା?
(କାରୁପ୍ରକଳା) ଶ୍ରେବ ବନ୍ଦ ଏହି ମନ୍ଦିରକାରୀଙ୍କା? (ଶାରକ୍ଷିତ ନିଶ୍ଚିଦ୍ରବ୍ୟ)।

ଶାରକ୍ଷିତ

ହା! ଏହା କାର୍ଗି ସାଜନ୍କରି ଏହି ଏହିବି, ରାମ ମନ୍ଦିରକାରୀ?
ମାମା ଗିପ୍ରକଳନଦେବା, ତ୍ୱ ଏହି ଦାଗିଶିଲିବା, ବାହେରିଲିବା ନାହିଁରିବା!

ଶରୀରକଣି

ଆ! ଏହେ ଯନ୍ତ୍ରିଲା! ଏହି ବୈକ୍ଷଣା, ଏହାର ଏହିବି? ମେତ୍ର
ଏହି ଗାମିକ୍ଷିତିରିଲା!... କିବେଦାଵତ? (ଶୁଦ୍ଧେବିତ ଏହାବି) ବେ, ବେ, ବେ, ବେ!...

ଶାରକ୍ଷିତ

ମେ ଏହି ଶ୍ରେମା ଲମ୍ବିରିବା... କିନ୍ତୁ ଏହା କାର୍ଗି,
କ୍ଷେତ୍ରି ଦ୍ୱାରା ବନ୍ଦ କରିଲା ଏହିବି ବନ୍ଦିତ, କ୍ଷେତ୍ରି ଏହିବି, ଏହିବି
ଶାରକ୍ଷିତ ଜ୍ଞାନକାରୀଙ୍କା ଦ୍ୱାରା ବନ୍ଦିତ?

ଶର୍କାରୀଙ୍କ

କୈବୁଏ ଏହି ଦାମ୍ଭ୍ୟକାର୍ଯ୍ୟରେ... ରାମଦେବନିତି ଖଣ୍ଡା ଦାସିଲିମ, ଏହି ଦାମ୍ଭ୍ୟକାର୍ଯ୍ୟରେ!... ଶେବେ କି... ଶେବେ, ରାଜୁ ଖଣ୍ଡା ବ୍ୟୋମ, ମାନ୍ଦିନି ପରିଷ୍ଠାନି, ଅମିତ୍ରନି, ରାମ ବ୍ୟାକୁ ତାଙ୍କ ବାର! ଗ୍ରେସମିଳିବି?...

ଚିଶ୍ଚର୍ଣ୍ଣାଙ୍କ

ଶର୍କାରୀଙ୍କ! ଏହି ଶ୍ୱେତମଲ୍ଲେବା, ରାମ ପ୍ରମତ୍ତା ତାଙ୍କ ଶ୍ୱେତମଲ୍ଲେବା?

ଶର୍କାରୀଙ୍କ

ତାଙ୍କ କି? ମାଗରାତା ମାଜ୍ଯେ! ପ୍ରମତ୍ତାତି କି ମତ୍ତୁକୁହାଇ ମାଗରାତି
ମାନ୍ଦିନି ମାଗରାତା ମାଜ୍ଯେ! (ଅନ୍ଧରେବେ ତାଙ୍କ) ଶ୍ୱେତମଲ୍ଲାତ, ରାମ ଅନ୍ଧ-
ର୍ଯ୍ୟବ୍ୟଲ୍ଲାତା ବାର...

ଚିଶ୍ଚର୍ଣ୍ଣାଙ୍କ

ମେପ ବାର୍ତ୍ତୁମାଳ ଦା କିରାତ ଶବ୍ଦ ଏହି ଏହିବେ, ରାମ ଶ୍ୱେତମଲ୍ଲାତ
ବାର ମେହାର୍ଯ୍ୟବ୍ୟଲ୍ଲାତ.

ଶର୍କାରୀଙ୍କ

କେମି ବ୍ୟାକୁ ଏହି ଏହିବେ. ମେ ତକ୍କେବେନି ସାଫଲ୍ୟର୍ଯ୍ୟକ୍ଷେତ୍ର ଦାସ-
ଲୀଙ୍କ, ମେରେ ତକ୍କେବେନି ଘେରିଥାମିଲି, ରାମ ମାଗିଲିବାନା ଶ୍ୱେତମଲ୍ଲ
ଶ୍ୱେତମଲ୍ଲାତ, କେମି ମହାବଲ୍ଲେବେନି ମନମାଗନ୍ଧର୍ଯ୍ୟ ଦା ବ୍ୟାକୁ ଏହି-
କ୍ଷେତ୍ରରେ... ବିଭିନ୍ନରେ... ଦେଖିରେ ପ୍ରକ୍ରିଯା ଦା ବ୍ୟାକୁ ଏହିବେ... ଏହି-
ଦେଖିରେ ରାମ, ଶ୍ୱେତମଲ୍ଲାତ, ବାର, ତାଙ୍କ ବାର୍ତ୍ତୁମାଳ ମେତକ୍କି. ଗ୍ରାମି ଶା-
କ୍ଷେତ୍ରରେ ବାକୁକିଶ୍ଵେତମଲ୍ଲ କିମ୍ବା... ଏହିବେ ଦେଖିବେ ବାକୁକିଶ୍ଵେତମଲ୍ଲାକ୍ଷେତ୍ର...
ମେତ୍ରି ଏହି, ମାଗରାତି କେମି ଶାକ୍ଷର ଏହି ଦାମ୍ଭ୍ୟକାର୍ଯ୍ୟରେ... କାଳାଳ-
ଦେଖି ବାକୁକିଶ୍ଵେତମଲ୍ଲାକ୍ଷେତ୍ର, (ମୌର୍ଯ୍ୟକାରୀ ଶ୍ୱେତମଲ୍ଲା) ଏହିବେ ଏହିବେ,
ଶ୍ୱେତମଲ୍ଲାକ୍ଷେତ୍ରରେ... ଏହିବେ...

ଚିଶ୍ଚର୍ଣ୍ଣାଙ୍କ

ତକ୍କେବେନି ବ୍ୟାକୁ ଏହିବେ?

ଶର୍କାରୀଙ୍କ (କ୍ଷେତ୍ରରେ ଶ୍ୱେତମଲ୍ଲାକ୍ଷେତ୍ରରେ) କ୍ଷେତ୍ରରେ ଶ୍ୱେତମଲ୍ଲାକ୍ଷେତ୍ରରେ

ବ୍ୟାକୁ ବ୍ୟାକୁ ଏହିବେ? ଏହିବେ ଏହିବେ? (ମୌର୍ଯ୍ୟକାରୀ ଶ୍ୱେତମଲ୍ଲାକ୍ଷେତ୍ରରେ)

ქართველი

ვა! ჯიბეში ხელი ჩაგიყო, მერე არ გეშინია, რომ
ცოლმა გიღალატოს?

შროხორი

სსსუუუ! აგრე ნუ ახსენებ ჩემ აკულიანას, ახლა
იმას პატიოსნათ უჭირავს თავი! იქ არის, იქ... ეს ათი
წელიწადია... მე კი აქა ვარ მარტო, დაობლებული და
მის შესანდობარს ვსვამ ხოლმე...

ქართველი

ლმერთმა აცხონოს!

შროხორი

ნუ მომაგონებთ, თორებ თავს ვეღარ შევიშაგრებ
და ტირილი ამიგარდება. ხომ ხედავთ ხელები დაკავე-
ბული მაქვს, ვერ ამოვილებ წერილს.... ამოილეთ!...

ტუროვი

ეგ წიგნები აგერ სტოლზე დაწყვე და ხელ-აშვე-
ბული იქნები.

შროხორი

ეგ კი მართალია! (აწყობს) ინებეთ, მზათ არის...
წაკითხვა საჭირო აღარ არის, როგორც დაგენიშნათ, ისე
ამოვწერე.

ტუროვი

კარგი, შეგიძლია წახვილე.

შროხორი

არ შემიძლია... ვერსად ვერ წავალ!....

ტუროვი

როგორ თუ ვერ წახვალ!

შროხორი

ესე, ვერ წავალ, ვეათა ვარ.... გულზე მაწვება და
მუხლებიც მეკვეთება...

ტუროვი

შაშ აქ ხომ ვერ დაგაწვენ!

შრომის

დაწოლა რათ მინდა? დავჯდები, აი ასე!... და თუ
ეშმაკის ამბები არ მომეცით, ფეხსაც არ მოვიცვლი...

ჭარაჲეტა

ვა! ეშმაკის ამბები?

შრომის

ჰა, ეშმაკის ამბები, რომ პილატეს ცრემლი შევი-
ძინო... ის ძალიან უხდება ჩემ, სნეულებას... მისწრე-
ბაა... მისწრება!

ჭარაჲეტა

აბოლებს?

ტუროვი

აბოლებს კი არა, არაყი უნდა.

შრომის

ოოო! აკულინას შესანდობარი... აი კკვიანი. კა
ცი რა მალე მიშვედა! შენ კი ბრიყვი ხარ, ვერ მიხ-
ვდი... სად პილატეს ცრემლები და სად შენი კკუა?
ხე, ხე, ხე, ხე!

ტუროვი

დღეს ეგეც გეყოფა. წადი, აღარ მოგცემ!

შრომის

აღარ მოგცემ და არ წავალ! უფაიტონოთ ფეხსაც
არ გავდგამ...

ტუროვი

ოღონდ მოგვშორდი და მე მოვაყვანინებ.

ପ୍ରକାଶକଳ

რათა? მე ვერ მოვიყვან თუ? შენ მომეტი და მე
თვითონ გავიქცევი.... გავი.... გავიქ.... ცვივ.... (მიეძა-
ნება)

კარაპეტია

იაგორ პავლოვიჩი იყო... ოქსალები გაქცეულანო.

ხაზართვები

ვიცი. პროფესიონალი მიტომ შიბარებდა. მერე შენ
რა?

კარაპეტია

როგორ თუ რა? ისიც თუ გაქცეულა?

ხაზართვები

ვინ ისა?

კარაპეტია

სოსიკა.

ხაზართვები

გეშინია?

კარაპეტია

დალოცვილო, რა სასაცილოა? მე და ჩემმა ღმერთმა
ორივეს გაგვათავებს!...

ხაზართვები

მე არა მიჭირს რა და შენ კი ვერ მოგივა კარგათ საქმე!

კარაპეტია

ვინ მამაოხრის შეილი სახლიდან გავა, სანამ არ,
დაიჭერენ!

ხაზართვები

მაგის იმედი ტყუილა ნუ გაქვს: სახლშიაც კარ-
გათ, შემოგიხტება! ყოლიფერი შენი ბრალი იყო და
შენვე უნდა გადაგხდეს!

ქარაპეტია

ვა! თუ მანგრეა, მე ყარაულებს ვათხოვ!
ხაზაროვი

დიახ! შენთვის მოაცლიან ყარაულებს!
ქარაპეტია

მაშ რა ვქნა?

ხაზაროვი

არაფერი! ახლავე უნდა მდს საკოლესთან წახვიდე.
ქარაპეტია

ხუმრობთ? ახლა ხომ ხოსიკაც იქ იქნება?
ხაზაროვი

ეგ უკეთესი: დაიჭირე, ჯილდოს მიიღებ!

ქარაპეტია

დალოცვილო! მე რა დამჭერი ვარ?

ხაზაროვი

ყოჩალობას კი ძალიან ჩემობ და...
ქარაპეტია

ის ხომ კრივში არ გამოვა? თან ხანჯალი ექნება,
მე მუშტით რას გავაწყობ?

ხაზაროვი

დამშვიდლი, ძმას ხვალ ჩამოახრიობენ.

ქარაპეტია (გახარებული)

მართლა?!

მაშ ვინ გაქცეულან?

ხაზაროვი

ვიღაც უბრალო ირი თათარი.

ქარაპეტია

შაქარს მიირომევთ? გული გამიხეთქეთ!... მე თქვე-
ნთვის მეშინოდა... განა ჩემთვის?

ხაზაროვი

ვიცი, რაც შეილი ხარ!

ქარაბეტა

ვმ! ეს რა კარგი ფიქრი მომდის?

ხაზაროვა

რა კიდევ?

ქარაბეტა

გნებავთ, რომ ის ქალი მოვიყვანო?

ხაზაროვა

რას ამბობ? გაგიუღი?

ქარაბეტა

არა ჩემმა მზემ!

ხაზაროვა

აბა რას წამოგყვება?!...

ქარაბეტა

განა ნებით?... მოტყუებით მოვიტაცოთ.

ხაზაროვა

მერე რა გამოტა?

ქარაბეტა

ჩენს ხელში, ხომ იქნება და მერე თქვენ იცით,
რაც გამოვა!...

გამოსვლა მემვად

(ისინივე და სვისტკოვი)

სეისტერავი

ამდენი ხანია დაგეძებთ! არესტანტები გაქცეუ-
ლან... ყარაულები დაუჭრიათ, უნდა წამოხვიდეთ...

క్షాసిక్సింగ్

పారామ్పర్యాలో ఈశ్వరుకు రూపాలు కాపు అనుభూతి విషయం.

సమాచారం

ప్రామాదానందిత, నృంజన దుర్విగ్విషాంగేధత... త్వాంత్రంగి
మహాత వారిస. (మిథిలా)

పాఠాశ్చేటిక (మార్కు)

ఇస రూ పాఠా శిఖ్యా మామిడిస తావుశి?... అబ్లా ఫి
హావిగడ్చె బెల్లిశి... మార్కుతాంస అమ్బంధస బాంగుత్రం పాఠాలు-
విశిష్ట: విశాప ఏ డ్యురొ ఏజ్విస, (బెల్లిస ఇంగ్లిష్ శ్యాబల్స్) నిమాన,
రాప్ శ్యాబల్ బాంగులు, పాఠావ్ డ్యురొ దార్హింబాం.

పాఠా లింగం

მოძალული მოვთხე

ქაფან დარიბი თასი. ბუხარში ცეცხლი.

გამოსვლა პირველი

(ყელა პირს ზის თეკლე და ართაც. განზუ, სკამ-ლოგინზე სო. ტიკა წამოწოლილი.)

თებეჭე

ვე!... კიდევ!... ეს მესამეთ ჩავუთქვი და სამჯერვე
გაწყდა... ორჯელაც დამიცარა თითისტარი... კარგი
ნიშანიარ არის... ღმერთო, შენ აგვაცდინე განსაცდელს!...
(ქაბილი) უში! შეინდა არს, შეინდა არს! რა საშინელი
ელვა-ჭექა... თვითქოს ცა და ქვეყანა იქცევაო!

სოფია

აი დაიქცეს ბარემ და ჩაიტანოს დედამიწა!

თებეჭე

უი, დამიღეს თვალები... რას ამბომ შვილო?!

ეგ ხომ გმობაა... ღმერთს ჩას არისხებ?... პირჯვარი გა-
მოისახე, შვილო და თქვი სამჯელ: „შეგულდე და შე-
მინდევი-თქო“. დამიღეს ყურები, ეს რა გავიგონე!...
ღმერთო, ნუ მოჰკითხავ, შენი ცოდვილია!... აგრე იცის,
შვილო, შენოდენა აღამიანი რომ უსაქმურად ჩარჩება:
ეშმაკი დროს უპოვნის და რას არ ათქმევინებს!... ადე,
შვილო, ადე დიდი ღამეა გადასული... ვახშმობაა...
გახსენოთ ღმერთი და პირი გავისველოთ.

სოფია

არა მინდა, რა დედი!

თექლე

რას ამბობ, შვილო! ღოღეს შენს პირში არა ჩასულია
რა... ახლა თავს ხომ ვერ მოიკლამ სიმშილით?

სოფია

რა მეგახშება? ხვალ ის უნდა ჩამოახრჩონ და მე
კი უნდა ვილხინო?!... თუ კი უნდა ვილხინო?!...

თექლე

აბა რას ამბობ, შვილო! განა შეიძლება რომ ხორც
შესხმულმა ადამიანმა მაგრე მისცეს თავი მწუხარებას?
ეგ ხომ დიდი ცოდვაა, შვილო!...

სოფია

თუ კი მადა არა მაქვს?

თექლე

თავს ძალა დაატანე და მოგივა

სოფია

ვერა, დედი, ვერა! გულზე ცუცხლი მეკიდება!...

თექლე

ახლა რა ვქნათ, შვილო, რომ გეკიდება! ჭირს გა-
ძლება უნდა, ყოველივე ღვთის ნეებაა, ვენაცვალე მის
სამართალს!... ცოლ-ქრისტის ულელი, შვილო, კაში
ბედის ვარსკვლავზე კეთდება და გვირგვინიც მაღლიდან
ჩამოდის... ჰო, დედა-შვილობა! ალბათ არა ყოფილა
ღვთის ნება... არა ყოფილხართ ერთმანეთის წერა...
შენ მისი საქოჩირე არ დაგყოლია და იმას შენი... ადე...
ადე, გენაცვალოს დედა, თავს ძალა დაატანე!

სოფია

გოგიას აღარ შეაუცილოთ?

თექლე

ვინ იცის, როდის მოვა?

სოფია

მოუსვლელი ხომ არ დაღება? მალე მოვალო.

თებლე

კარგი, შვილო, მოვუცალოთ. მანამდი მეც ამ სარ-
თავს მოვათავებ. (ქართლი) უჰ! წმინდა არს! წმინდა არს!
დღეის დღე იყო... ბარბარობა დღე და სწორეთ ამის-
თანა უშველებელიც, იმ საცოდავ მამა შენს რომ ალი
დაეცა... საბრალო უქუდოთ, სარტყელ შემოხსნილი,
შემოვარდა სახლში... ადამიანის ნიშან-წყალი აღარ ჰქონ-
და და ჩავარდა ლოგინათ... აღარ გამობრუნებულა,
სწორზე სული დალია... (წუწუნებს) სულ წმინდა გიორგის
იგონებდა, ვენაცვალე მის დიდ სახელს... მაშინაც თურ-
მე ბევრჯელ ეხსენებია მისი სახელი, მაგრამ, გამწყრალი
რომ ბძანდებოდა, აღარ მიეხდა იმ საცოდავისთვის...

სოფია

ვინ იყო გამწყრალი?

თებლე

წმინდა გიორგი, შვილო!... განა არ მითქვამს? ერთ-
ხელ ხატობაზე წავიდა ცხონებული თელეთში... ცოტა
მეტი დაელია და მთვრალს საყდარზე შემოხვეული ძა-
ფები აეწყვიტა და ის იყო და ის... იმ დღიდან აედგვნა
მავნე და აღარ მოეშვა ის უშმინდური, სანამ ბოლო არ
მოულო... (ამთქნარებს) შენ ძუძუ-მწოვარი დამრჩი, შვილო!...
იმ დღიდან არც ერთი ბარბარობა არ გამიშვია, რომ
თითო სარტყელი არ დამერთოს და ჩემის ხელით არ
მიმერთმიოს წმინდა გიორგისათვის, მაგრამ, ვენაცვალე
მის სასწაულს, ეტყობა, ჯერ კიდევ არ მოუბრუნებია
ჩვენზე გული, რომ ჩვენი ბედი სულ ასე უკულმა და
უკულმა მიდის!..

სოფია (წამოჯდება)

ჩუ! დედი, მგონია კარზე მოღვა ვილაც!

გოგაძ

მე ვარ, მე, გოგიეი! გამიღე კარები!

სოფია

გოგია? (მივარდება და კარებს ულებს).

გოგაძ

უჰ! უჰ! უჰ!... რა თავსმაა! მიაქ მთელი მთა და
ბარი! (ნაბადს ჰელის) ძალი არ გაიგდება კარში... ძალი!

სოფია

რა ჰქენი?

გოგაძ

რაი უნდა მექნა?

სოფია

ნახე?

გოგაძ

ვინ მიგიშვა კაცმა მასთან! რაცდა ალიაქოთვა,
რომ სიახლოვეს არავის აკარებენ... ყალაურები მოუმატ-
ნიათ, ერთი რაცდა ამბავია!... ტუუალათ ვიყუნ ცულე!...
მიშვა კოკასავით წვიმამ.... ვიფიქრე დამალპო კაკალი
კაცი-მეთქინ და ქე წამოვედი ჩემდა.

სოფია

მაშ სულ ვერა გაიგე რა?

გოგაძ

რეიზა ვერა?... შეიტანე ბაზარში ჩიოდენ და და-
საჯერი, მართალიც უნდა იყოს, რომ ჩამოახრჩობით არც
ერთს არ ჩამოახრჩობენ, კარტეუში უკვრენ თავსო.

სოფია

ღმერთმაც აგრე ბძანოს!...

გოგია

ვამე, მაი რა გასახარელია!... ჩემთა მტერმა იფიქრა
საჯაყი!... კარტეში რა ფაიდაა, თუ იცი, ჩემო დაია!

სოფია

ის, რომ მეც თან გავყვები... აღარ მოვშორდები!...

გოგია

წავხდი კილავ! ნუ ჩივი აბდლურს! წაყვები რა,
შენ ნებაზეა?... ვინ გაგიშობს? ნამდვილ ცოლებს აქ
ატოებინებენ და შენ, ჯვარ დოუწერელს, ვინ შეგიშვებს?

სოფია

ჩემი ნებით წავალ.

გოგია

აჲ, გაგონილა აი! რაცხა ფარცაგი სული არ ხარ,
დაიავ, თვარა, თავის ნებით ვინ ჩაუგდო თავი ეშმაკებს
ხელში!... ნუ იტყვი მთაბა! მაი რას ვარგა! შენ სხვა
თქვი რამე. ათასი გზაია და ან ერთს გვასტავლის
ღმერთი და ან მეორეს...

თეკლე

ჯავრმა გონება წაართო, შვილო, და თვითონაც აღარ
გაეგება, რას ამბობს!...

ხმა გარეჭან

გოგია აქ არის, გოგია?

გოგია

ვინ ხარ, ამ დროს რომ კარებს არაკუნძნება!

ხმა

მე ვარ... გამოიხედე კარზე.

გოგია

ლედავ! არ იტყვი, ვინ შენ?

ხმა

სანდრო ვარ... სანდრო, საქმე მაქვს!

გოგია

სანდრო? ჰო და მანგრე ვიტყოდი!
ხმა

ბრ გამორხედე!

გოგია

სად გამოვიხედო ამისთანაში? შენ რომ შინ შემო-
ტვიდე, იგი არ აჯობებს! (უღებს კარებს).

გამოსლა მესავა

(ისინივე ტა სანდრო)

სანდრო

რა ერთი ხანია დაგეძებ და ვერ გნახე! ბოლოს ვი-
ფიქრე, რომ აქ იქნებოდი და მოგაშურე.

გოგია.

რა ანბავია?

სანდრო

ტუსალები გაქცეულან.

გოგია

გაქცეულან? აჲა, იგი იყო, რომ ბუზებივით ირეო-
დენ ყალაურები!... ვინ ტუსალებიო?

სანდრო

არ ვიცი, მაგრამ სოსიკა კი შიგ ურევია.

გოგია

სოსიკაც? კაი მახარებელი ხარ, შენ პირს შაქარი!

სითით (აღრაცხებული)

სოსიკა?...

გოგია

ნამდვილს კი ჩივი?

სანდრო

ამ სალაშოს პრისთავი შემოვიდა აღასთან. და უთხრა, რო ტუსაღებს ყარაულები დაუჩენიათ და გაქცეულანო, პროკურორმა გიბძანა ახლავე წამოდიო. თან წაიყვანა და მე შენ მოგაშურე.

გოგია

სოსიეც დაასახელეს?

სანდრო

ალბათ დაასახელეს, რომ კარაპეტას შიშით კანკალი აუარდა.

გოგია

ისიც იქინები იყო?

სანდრო

იქ იყო და რომ ვკითხე: რა დაგემართა-მეთქი? სოსიკა გაქცეულა ციხიდან და ვიცი, ცოცხალს აღარ გადაშარჩენსო.

გოგია

კაი დაგემართოს! ნათქვამია: ძმა ძმიზაო და შავი დღიზაო!... ახლა ეჭირვება მოხმარება ჩემ ძმობილს და თუ არ მივეშველე, ალარ მღირებია. თავი კინტრად და აგია!... წავალ და, თუ ულვაში არ გამქუცვია, ერთ კაცათ კი ვეყოფი, საცა უნდა იყოს! სანდრო, აბა ახლა გმართებს შენც ბიჭობა... თუ რამე შეგიძლია, რაღა დღიზა გინდა?

სანდრო

რა ვქნა, რომ აწ, სადაც არის, აღა მომიკითხავს და თუ იქ არ დავხვდი, არ ივარგებს!

გოგია

ჭო და კიდეც მაია!... წადი და ყური უგდე, თუ რამე ანბავე იქნეს. არ შეიძლება იქ არ თქვან ყვე-

ლაფერი ამ საქმის ალიან-ჩალიანი, და რომ გეიგო რამე,
შაშინათვე იფრინე და შემატყობინე. მე იაგორას დუ-
ქანში ვიქნები. ხომ კი იცი შენც იაგორას დუქანი?

სანდრო

სოსიკას ნათლიმამის?

გოგია

ჰო და იქანები ვიქნები და შემატყობინე. ახლა ქე
წევიდეთ, ნულაფერს დევიგვიანებთ. (თეალეს) შვიდობით,
დედა! (სოფიოს) შვიდობით დააი! თუ ცოტხალი დაერ-
ჩით, კი გნახავთ კიდომ. აპა, კარები დუუგდეთ! (მხ-
დიან თუკლე და ჰერავს კურებს და მობრუნდება).

ოქელე

შვილო, ეგრე რამ გამოგაშტერა... ფერი ალარ გა-
ძევს? განა სიხარულიც ვეღარ აგიტანია?

სოფია

დედი, ვაი თუ დაიჭირონ და მოკლან!... ანბობენ,
გაქცეულს რომ დაიჭირენ, ცემით მოჰკვლენ ხოლმეო.

ოქელე

კი, შვილო, მაგრამ დაჭირა არ უნდა?

სოფია

რა ძნელია?... ციხეში ჯდომით დაფორხებული
იქნება...

ოქელე

იჸ, არა შვილო, არა! აბა რა სათქმელია? ამის-
თანა დროს ეშმაკი თუ გამოუდგება კაცს დასაჭერათ,
თორემ სხვა არავინ... ყარაულებიც ადამიანები არიან,
ხორციშესხმული... ამისთანაში თავს როგორ გაიმეტე-
ბენ, რომ კვალდა კვალ მისდიონ!... არა, შვილო, არა!
შენ გული დაიშვიდე და ღმერთს შეევედრე...

სოფიათ

ოჲ, დედაო მღვიმისაო! (დაიხუქებს) შენ წაუმართე
გზა და ააცდინე მარცხს... შენი მადიდებელია, ნუ გაძ-
წირავ!....

თეჯლე (ხელ აპყრობილი)

წმინდაო გიორგი თელეფისაო, შენ ასწავლე გზა
იშ საცოდავს, რომ ერთი რწვევლი წინდა-პაიჭი, ჩემის
ხელით მოქსოვილი, შემოგავლო და შემოგწირო! უკი!
წმინდა არს, წმინდა არს! რა ზედი-ზედ ვარდება მეხი!...
შორს და უადალმა! შორს და გადალმა! წმინდა არს,
წმინდა არს!

სოფიათ

დედი, მეხი კი არს, კარებს ზრაკუნებენ.

თეჯლე

გოგია თუ დაბრუნდა?... ვინა ხარ?

ხმა

კარი გააღეთ!

სოფიათ

ვიღაც უცტაა!...

თეჯლე

უცხო? უი დამიღე თვალები, უცხოს რა უნდა?!...
ვინა ხარ — არ იტყვი?

ხმა

გამიღეთ და გაიგებო!

თეჯლე

ვინა ხარ ამ დროს?

ხმა

რას მიცნობ, რომ ვითხრა? სოსიას გამოზანილი
ვარ.

სოფია

უი! სოსიკას გამოგზავნილია? გაუღე, დედი, ეს:
ნაცვალე! (მივარდება და აღებს კარებს).

გამოსცლა მოოთხე

(ისინივე და კარაპეტა შემოდის. პირ შებუღნილი.)

ქარაპეტა

გამარჯობა: თქვენი! სოსიკა გაიკუთ ციხილან! და...
სოფია

აქ არის... გარეთ?...

ქარაპეტა

აქა? აქ როგორ მოვიდოდა შიშით! ნავთლულში
იმაღლება და მე გამომგზავნა... შამოგითვალა, თუ მნა-
ხეო. იმერეთისკენ აპირებს გადავარდნას და შენ უნა-
ხავათ კი ვერსად წავა.

სოფია (აშფოთებით).

მართლა? ახლავე, იო... ახლავე!... (მოსასხამ ეძებს).

თევზე

რას შვრები, შვილო? სად უნდა წახვიდე?

სოფია

ვერ გაიგონე? სოსიკას დაუბარებივარ ნათლულში!...

თევზე

ქა, ხომ არ გაგიერბულხარ, შვილო? ახლა როგორ
საღმე წახვალ!...

სოფია

არა, დედი, არა, არ შეიძლება, რომ არ ვნახო!...

თევზე

აბა რას ამბობ, შვილო? სად უნდა წახვიდე ამის-
თანა უშველებელში?!

ქარაბეტა

ჩემ პარტოს გოვასხამ.

ოკელი

უი, ვერა შვილო, ვერა! მარტომ სად უნდა წახვი-
დე? ვერ გაგიშვებ, გენაცვალოს დედა!

სოფია

მარტო რათ ვიქწები? აი ამას წავყვები.

ოკელი

ვერ გაგატან, შვილო, და რა ვქნა... თუ მაინცა და
მაინც აღარ დაგიშლია, გოგიას მოუცადე. ის მოვა და
თან გიახლება.

სოფია

მაშ კარგი... მაგრამ მალე მოვა კი?

ქარაბეტა

რას ამბობ, დედი, მაგლენი დრო არის? ერთი წამი,
ერთ რათმეთა ღირს!... აცლიან კი?... შეიძლება კვალი
აიღონ და დაიკირონ. დაგვიანება როგორ შეიძლება?

სოფია

მართალია, დედი... მართალი... წავიდეთ!...

ოკელი

არა, შვილო, ჩემის ცოცხალის თავით ვერ გაგიშვებ!...
(იქერს)

სოფია

გამიშვი, დედი!... შენ ძუძუებს ვენაცვალე, ნუ, ნუ
მიქერ, უნდა წავიდე!...

ქარაბეტა

გაუშვი ვა, ხათა! დროს რათ აკარგვინებ მაგ საბ-
რალოს, გაუშვი და!... (ხელებში სტაცებს ხელს, უნდა რომ გაა-
შვებით).

თემზე

არ შემიძლია!... კერ გაუშვებ!... დავიყვირებ! მე-
ზობლებს შევყრი... მიშველეთ, მიშველეთ!...

ქარაპეტა (სოფიოს)

შენ წადი და მეც გამოვალ. (ტუჩე ხელს აჭერს თეკლეს)

გამოსცლა მასზომ

(ისინივე და გოგია შემოიჭრება)

გოგია

რა ანბავია?! ვინა აი?! გაუშვი, თვარა მოგკლავ, ვინ-
კხა ხარ! (დამბაჩას მიაშვერს).

სოფია (ჩამოქუარება).

უი! სოსიკას გამოგზანილია, არ მოჰქლა, ცოდვაში
არ ჩავარდე... გენაცვალოს სოფიო!...

გოგია

რას ჩივი! ვინ სოსიკა?

სოფია

ჩვენი სოსიკა... დავუბარებივარ... უნდა ვნახო!...

გოგია

მერე და სადაა სოსიკა?

სოფია

ნავთლულში.

გოგია

ვინა თქვა მაი სიმცრუე! თათრები გაქცეულან. სო-
სიკეი ქე ჯის მისდა ციხეში... ტყული გამოდგა!

სოფია

არ გაქცეულა?... უი! (დაეცემა ტაჭრე).

ოქტავი

მიშველეთ!... მიშველეთ!... (მივარდება სოჭის) წყალი,
წყალი!...

ქარაპეტა (გავარდება კარში)

გოგია

გაშპა იგი დედაგაგლეჯილი, ვინცხაა!... (გამოუდგება)
დამრჩი, ყაზილარო, ვეღარ წახვალ!...

ოქტავი

შვილი, გული მოიბრუნე! თვალი გაახილე!...
(ასხამს წყალს).

გოგია (შემოჰყავს დაპერილი კარაპეტა)

რწყილი ვერ წამივა და შენ რავა გამექცეოდი!...
(მოათრებს) აპა ერთი უტხლი, ცეხლი. მიჩვენეთ, ვნახო
ვინაა აი დედაგაგლეჯილი! (მიიყვანს ცეცლთან და ბაშლიყს
მოგლეჯს) კარაპეტა?!...

სოჭიათ (წამოვარდება).

კარაპეტა?!...

გოგია

იგია! ბეჯრთად, კარაპეტა! ტყული ნუ ფხაკურობ,
ვეღარ წამიხვალ! აპა ერთი მომებმარეთ: უკანიდან აი
თოკი გამოსხენით, რომ ეს ერთი კარგად გავკოჭო!.

ქარაპეტა

ვა, დამახრჩოთ გინდათ! ყარაულ! ყარაულ!

გოგია

იბლავლე, სანამდი არ მოგეწყინოს! (ჰკოპავს)..

მოქადაგის მეცნიერება
სწავლა შეღებები
ქახი მკითხვის სტანდარტი
გამოსვლა პირველი

სანდრო

(გვერდი შეკურების გ.ნის. კარებს)

დიდება შენს სახელს, ღმერთო! ეს მკითხავი კი
არა ყოფილა, — გულთ მისანია! ვინ დაუწერა ასე წვრი-
ლათ ხელის გულზე ჩემი თავ-გადასავალი? ჩემი აღის
ამბავიც რომ ზედ მიწევნით სცოლნია! ცოდვილი კაცი-
ო! მართლაც, მაღლიანი რათ უნდა იყოს, რომ მტყუ-
ანს ამართლებს და მართლებს ამტყუნებს?... მაგრამ მე
რა? მე კი კარგათ მეცყრობა და კმაყოფილიცა ვარ.
(დაუქრდება) კი, მაგრამ ამ მკითხავმა რომ გამაფრთხი-
ლა: ერთხელ შენც გაგწირავსო!... გცემს და არ გატი-
რებსო... მარილს გაჭმევს და წყალს არ გასმევს, სანამ,
გაბოროტებული, შენს თავს შენვე არ გაგამეტებიებსო!...
ეს სწორეთ ასე იქნება, თუ გამიმეტა! ყველას ამ გვარათ
არ ჰლუპავს? მაგრამ ეს ყველა ამ შეჩვენებულმა მკით-
ხავმა რა იცოდა!... მისმა ეშმაქმა თუ უთხრა? გირჩევ,
რომ შენვე დასწრო და დალუპოვო, თუ შენი თავის-
თვის სიკეთე გინდაო! ჰმ, მაგის წინააღმდეგობა სხვას
ვის გამოადგა, რომ შენ გამოგადგეს! ბევრი რამ ვიცი,
მაგრამ ვინ გამაბედვინებს თქმას, ვინ დამიჯერებს! უფ-
რესებს რომ თვალში ჩაუვარდესთ; ხელს არ მოისმენ!

არა, ვიქნები ასე, ასე, ოოგორც დღემდი ვყოფილვარ! ეგება არც კი ივარგოს, მკითხავს რო ავყვე. განა ყოლიფერი მართალია, რასაც მკითხავი იტყვის? იმან ისიც კი მითხრა, რომ ერთ დიდი ხნის უნახავს მეგობარს შევხვდებიო.

გამოსვლა მეორე

(ისე და გოგია შემოლის)

სანდრო (შეჰქროვბა)

ღმერთო! ამას ვისა ვხედავ!

გოგია

ოჲ, სანდრო! გამარჯობა შენი! წავხდი, რას გამოშტერდი? გეწყინა ჩემი ნახვა თუ?

სანდრო

გამარჯობა, გამარჯობა, ჩემო გოგია! შენი ნახვა როგორ მეწყინებოდა, მარა აქ სხვა ამბავია!

გოგია

რა უნდა იყოს? მარჩიელი აქანეია?

სანდრო

აქ არის და კიდევ იმან გამაკვირვა: შენი ნახვა მიმთხრობლა!

გოგია

დასტურ ჩივი?! რა იცოდა მან?

სანდრო

ეგა თქვი და!... სწორეთ შენზე მითხრა: ნახავო,

გოგია

განა მიცნობს?

სანდრო

ეხლა კი მჯერა, რომ მისთვის დამალული არა ყოფილა რა!... დედა-მიწის ზურგზე ყველაფერს ხედამს და ყოლიფერი წინდაწინვე იცის!...

გოგია

დასტურ ჩივი, თუ ტყულათეი ყბას იქცევ?
სანდრო

ღმერთს გეფიცები, არა ვხუმრობდე!

გოგია

თუ ბეჯითად მაგისთანაა, მეც იგი მინდა. ა და-
თვი და ა მისი კვალიო — ნათქვამია.. ენახოთ!

სანდრო

იცოდე, ისეთ რამეებს გეტყვის, რომ გაგაკვირვებს-
მაგრამ დიდ ხანს კი გაცდევინებს.

გოგია

მოვუცილი, მეტი რა გზა მაქ!

სანდრო

სხეა, კაცო, სად დაიკარგე? სოსიკა რომ ჩამოახრ-
ჩევს, იმ დღიდან შენი კაცმა ველარა გაიგო რა.

გოგია

წავედი ოზურგეთს და აი სამი წელიწადია, იქიდან
ალარ გავქანებულვარ. ესაა, ახლა ჩამოვედი. შენ ისევ
იქა ხარ ძველ ალასთან? რას შერება ის სულ კატიანი?
არ კვრება?

სანდრო

რა უჭირს! ღმერთიც იმას სწყალობს და ხელმწი-
ფეც. ასე ცხოვრობს, თითქო მეფის შვილიაო! რაც
მარტო ოქრო-ქსოვილები იმის ოთახებში აფენია, ის
კმარა ერთ სიმდიდრეთ... ოთხი ათას თუმნათ არის და-
ფასებული!

გოგია

ვის დაუფასებია?

სახლი

არ დაშეწყასო, დააზღვევინა და სწორეთ ამდენათ
დააფასეს. ახლა რომ კიდევ დაიწყას; არას დაჭკარგავს,
ფულებს მისცემენ.

გოგია იძულება.

სტრაბშია?

სახლი

პო. ორჯელ-სამჯელ კიდევაც ბძანა: ნეტავი დაი-
წოდესო. მე მითხრა: ამას რომ მოახერხებდე, გაჩუქებო.

გოგია

ძამია, ქე უთქვამს შენდა: „დაწვიო!“ და იგია!

სახლი

უმერთმა დამიფაროს! მაინც მუხარა შეითხავმა:
უფრთხილდი, თორემ გაგაბამსო.

გოგია

იმან თუ გიბრძანოს, შენ რა გენალვლება! შენ კი
ალარ მოგყითხვენ.

სახლი

გშვიდობით!

გოგია

რას გეეშურები?

სახლი

მეშინია, ალამ არ მომასწროს. დღეს ამბობდა,
რომ მკითხავთან წავალო.

გოგია

რა იცის მან მკითხავი?

სახლი

კარაპეტამ უამბო, ყოლიფერს ტყობულობსო. მან
სიცილი აიტეხა და თქვა: მად რაღაც ფოკუსები იქ-
ნება და წავალ, შევიტყობ, თუ კაცი ვარო.

გოგია

რაფერ შეიტყობს?

სანდრო

მე მივალ სხვა ფერათო და თუ ერთი გავაძი რო-
გორმე მახეშიო, მერე მე ვიცი მისი მოწველაო, ის
ახლა ფულიანი იქნებაო. ჰა, ახლა კი უნდა წავიდე.
რომ მორჩე შენ საქმეს, ჩვენსა ამოირბინე. (მიღის).

გოგია

რა აბდალეია აი კაცი! ქე დოუჯერებია ყველაყაი!...
სოფიო, სოფიო! გამო ერთი პაწია ხანს, არავინ არის.

გამოსვლა მესამე

(ისვე და მკითხავი)

გოგია

გითხრა, რა ამბავი შევიტყვე?

მკითხავი

ვიტი; ვიტი. კარებზე ვიყავ მოყურებული და
მესმოლა.

გოგია

მერე რას იტყვი?

მკითხავი

იმას, რომ დრო არის თავი დავანებოთ ამ ხელობას;
გაგვიგებენ.

გოგია

ვერ მიხთი, რა თქვა იმ შეჩვენებულზე სანდრომ?

მკითხავი

ეგ არაფერია, ოლონდ-კი მოვიდეს და ვნახოთ:
ჩე! ფეხის ხმა ისმის... ვიღაც მოდგა კარზე.

გოგია

შედი შენდა! მე აქ დავრჩები და თუ ვიცანი, ვინ-
ცხაა, უკანა კარებილან შემოფალ და გეტუვი ყველაფერს,
თუ არა და—მეორიზა დეიბარე. (მკითხავი გადის).

გამოცვლა მეოთხე

(გოგია და ტუროვი შემოდის)

ტუროვი

მკითხავი აქა, დგას?

გოგია

აქ, მარა, რეიზა გინდა? იგი მარჩიელი კი არ ყოფილა,
როკაპია და ტარტაროზი!... დედავ, რაც მან მითხრა!...

ტუროვი

რა გითხრა?

გოგია

წავხდი! მეტს რალას შეტყოდა!... ჩემი ამბავი მას ჩემზე
უკეთ სცოდნია, ვინცხაა!...

ტუროვი

ჩანს, ნაცნობი ყოფილა.

გოგია

ნაცნობი რაია! რატომ სხვამაც არ იცის იგი, რაც
მან მითხრა?

ტუროვი

ალბათ მეტი შეუტყვია.

გოგია

რაი შეუტყვია? გუშინ ოზურგეთილან ჩამოვედი,
მან დღეს ყველაფერი იცის... ეს რავა იქნება? ჩემი
ცოლის ამბავი ვკითხე და იმან უფრო გამაყეყნა!

იცნობს?

ტურთვა

გოგია

რავაც თავის თავს!

ტურთვა

უნახავს?

გოგია.

სად უნდა ენახა! რა ვიყი, ტურა-ქალს ეგება წყალში, ან სარკეში კი დაენახოს, თვარა ისე, არ გამიწყლეს ღმერთი, იმას ჩემი ცოლი არ ენახოს და ვერც ნახოს!

ტურთვა

ისეთ რამეებს ამბობ, რომ სწორეთ სასაცინოა!...

გოგია.

იცნე, ნუ გენალვლება! და თუ მან შენც არ გა-
გაყეყეჩიოს, საჯაჟი მითხარი! (მიღის).

ტურთვა

ნეტავი ასე რედაქციებს ეხვეოდეს ხალხი! მაშინ
ქვეყნის საქმეც კარგათ იქნებოდა და ჩვენიცა. საკვირ-
ველი მიმზიდავი ძალა აქეს ამაოთ მორწმუნეობა!...
რაც უნდა სწერო, არა გამოვა რა, მაგრამ ფელეტონი
სასაცილო დაიწერება. ჯერ მე ვნახამ ჩემი თვალით და
მერე პროხოროვსაც მოვიყვან. (მიღიერა განის კარებს და
რეკავს).

ხმა

ჰაა! ვინ არის? მოვდიგარ, მო...

გამოსვლა მეცნობი

(ისივე და მკითხავი).

ტუროვა

მკითხავი შენა ხარ?
მკითხავი
რა გინდა, შვილო?

ტუროვი

მინდა გაყითხინო. რას იცინი?
მკითხავი
სასაცინოთ დაბერდი, შვილო!

ტუროვი

როგორაო?

მკითხავი

აბა, შვილო, კინ გინდა მოატყუო? განა არ ვიცი,
რომ შენ მკითხაობა არა გჯერა?... ჰაი, ჰაი, კალმის
კაცო! გინდა დავთარში ჩამწერო და გამომბეჭდო... ქვე-
ყანა ჩემზე აცინო?

ტუროვი (შემკრთალი)

რა იცი?

მკითხავი

მე და რა ვიცი? მაშ ჩენი ხელობა რაღა ყოფილა?...

ტუროვი (ხელზე იხედება თავისთვის)

მელანში ხომ არა ვარ გასვრილი?

მკითხავი

თითებს რას იშინჯავ, შვილო! მელანი ხომ არ მა-
ცხიაო? ჰო! არა, შვილო, ეგ რა საჭირო! განა ისე კრ-
ვერ შეგატყობ? შებლზე გაწერია.

ტურთვი

თუ ყველაფერს მანგრე ტყობილობ...
მკითხავი

გინდა შენი თავ-გადასავალი. გიამბო?
ტურთვი

სასაცინო ამბავია!... რაზედ მკითხაობ: ლობიოზე
თუ წყალზე?

მკითხავი

საქმეს გააჩნია: თუ ადვილია ლობიოზე და თუ
ძნელი წყალზე. შენთვის კი ლობიოც მეტია.

ტურთვი

სამკითხაოს რას იღებ?

მკითხავი

რასაც მომცემ. თუ დღეს ბევრი იგილია, მეტი
მომცემი და თუ ცოტა, სულ ნურას მომცემ.

ტურთვი

ვისგან რა უნდა ამელო?

მკითხავი

კვერცხი ვერავის დაადებიე?

ტურთვი (შემკრთალი)

მიუნობ?

მკითხავი

პირველათა გხედამ ამ ჩემი სულის ცხონებამ! ოჟ,
ოჟ, რა მატყუარა მეგაზეთე ხარ!...

ტურთვი

რა იცი, რომ მეგაზეთე ვარ? (თავისთვის) დასწყევლოს
ღმერთმა... ხუმრობაც არ არის!...

მკითხავი.

გიკვირს? რათა, შვილო? ბევრი რამ არის ქვეყანაზე, რომ გაუტებარია!... ჯერ კიდევ ბევრი ხნი გაიღლის, სანამ შენი წიგნები ახსნიდენ! მოდი, შვილო, აიღ ხელში ლობიოს მარცვლები, სამჯერ უკუღმა მოტრიალდი, თვალები დახუჭე და დაჰყარე ჩემ წინ!.

ტურთვი

კარგი. (თავისთვის) სასაცინოა! ხვალ აშას ყოლიფერს ავწერ და საუცხოვო ფელეტონი იქნება. (ასრულებს მკიონავის სიტყვას)

მკითხავი (დაწერებია აქა-იქ დაწნეულ ლობაოს. უი! დამიდექს თვალები, რომ არა გამოდის რა!... „საიდან სადაო, წმინდაო საბაო!“ ნეტავი ამ აქლემს აჭრა უნდა, რომ ეჩირება?

ტურთვი

აქლემს?!:

მკითხავი

დიახ, აი, შვილო, ერთი აქლემი წამოუყენებიათ სულთამხუთაევით და ზედ მის კისერზე ჩამოხტობას უპირებენ ვიღაცას.. ვიღაც საწყალი კაცია, სულ შენა გგავს!... ძმა ხომ არა გყავს?...

ტურთვი

დალახვროს ღმერთმა! რას ამბობს!...

მკითხავი

რასაოცრათა გგავს!... (ბუტბუტებს) დიახ, ვიღაც დილი კაცია გამწყრალი და ჩამოხტობას ემუქრება... არ, ერთი ვიღაც მშველელი გამოუჩნდა იმ საცოდავს და გადაარჩინა, გააპარა... აი, რომ არა გამოდის რა!... (აურევს მარცვლებს) არა, შვილო, არა! არა გამოდის რა!... ეს მიტომ რომ, არა გრწამს მკითხაობა! (თავს-აწებებს).

ტურავი

ახა, ღმერთო, ეს რა 'მესმის!... ქაგრძე დელი...
ნუ გენალვლება!...

მკითხავი

შენი ნებაა. აბა ხელ ახლა დაჭყარე ლობიო. აი
ნედავ ამ ორ მარცვალს, რომ გაცვივდნენ? ეს ერთი
შენა ხარ, ერთიც ის შენი მხსნელია. შენ გამოცვლილი
და გადაკეთებული ხარ, ის კი ისევ ძველებურათ დარ-
ჩენილა. შენ იმას ჰდალატობ და ისეთ მახეში აგ-
დებ იმას შენ და ერთი ვიღაც ბოროტი სული, რომ
იქერენ იმ საწყალს... აი ახრჩობენ კიდეც და შენ კი
სეირს უყურებ შორიდან... იჭ, არა შვილო, არა... კიდევ
არა გამოდის რა!... ჯადო მომელალა... აბა ერთი შე-
ჭულოურ ახლა მე. (ზუტზუტებს).

ტურავი

საკვირველებაა, (თავისთვის) საკვირველებაა!... მოდი და
ნუ დაიჯერებ!... ახლა მჯერა... სწორეთ მჯერა, მაგრამ
სირცხვილით როგორ უნდა გამოტყდეს კაცი? ხვალ
მე უეპველათ უნდა დავცინო მათ, ვინც მკითხავებთან
დადიან და მე კი თვითონ... მე კი...

მკითხავი

ფრთხილად, შვილო, ფრთხილად! თუ მარჯვეთ არ
იქენი, ის შენი მეგობარი შენც დაგლუბავს... ისეთ მახე
ში გაგაბამს. შეტი არა გამოდის რა! ხეალ დილას აღრე
მოდი, შვილო, და წყალზე გიკითხავ, იქ უფრო ბევრი
რამ გამოჩნდება... ჩუ! ფეხის ხმა ისმის.

ტურავი

მოდის ვინმე? სირცხვილია, არავინ მნახოს! დედი,
იმ კარებში ვერ გავალ?

მკითხველი

რატომ არა; შეილო! ძალიან ფრთხილათ იყავი! (მიღის). გზა მშვიდობისა! (მიჰყავს, გავლენა).

გამოცვლა მემვადე

(ხაზარვი გლეხის ტანჩამოსით და კარაპეტა შემოდიან)

ხაზაროვი

აქა დგას?

კარაპეტი

აქ გახლავსთ.

ხაზაროვი

მერე სად არის?

კარაპეტი

წავიდოდა სადმე.—გამოვა.

ხაზაროვი

სადაურია?

კარაპეტი

კაცმა არ იცის! შორიდან მოსულიაო ამბობენ, ახალციხის მაზრიდან დაო. აქ მაგისი მცნობი ჯერ არავინ: გამოჩენილა და ეგ კი ყველასა სცნობს, ქვეყნის ამბავი ხელის გულზე უწერია!...

ხაზაროვი

აი, ისემც ღმერთი შენ გიშეველის! (იცინის).

კარაპეტი

დალოცვილო, ჩემი ამბავი ჩემზე კირგათ სცოდნია და ვინ უთხრა?

ხაზაროვი

შენვე გამოგტეხდა როგორმე.

ქარაბერა

ვინ მამაოხრის შვილს ჩემდა თავად კრინტი დაძი-
ძრავს! მე ენა ჩამიგარდა...

საზარდვი

მაშ ვინ უთხრა?

ქარაბერა

ეგა ბძანეთ და... მისმა ეშმაკმა!... განა მარტო
მე?... მთელი ქვეყანა თავზე ეხვევა და გაკვირვებულია,
თუ როგორ ტყობილობს.

საზარდვი

ისინიც შენისთანა ტუტუცები არიან.

ქარაბერა

დალოცვილო, ტუტუცი რომელია? ისეთი ვინმე-
ები დაღიან—არც კი დაიჯერებთ! ნაშუალამევს მაინც
ეკიპაჟების ტევა აღარ არი.

საზარდვი

აქ სჩანს, სხვა რაღაც ამბავია უნდა ხელში ჩა-
ვიგდო.

ქარაბერა

პოლიციას ისეთი რამეები უთხრა, რომ პირი და-
დებია!...

საზარდვი

შიგ კი არა ჩაუდვა რა? (იცინის) რათ აგვიანებს?
დაუძახე, გამოვიდეს.

ქარაბერა (კარებზე მიღვება)

დედი! ჰე, დედი! შინა ხარ?

გამოსვლა მეზოდი

(ისინივე და მკითხავი).

მკითხავი (კარაპეტას)

ქა, შენ კიდევ მოსულხარ? რაღა გაგჭირებია?

ქარაპეტა

მე არაფერი, დედი. გაჭირებული ნათლი მამა მო-
მიყვანია.

მკითხავი

აბა სადაა? ესა?... (შეკითება და შეჩერდება).

ხაზართვი

რას შეკრთი?... მიცანი?

მკითხავი

აბა რას გიცნობ, შვილო, პირველათა გხედავ!

ხაზართვი

მაშ რა გაგიკვირდა?

მკითხავი

რაც გასაკვირვალია!

ხაზართვი

მაინც?

მკითხავი

ქა, სხვასთან როგორ გითხრა?

ხაზართვი

არა უშავს რა, ეს ჩემი ნათლიაა.

მკითხავი

აბა, შვილო, მართალია მაგის სული და ხორცი
ორივე შენს ხელშია, მაგრამ მაინც, რათ გინდა, რომ
შენი თავ-გადასავალი შეიტყოს?

କାହାରଙ୍ଗେ

ଶେନ କି ଦେବରୀ ଘେପୁଲିନ୍ଦା, ଶେନମା ମନ୍ତ୍ରେ!
ମୁହଁତକେବୁ

ଯନ୍ତ୍ରଣାଟ! ମାଗାଶତାନ କି ଏହାର ଘେତୁପୁଣି
କାହାରଙ୍ଗେ

ନାତଳିଆ, ଏହା ଜୀରତି ଗାଲି, ରାଶ ମେତୁପୁଣିମି?
କାହାରଙ୍ଗେ

ଏହି ନାଥାମତ, ତାହା ରାଶ ଗିତକରାତ ମାଗ ଶେଖିଯେନ୍ଦ୍ରିୟରୁଲମ୍ବା।
ଶ୍ରୀଲି ଶ୍ରୀଵା ବିନମ୍ରେ... ଶ୍ରୀଲି ଶ୍ରୀମାକିଶ୍ତ୍ରୀନ ମିଶ୍ରପିଲନନ୍ଦା...
(ମିଶ୍ରନନ୍ଦା)।

କାହାରଙ୍ଗେ

ଏହା, ଏହାର ରାଶ ମେତୁପୁଣି?

ମୁହଁତକେବୁ

ମନ୍ଦଗିରିଲାବେ ବିନମ୍ରେ, ତାହା ଗାଗିପାରିପ୍ରାମି?

କାହାରଙ୍ଗେ

ରାମଗାନ୍ଧି?

ମୁହଁତକେବୁ

ମାତ୍ର ଏହି ଶ୍ରୀଵିଷ୍ଣୁ ତ୍ରାନିଶାମିଲାରୀ ରାତ ହାତିପ୍ରାମି?

କାହାରଙ୍ଗେ

ଶ୍ରୀଵିଷ୍ଣୁ?

ମୁହଁତକେବୁ

ରାମ ଗଲ୍ଲେବିନ୍ଦୁ.

କାହାରଙ୍ଗେ

ଗଲ୍ଲେବି ବାର ଲାଲ ଗଲ୍ଲେବୁରୀ ମାପ୍ରିବା!

ମୁହଁତକେବୁ

ତମ, ଗଲ୍ଲେବି କାହା? ଶାରୀ?

କାହାରଙ୍ଗେ

ମୁଁ... ମୁଁ ଶାରୀରିଲାନା ବାର... ଏଲିଲାନ... ଗାଗିଗାନିବ
ଶାରୀରିଲା ଏଲି?

მკითხველი

არა, შვილო, მიჩვენე ხელი! (დასჩერებია) არც ალი-დანა ხარ და არ ცეცხლიდან, მაგრამ ორივეში ჩასაგდები კი ხარ... შენ აქ კეთილი განძრახვით არა ხარ მოსული!... არა, შვილო, წალი, მე შენი თავი არა მაქვის... ვერას გეტყვი!

ხაზართვები (შემკრთალი)

შენ, როგორც გატყობ, შავი ქვა იცი და ნაცა-რი ცხელი!... რას მიედ-მოედები: გლეხი არა ხართ! თუ მკითხავი ხარ, მიკითხავ!

მკითხავი

კარგი, შვილო, თუ არ დაგიშლია!... (მოიტანს წის ჭურჭელს, დაასხამს წყალს, ირგვლივ წმინდა სანთლებს ანთებს, ჩაჩერდება და ულოცავს)

ხაზართვები (თავისითვის)

გიქსა ჰეაეს!... როგორ შემატყო?...

მკითხავი

უი! (უცბათ წამოვარდება) ღიდი-კაცი გლეხის ტანი-სამოსით!... ქა, სულ სხვა აზრით მოსულხარ!... შვილო, ვერა ხედავ, რომ ჩვენი ხელობა ჩვენგან არ არის?... ან ღვთისაგან უნდა იყოს და ან ეშმაკისაგან... ან ერთს რითა სცდი და ან მეორეს? აი, შვილო, ჩახედე, თუ არა გჯერა!

ხაზართვები

აი დასწყევლოს ღმერთმა! (იხედება)

მკითხავი

ხედავ შენს თავს, რა მდიდრული ტანისამოსითა ხარ?

საზარდოება

რას ამბობ, ბებერო! რაც მაცვია, იქაც ის მოსჩანს.
მკათხავი

მაშ თვალები აგხვევია უოდეით! აბა კარგათ დააკ-
ვირდი. იმ ვარსკვლავსაც ხომ ხედავ შორს, შორს...
ცის კიდეში?

საზარდოება

რა ვარსკვლავებსა!... სანთლების შუქია!
მკათხავი

არა, შვილო, განა ვერა ვხედავ? აი რს ერთი დიდი
ვარსკვლავი რომ გიყაშეაშებს, თითქმის თვალს გიქნევს,
ის შენი ვარსკვლავია, შენი ბედია. უჰ, რა ბეჭი მო-
გელის?

საზარდოება (ჩაჰურებს)

დალახვროს ღმერთმა, სად რასა ხედავს!...

მკათხავი

შენც პირდაპირ მისკენ მიღიხარ. სწორე გზაზე
დგეხარ, მაგრამ...

საზარდოება

მაგრამ რალა?

მკათხავი

ქვრივ-ობლების ცრემლებს დაუსველებია ეგ გზა!
ლარიბ-ლატაკების ოხერა გიბერავს გრიგალ ქარივით
და უკულმა გაბრუნებს...

საზარდოება

ხომ არ გადარეულხარ?! რეებს ამბობა!

კმათხავი

არა, შვილო, არა! ბეჭი მოგელის, რომ ის მთა
შენ არ გიშლიდეს.

ხაზაროვი (შეშინებული)

რა მთა?

მკითხვა

ზედ შუა გზაზე ამართულია ერთი დიდი მთა, მაგრამ, საკეირველია: არც კლიფია, არც მიწის, სულ სხვა ნიერებისაა. უჟ; ვის მოუგრძელებია ამდენი ნოხები; ოქრო-ვერცხლები, შალები, მუთაქები, ნაირ-ნაირი რა-მები!... (აღელვაბული) ესენი ვინ ჩაგსაფრებიან გზაზე? წინ გელობებიან... სკლილობენ, არ შიგი.შვან. ბედის ვარსკვ-ლავთან!...

ხაზაროვი (თან და თან აღელვებული)

ღმერთო, ეს რა შესმის, რას ამბობს!...

მკითხვა (კანკალით)

თმა გაშლილი დედები... მტირალი ცოლები... მომა-კვდავი შვილები... აი მარცხნივ გზაზე — ახალგაზდა ქა-ლი... წყალში თავი ამოუყვია და გაშინებს... შენი მიზე-ზით დაუხრჩვია თავი!...

ხაზაროვი (შეშინებული)

გაჩუმდი, შე წყეულო!

მკითხვა (ყურს არ უგდებს, შფოთავს)

ოჟ, სახრჩობელია!... ზედ ვიღაც უცოდველი, მართა-ლი კაცი ჩამოუკიდებიათ და დამნაშავე კი იქვე დგას, შენს გვერდით... შენ აფარებ ხელს, შენა...

ხაზაროვი

აი დასწყევლოს ღმერთმა!...

მკითხვა

ოჟ, თუ ისინი არ გიშლიდენ ხელს, გზაზე არ გე-ლობებოდნენ!... მაგრამ ძრიელია შენი ანგელოზი! ქედ-ბედით დაბადებულხარ! მთას ნაეთი მოასხა შენმა ანგე-ლოზმა... ცეცხლი წაუკიდა! ალი ცამდი უწევს, იწვის.

იდაგვის დაიფერტლა... გაქრქნ მოჩვენებებიც და გზა
გაწმენდილი წინ გიძევს! მიგელის ბეღის ვარსკვლავი...
ჩუ! (წამოვარდება ზეზე გიევით).

ხაყაროვი

რა ამბავია კიდევ?

ძვითხაჭა

მამალი ჰყივის.

ხაყაროვი

რას ამბობ? აქ მამალს რა უნდა?

ძვითხაჭა

შენ არ გესმის... მე მესმის... მკითხაობა აღარ შემიძლია:
ძალა მეკარგება... მეორეთ მოდი, მეორეთ ნაშუაღამევს.
ახლა კი... აი მეორეთ იყივლა, მესამეც არ დამასწროს.
ფუ! ფუ! ფუ! (აქრობს სანთლებს, წყალში უყოფს თავებს) ახ-
ლა კი გზა მშვიდობისა!... ჯამი პატრონსა, წყალი ცო-
დვილსა, ნაეთლი ეშმაქს, ცეცხლი შენ სულსა, ალ-
მური კუდიანებსა! (შეასხამ ჯამით წყალს და შევარდებ გი-
რვით ოთახში).

ხაყაროვი (შეშინე'ული)

ეს რა ამბავია! რეები ვნახე!... რეები მითხრა!...
ღმერთო ჩემო, ცხადია თუ მძინავს!.. (გაოცებული დგას).

ფ ა რ დ ა.

სიმა მომენტი

გამომძიებლის ოთახი:

გამოსცლა პირველი

(მახნევიჩი ჩვენებას ართმეუს ამიტინდოს, ხაზაროვი იქვე ზის
და ტუროვს ელაპარაკება; სუისტკოვი და კარაპეტა ფეხზე დგანან
და საუბრაბენ).

მახნევიჩი (ამიტინდოს):

ექვეი პირდაპირ თქვენზედ შემოაქვსთ!

ამირინდო

ვისა?

მახნევიჩი

აი, ბ. ხაზაროვს. ამტკიცებს, რომ ცეცხლი ჩემი.
მტერობით გააჩინაო.

ამირინდო

ეგ რომ მექნა, მაშინ მაგის მოყვარე ვიქნებოდი,
და არა მტერი! მანეთის სალირალი თუმანში აქვს დაზ-
ღვეული!

მახნევიჩი

პირადი სარგებლობაც გქონდათ?

ამირინდო

ნეტავი ერთი არა ხუმრობდეთ! გიუის მეტი ვინ-
გამეტებდა თავის სახლ-კარს დასაწვავათ?!

მახნევიჩი

ვალები ბევრი გაქვთ?

ამირინდო

იმდენი, რამდენიც ეყადრება ჩემისთანათვალი შვილს.

მახნევიჩი

დაზღვეული რამდენში გაქვთ?

ამირინდო

იმდენში, რამდენიც საჭირო იყო ბანკისათვის.

ხაზაროვა

ეგ ბანზე სიტყვის აგდება!

ამირინდო

შენ კი გაჩერდი, შენი საქმე არ არის, თორემ არ
ვიცი, რას ვიზამ, მამა ჩემი ნუ წამიშემდება!... სისხლი
ყელში მომადგა!...

მახნევიჩი

დამშვიდლით, კნიაზო, და მე მიპასუხეთ. (ხაზაროვს)
გთხოვთ, სიტყვას ნუ აწყვეტინ ებთ! (ამირინდოს) ცეცხლი
რომ გაჩენილა, იმ დროს ამის საღომში უნახეიხართ.

ამირინდო

მერე რაოც განა ჩემს მეტი არავინ ყოფილა?

მახნევიჩი

თქვენ იქ ყოფილხართ იმ დროს, ცეცხლი რომ
გაჩენილა და მომსვლელებს მოუსწროთ.

ამირინდო

ტყუილია! მე რომ შევედი ოთახში, სავსე, იყო ხალ-
ხით.

ხაზაროვა

პოლიცია რომ მოსულა და კარები ჩაუმტვრევია,
ეგ იქ ყოფილა.

სფისტკოვი

დიახ, პოლიციას ეგ ენახა და მეტრე მეც. შემატ-
ყობინეს. მივეღი და კნიაზი ოქ ვნახე.

ამირინდღო

რას ამბობ, კაცო? მეტომ მოვეღი, შენ იქ არ დამ-
ხვდი? მაგისთანა გულმავიწყობაც იქნება?!

(ზელს მიაშვერს
კარაპეტას) აი ეს კაციც, რომ რაღაცას გეჩურჩულებოდა!
ქრისტეტა

მე? მე რომ მოვეღი თქვენ იქ ბრძანდებოდით.
ამირინდღო

ფეი! ბუზი ხომ არ ვიყავი, რომ ვერავინ შემნიშ-
ნეთ?! მარა აქა სხვა რაღაც ამბავია!... გინდათ, რომ
დამნაშავე დამალოთ და მე მომახვიოთ თავზე? არა შეი-
ლოსა, განა არ ვიცი, ვინც არის დამნაშავე?
მახნევები

ვისზედა გაქვსთ ეჭვი?

ამირინდღო

ვეუო, რაღაი პირდაპირობაზე მიღდა საქმე, ჩვენც
ალარ დავფარამთ! დღეს მკითხავს ვკითხე და იმან მით-
ხრა, ვინც დასწვა.

საზაროვი

თქვენ, კნიაზო, ისეთ რამეებს ამბობთ, რომ სწო-
რეთ სასაცინოა; ... მკითხაობით გამოძიება?!

ამირინდღო

არა, შენ თუ კაი სული იყო, შვილოსა, და გული
მართალი გაქვს, რატომ მაგრე გეტკეცა? მე მოხრობელი
კიდევ მომიყვანია. ეი, თქვენ, იქ შემოდით ერთი!
აი, მოხრობელი შემოვა და ჰკითხეთ. მაშინ გამოჩნდება,
მე ვარ, თუ სხვა ვინმე დამნაშავე!...

გამოსვლა მოღრე

(ისინივე და სოფიო შემოდის, გოვია თან მოჰყვება)

ხაზარავი

ის ქალი!

ძარაშეტა

ის ქალი!

მახნევიჩი

ვინა ხარ?

სოფია

მე, ბატონო, ამის ცოლი გახლავარ (გოვიაზე უჩვენებს).

მახნევიჩი

შენ ვინდა ხარ?

გოგია

ქმარი გახლავართ, ბატონო, ამისი.

მახნევიჩი

მაგას არა გკითხავ, სადაური ხარ და ვინ?

გოგია

გურული გახლავარ, გოგიას მეძახიან, აზნოურიშვილი, გვარათ ტაკიძე, ხელზე მოსამსახურე.

მახნევიჩი

ცეკლის გაჩენის თაობაზე იცი რამე?

გოგია

კი, ბატონო, მარა ამ ჩემმა ცოლმა უკეთ იცის. მარა თქმის გვეშინია: დიდი კაცია და რო გაწყრეს, ვერავინ გვიპატიებს.

მახნევიჩი

კანონზედ ლილი არავინ არის: სთქვი!

სოფია

ამან, ბატონო, ეს გახლავთ დამნაშავე (უჩვენებს ჩაროვზე).

ამირინდო

მე კი არ ვიცოდი, შეილოსა!

ეპელა (შეშფოთებით)

რას ამბობს! ...

გოგია

მეც მაი უნდა მეთქვა, ბეჯითათ მაია!

საზარელი (ლიმილით)

მე გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში, რომ ეგენი
მტრები არიან ჩემი, როგორც გამომძიებელის. მახსოვს,
ერთხელ მე გამოვიძიე მაგათი საჭმე და მას შემდეგ...

მახნევიჩი

იცნობთ მაშ ამას? მტრობა გაქვთ რამე?

სოფია

არა; ბატონო! მაგასთან მტრობა ვის გამოადგება,
რომ ჩვენ გამოგვადგეს, განა არ ვიცით, ვინცა ბძანდება!
მახნევიჩი

მაშ იცნობთ?

სოფია

როგორ არა, შენი კირიმე, რომ შაგისაგან დედა
მიწასთანა ვართ გასწორებული: ჩემი საჭმრო სოსიკა
მაგან უსამართლოთ ჩამოახრჩინდინა და დამნაშავე კი
გაამართლა, აი ეს კაცი (უჩვენებს კარაპეტაზე).

ქარატეტა

ვა, გიჟია ოხერი!...

მახნევიჩი

მაგას არა გკითხავ.

სოფია

მოგახსენებ!, შენი ჭირიმე, ყოლისფერს მოგახსენებ! მერე, შენი ჭირიმე, მე აღარ მაძლევდა მოსვენებასა და მეტი გზა აღარა მქონდა, ამ გოგიას გავყევი ცოლათ. გურიაში წამიყვანა და იქ ვიმალებოდი. იქ კი ხმა დაპყარეს წყალში დაიხრჩოვ... მეტათ ვერ ვიხსნილი თავს.

საზარფი

გთხოვთ, რომ მაგაებს ნუ ალაპარაკებთ.

მახნევიჩი

ეგ სრულიად საქმეს არ შეეხება!

გოგია

მოგახსენებთ, ბატონო, იმას მოგახსენებთ! თითო კაკლათ გაიგებთ ყველაფერს. ჩქარა თქვი, სოფიო!

სოფია

დიდი ხანი არ არის, რაც აქ გიახელით და მკითხავთან გახლდით და იმან მითხრა, რომ ცეცხლი ჩემი რჩევით გააჩინა გამომძიებელმათ.

მახნევიჩი

ეგ იცი, სხვა არაფერი?

ამირინდო

საბუთი არ არის?

საზარფი

ცხადია, რომ ეგენი კნიაზს მოუყიდნია და სიცრუეს ამბობენ. ჩანს, რომ ეგენიც თანამოზიარე არიან და გთხოვთ დაიჭიროთ. თქვენა გყავსთ კიდევ საკითხავი ერთი, მოწამე, რომელიც აქ არის — ჩემი მსახური. იმას

კიდეც მოუსწრია დამნაშავე: პირდაპირ კნიაზზედ უჩვეუნებს და სხვები ვერ ვიცანიო. უთუოდ ესენი იქნებოდნენ და გთხოვთ უჩვეუნოთ.

მახნევიჩი:

შემოიყვანეთ მოწამე.

ამირინდა

რაო!... ჩემი ბიჭიო!... რამდენიც შენ დაგეჯერება, იმდენი ამ შენ მსახურს. ისიც შენისთანა მოხერხებული იქნება, შვილოსა, შენი გაზღილია!

გოგია

ვმ, მოვიდეს, ვინ ცხაა და ვნახო. (იღიმება).

სოფია

კი, შენი ჭირიმე, თუ გვიცნობს და უნახვივართ.

გამოსვლა მესამე

(ისინივე და სანდრო შემოღის.)

მახნევიჩი

შენა ხარ ამათი მსახური?

სანდრო

მე გახლავარ.

მახნევიჩი

რა იცი იმ საქმის შესახებ? — რას გაჩუმდი?

საყაჩოვი

სთქვი, ნუ დაპფარავ, ნუ გეშინია!

სანდრო

მე გახლავარ...

ქარაპეტა

რას ამბობს! (თავისითვის) თავის თავზე მიიღო!...

მასნევიჩი

შენ?

სასდრო

დიახ, ბატონი, მე მივახს-მოვახსი ნავთი.

კარაპეტი (თავისთვის)

ვა, დაუვიწყდა ამ ოხერს, რა უნდა ეთქვა!...
მასნევიჩი

რა განზრახვით?

სასდრო

რა მოგახსენოთ, ბატონშა მიბრძანა.

უკელა (შეშფოთებით)

ბატონშა!...

სასდრო

ბატონშა. აღრეც ბძანებდა: კარგი იქნება, რომ
ცეცხლი წაეკიდებოდესო. ნავთი მე მოგახსი, მაგრამ ის
კი არ ვიცოდი, თუ ცეცხლის წაკიდება უნდოდა. საზაფ-
ხულოთ გადავდივარ და აქაურობას რჩილი ვეღარ წაახ-
დენსო. მართალი მეგონა...

მასნევიჩი

მერე?

სასდრო

მე დამითხვევს მთელი დღით და იქ ბატონი და
კარაპეტა დარჩენ. ნავთიც კარაპეტამ იყიდა.

კარაპეტი

ვა, მე განა მიტომ ვყიდულობ ნავთს, რომ ცეცხ-
ლი გააჩინონ?!... მე რა ვიცი!...

ხაზართვი (ამაყათ წამოდგება)

დიდ ხანს ვუგდებდი ყურს ამ კომედიას!... ახლა კი
ვხედავ, რაც ამბავია: როგორც მართებლობის ერთგულს,
ბევრი მტერი მყავს და ცდილობენ, როგორმე დამლუ-

პონ, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ კარგათ!... ეს ბიჭიცა
მოყიდულია... გთხოვთ ესეც დაიჭიროთ.

მახნევიჩი

მოითმინეთ, დამშვიდლით! ახლავე გავიგებთ ყველაფერს. (სანდროს) ეგ ამბავი როდის იყო?

სანდრო

ცეცხლი რომ გაჩნდა, იმ დილას..

საზარდვი

მის დასამტკიცებლათ, რომ მე იმ დღეს კოჯორში ვიყავი და ქალაქში არ ჩამოესულვარ აი ეკითხოს უფრო. ტუროვს. ესეც იქ იყო ჩემთან მთელი დღით და მეორე დღეს ერთათ ჩამოვედით.

ტურავი

სწორეთ, მე შემიძლია ვუმოწმო.

ამარინდო

რას ამბობ, კაცო?!

შენ იმ დღეს აქ იყავი, აკი გნახე?

ტურავი

სცდებით!

მახნევიჩი

მოითმინეთ. აქ თქვენ თვითონ ბძანეთ, რომ კნიაზი ენახეო?

ტურავი

მე... მე... დიახ ვნახე!

მართალია ქალაქს გარეთ ვიყავი... სტუმრათ, სალამოს ჩამოებრუნდი კოჯორიდან, დილიუნით.

მახნევიჩი

მე თვითონ დილიუანით ჩამოვედ, მარამ თქვენ იქ აჩ მინახებარ.

ტუროვა

მე... ე. ი. ეკიპაჟით წამოვედი და ეს კი იქ დავ-
ტოვე...

გოგია

მაი ისე ტყუილია, რომ ერთო კაი დიღი უშველე-
ბელი აქლემი ვერ ზიდავს.

ტუროვა (შეცროვბა)

აქაც კიდევ აქლემი!...

გოგია

იმ დღეს მეც ქვე ვნახე ქალაქში. აბა გაგახსენი
(მიღის ჩურჩულით): კაცო, მყითხავმა რომ გითხრა, გაგა-
ბამს საქმეშიო,—აგია, თუ თავს არ უშველე! იცი, რას
გეტყვი? სოსიკაი რომ იყო, მე მისი ძმობილი ვიყავი
და შენზე ყველაყაი ქვე მითხრა... თუ მაინც და მაინც
მოგინდომებია მაგის დასარჩლება, გაგთქვამ, ბეჯითად
გაგთქვამ და ისთვე კი არას გერჩი, ქვე იყავი შენდა.

ტუროვა

მეტი გზა ალარარის!... (თავ სთვის), მართლა, ამ კაცმა
მომაგონა. მართლა მე იმ დღეს კი არ ვყოფილვარ მაგას-
თან წვეულათა... წინა დღეს და ცეცხლი რომ გაჩნდა,
იმ დილას ორივე ერთად ჩამოვედით...

მახნევიჩი

მაშ იმ დღეს თქვენ აქ ბძანდებოდით?

საზარევი

სცდება ხარიტონ კარლოვიჩი!

ტუროვა

არა, ნამდვილათ ვიცი.

მახნევიჩი

საქმე სხვა გვარად გადატრიალდა. კნიაზო, თქვენ
თავისუფალი ბძანდებით, მართალი ყოფილხართ.

ამირანდა

ფეი! მე კი არ ვიცოდი!... მაგრამ ამ ჩემს აბედას
კი ვერ დავთმობ, ახლავე ღრუბერნატორთან წავალ.
თავადი-შვილის შეურაცხყოფა განა ასე ადვილია! შე-
იტყოს ღუბერნატორმა, მართებლამდა მიაწიოს. საქმემ!
ხეზართვი (შეზოთებული)

აქ შეთქმულობაა. და მე ამას ვერ დავსთმობ!...
თქვენც ნამეტან ნებას აძლევთ თქვენს თავს! ნება არა
გაქვა, ჩემს გამოძიებაში შეხვიდე... მე წავალ და ახლავე
პროკურორს შევატყობინებ!...

მახნევიჩი

მოითმინდეთ! გთხოვთ აქ დარჩეთ და მე თვითონ
დავიბარებ პროკურორს, საჭიროა. უ. სვისტკოვ,
გთხოვთ, წახვიდეთ და შეატყობინოთ.

სვისტკოვი

ვინ მოიფიქრებდა! მოდი და ახლა გაამტკუნდე
პოლიცია! (მიდის).

ტურთვი

ფუ! განათლებული კაცი და ამისთანა საქმე!...
ვინ იფიქრებდა?... რაც უნდა სწერო, ხალხი მაინც მა-
ლე არ გასწორდება!... წავიდე ერთი, მკითხველებს შევა-
ტყობინო ეს უცნაური ამბავი (მიდის).

გოგია

სოფიო, წავიდეთ, ჩვენც რაღა გვინდა აქანეი? არ
უჩიოდი: ღმერთი სამართლიანია-მეთქი!... (მახნევიჩს) ბა-
ტონო, შეიძლება წავიდეთ ჩვენდა?

მახნევიჩი

შეგიძლიანთ. (სამრაოს) შენ კი მოიცადე!

სოფია

ვენაცვალე, ღმერთო, შენს სამართალს! (მიდიან).

კარაშეტა

ერთი წავიდე მეც...

მახნევიჩი

არა, მოითმინეთ! თქვენ უნდა ჩვენება ჩამოგართვათ
პროკურორის თანა-დასწრებით.

კარაშეტა

ვა, ახლა კი გაები, კარაპეტ, ორივე ფეხებით!...

ხაზაროვი

ნუ დაივიწყებთ, რომ მე თქვენ დამაკავებთ მაშინ,
როდესაც...

მახნევიჩი (მხრებს აიწევს)

კანონი ბრძანებს და ნურაფერს უკაცრავათ!

ფ ა რ დ ა

ჩიხი-ჩიხის ხელმისაწვდომებელი

(ზღაპარი, ჭართლში ჩაწერილი კუნო ლალაშვილისაკან.)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი მეწისქვილე. იმის ბედობაზედ არა მოიძებნებოდა რა, ყოვლად ღარიბი და საწყალი იყო, მხოლოთ იცოდა მეწისქვილეობა და იმითი ირჩენდა დღიურათ თავს.

ერთ დღეს მეწისქვილე იქვე, წისქვილის ახლოს, ტყეში წავიდა შეშის მოსატანათ. დაიწყო შეშის გროვება, გაჲყვა, გაჲყვა და შუა ტყეში შევიდა. უცბათ წინ მელია შეხვდა და გამარჯობა უთხრა. მელამ თავისებურათ ლაქუცი დაუწყო და თანაც შესჩივლა: — ეს ოხერი დღეს მთელი დღე დავდივარ და ჩემი საკბილო ვერაფერი ვიშოვნე, ლამის შიმშილით სული ამომძვრეს, ფერდი ფერდზედ მიმეკრა და ჩემი საქმე ცუდათ არის, თუ რამე არ მიშველე შენო — უთხრა მეწისქვილეს. — შენ რომ მსუქანი ქათმები გყავს, თუ იმათი ხორცით გამაძლებ და ეხლა შიმშილით არ მომკლავ, იმისთანა ბედსა გწევ, რომ მთელი ქვეყანა შენ შემოგნატრიდესო.

მეწისქვილემ წაიყვანა შიმშილისგან შეწუხებული მელია და სამი საუკეთესო ქათმები შეაქამა.. მელამ სული მოიბრუნა, მაღლობა გადაუხადა მეწისქვილეს და წავიდა თავისთვის. რამდენიმე დღის შემდეგ მელიამ გაიარა ერთ ტყეში; უცბათ წინ კურდლელი შეხვდა. — ჰაი, კუ-

რდღელო, კურდღელოვო! მიაძახა მელიამ. კურდღელი.
მიტრიალდა და ჰყითხა: რა იყოვო? — როგორ თუ რა
იყო! რომ იცოდე, თქვენს თავს რა ამბავი მოდის, ასე
ადვილათ არ დაიწყებდი სირბილსო — უპასუხა მელიამ.
— ჩეარა მითხარი, რა ამბავი არისო — განუმეორა კურ-
დღელმა. მელიამ უპასუხა: — რა ამბავია და ამდგარა მთელი
ხელმწიფის საბანებელი და თუ სადმე არის კურდღელის
რჯული, არ უშვებენ, სულ უნდა ამოწყვიტონო. — მაშ
რალა გვეშველება, სად უნდა წავიდეთო? შესჩივლა კუ-
რდღელმა. მელიამ უთხრა: — მიირბინ-მოირბინე სულ ყვე-
ლგან, რაც კურდღელები იყოს, მოუყარე ერთათ თავი,
მოდით ჩემთან და მე იმისთანა ადგილს დაგმალავთ,
რომ ვერავინ ვერ მოგაგნოთო. კურდღელი მაშინვე გა-
იქცა, შეაგროვა საჩქაროთ, თუ სადმე იყვნენ კურდ-
ღლები, და მიიყვანა მელიასთან. მელია წაუძლვა წინ და
მთელი ამდენი კურდღელთა გროვა მიიყვანა ერთი ხე-
ლმწიფის სასახლეში, გამოიხმო გარეთ თვითონ ხელმწი-
ფე და უთხრა: ეს რიხი-რიხის ხელმწიფე (რიხი-რიხის
ხელმწიფე მეწისქვილეს დაარქვა მელიამ). მოგართვათ
ძლვნათო. მელია დაბრუნდა უკან და რამდენიმე დღის
შემდეგ კიდევ ტყეში წავიდა. უცბათ წინ მშველი გა-
მოუხტა: — ჴაი, მშველო, მშველოვო! მიაძახა მელიამ.
მშველი შეჩერდა და ჰყითხა: — რა არისო? — როგორ თუ
რა არის! ამდგარა მთელი ხელმწიფის საბრძანებელი და
თუ სადმე არის მშველის რჯული, სულ უნდა დახოცონ,
ერთიც აღარ უნდა გაუშვანო. — მაშ რა გვეშველებაო?
მიუგო შეშინებულმა მშველმა. თუ მადლობელი იქნე-
ბით, მე გიშველითო — უთხრა მელიამ. მოუყარე თავი სულ
ერთათ; თუ სადმე არის მშველები, მოიყვანე ჩემთან და
მე იმისთანა ადგილს წაგიყვანო, რომ სრულებით არაფ-

რის შიში გქონდესთო. მშველი მაშინვე გაიქცა, შეაგროვა, თუ სადმე იყვნენ მშველები, და მიუყვანა მელიას. მელია წაუძღვა მშველთა გროვას და მიიყვანა ისეც იმ ხელმწიფებისთან, რომელთანაც კურდლლები მიიყვანა. ხელმწიფე გარეთ გამოვიდა, ვეზირებმა ომშუთხრეს: ძლვენი მოგაროვესო. მელია წადგა წინ და მოახსენა ხელმწიფეს: — ეს მცირეოდენი ძლვენი კიდევ რიხი-რიხის ხელმწიფე მოგაროვათ, სურს თქვენთან დამოყვრება და თქვენს ქალიშვილს გთხოვსთო. ხელმწიფემ უარი ველარ უთხრა ნამეტანი პატივისცემის და ამისთანა ძვირფასი ძლვნის გამოგზავნის შემდევ და უთხრა მელიას: დიდი სიამოენებით, თუ კი მე ღირსს გამხდის და ჩემს ქალიშვილს ინებებს, მობრძანდეს საქორწინოთო. მელიამ ყოველიფერი სიტყვა მისცა ხელმწიფეს, დროც დაუნიშნა საქორწინოთ მოსელისა და წავიდა. ხელმწიფემ დაიწყო დიდი მზადება: მიიწვია მთელი თავის საბაძნებელი ქალიშვილის ქორწილისთვის. მოაწია ჯვრის წერის დრომ, მეწისქვილე გამოაწყო მელიამ კარგათ, გაასუფთავა; ჩააცა სახელმწიფო ტანისამოსი და მივიღნებ ხელმწიფისას. დაიწერეს ჯვარი. ნეფე-დედოფალი შეიყვანეს სამეფოთ მოწყობილ სახლში. ნეფემ, როგორც დაინახა ის მშეენივრათ მორთული დარბაზი, რომლის მგზავსი სიზმარშიაც არ ენახა, თვალები გაუშტერდა, ზევით-ზევით ყურება დაიწყო და კინალამ წაიქცა. მელიას ჰკითხა ხელმწიფემ: რათ იყურება აქეთ-იქითო? მელიამ უპასუხა: — ეს, ბატონო, იმიტომ იყურება, რომ თავის სასახლის მოწყობილობასთან არ მოსწონსო. ნეფე შეიყვანეს უფრო კარგ მოწყობილ ოთახში. იქაც უარესათ გაუშტერდა თვალები. მელია უცბათ მივიდა ნეფესთან და ჩუმათ დაარიგა, როგორც უნდა მოქცეული.

ყო. ხელმწიფის სასახლეში გაიმართა დიდი ლხინი და შექცევა, თითქმის ორი კვირა მეტი ილხინეს. მოაწია ნეფე-დელფილის წასვლის დრომაც, მაგრამ რა ჰქნას სა-ბრალო ნეფეშ, საღ წაიყვანოს თავის მეუღლე, სახლი არა აქვს და კარი! წისქვილში ხომ ვერ წაიყვანს, მერე ისიც ხელმწიფის ქალიშვილს! ჩავარდა ნეფე ერთს სა-შინელს ფიქრსა და დარღვში. დაუწყო მელიას ჯავრო-ბა ამისთანა დღეში ჩაგდებისათვის და რა ეჭნა, აღარ იცოდა! — კარგი, ნუ გეშინიათ, უთხრა მელიამ, სახლ-საც მე გიშოვნიო და წავიდა. მაყრებს დაუბარა: მე ეხ-ლა წინ-და-წინ წავალ, ყველაფერს მოვამზადებ; რაც საჭირო არის, თქვენ ნელა-ნელა წამოდით და საღაც დიდი ცეცხლის ალი დაინახოთ ან ბოლი, იქ მოდითო. მელია წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა, მივიდა ერთს დე-ვების სასახლეში, საღაც სცხოვრობდნენ სამი ძმა დე-ვი, ძალიან მდიდრები. მელია პირდაპირ მივიდა მდევე-ბთან და დიდგულათ დან თან მწუხარების კილოთი შესძახა: — ჰაი, მდევებო, დევებოვო! დევები უცბათ გარეთ გამო-ვიდნენ და ჰკითხეს: — რა ამბავიაო? რომ იცოდეთ, თქვენს თავს რა დიდი უბედურება მოელის ამ ცოტა ხანში, ასე თამამათ ვერ გამოხვიდოდით გარეთო, მიუჯო მე-ლიამ. — რა ამბავი ხდება, გვითხარი მალეო, უპასუხეს დევებმა. — როგორ თუ რა ამბავი? ამდგარა მთელი ხელ-მწიფის საბრძანებელი ჯარი და, თუ საღმე მდევები კი მოიპოვება, სულ უნდა ამოსწყიტონო. აგრე მოახლოვ-დნენ კიდეც, შეუა გზაზე არიანო — უთხრა მელიამ. მდე-ვებს შეეშინდათ და უთხრეს: — რა გვეშველება მაშ ეხ-ლაო? მელიამ უთხრა: — რა ვჭნა, ჩემი თავი თუმცა მე ძალიან მიყვარს, მაგრამ თქვენს სიკვდილს ჩემსას ვამ-ჯობინებ და ჩქარა, თქვენ ნულარ იგვიანებთ, აგრე რომ

თივით სავსე დიდი საბზელი გაქვთ, დიდმა და პატარამ ამოიღეთ ნახევარი ის თივა, ჩაწერით შიგ, არავინ დარჩეთ სახლში მუოფელი, თავზედ დაიყარეთ თივა და სულ-განაბული დაიმალეთ შიგ. მე გარეთ, ეზოს კარებზედ გავჩერდები და თუ მოვიღნენ, ვეტყვი: აქ არავინ არის, სულ ყველა სადღაც წავიღნენ-მეთქი და იქნება გადარჩეთო.

მდევები მართლა ასე მოიკუნენ: ყველა საბზელში ჩაძრნენ და თავზედ თივა დაიყარეს. მელიამ მაშინვე თივას ცეცხლი გაუჩინა და მდევები სულ მთლად ერთიან შიგ დასწვა. მაყრებმა, როგორც დაინახდს დიდი ცეცხლის ალი, რომელშიაც მდევები იწვოდნენ, იქ მის ვიდნენ და ნეფე-დედოფალიც იქ მიიყვანეს. რიხი-რიხის ხელმწიფეს, ანუ მეწისქვილეს, მდევების მდიდარი ოჯახი დარჩა საკუთრათ, ბევრათ თავის სიმამრზედ მდიდარი. მერმეთ თან-და-თან მიხვდა და ისწავლა ჭკუა, ის-წავლა რაც ხელმწიფისთვის საჭირო იყო. მიიმხრო სხვა-და-სხვა ხალხი, დაიმორჩილა ზოგიერთი სახელმწიფოები თავის რიხიანობით და ჭკუით, მეფეა დიდ ხანს და თავის სახელმწიფოს საქმეები კარგათ წაიყვანა.

ჭირი იქ დავტოვე და ლხინი აქ მოვიტანე.

ე ჟ მ ა დ ი დ ა ჭ ა ლ ი

(ზღაპარი; ჩაწერილი ჯავახეთში, სოფ. ქილტაში, გაგო შატბერა-შვილისაგან)

იყო და არა იყო რა, ლვის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი კაცი. ის თვალით და ტანით ბუნებას მდიდრათ დაეჯილდოებინა; მაგრამ ის იყო მეტათ ლა-

რიბი და იძულებული გახდა მეღორეობისთვის მოეკიდა ხელი და ამითი ეცხოვრა. როდესაც ოცდაშვილი წლი-სა შესრულდა, იმან შეირთო ცოლათ ერთი მეღორის ქალი. იმისთანა ცოლი ღმერთმა თქვენს მტერს შეჰყა-როს, როგორიც მას შეხვდა! ცოლი სულ იმას აყველ-რიდა: ღარიბები რათა ვართო. მეღორეთ მამაჩემიც მე-ჯავრებოდა და შენ-კი იმაზედ უარესიც ხარო! საწყალი ქმარი დილით ადრიან ადგებოდა, წავიდოდა ლორში, საღამოზე დაბრუნების დროს ფიქრობდა: აი ეხლა მივალ სახლში და იქნება ჩემმა ცოლმა ცხელი საჭმელი რამე დამახვედროსო, მაგრამ იმისი ცოლი კეტით მიეგებებო-და და ერთ ორსაც უთავაზებდა იმ მშენიერ მხარ-ბეჭ-ში. ასრე გაიარა ხუთმა წელმა. საწყალი მეღორე უფ-ტო და უფრო უფიქრდებოდა თავის მდგომარეობას და თავის ცოლის საქციელს. ერთ დღესაც წავიდა ლორ-ში, ლორები საძავარზედ გაუშეა, თითონ-კი დაჯდა ერთ ქვაზედა, დაიდო თავი ხელებზედ და მიეცა ლრმა ფიქრს. კარგა ხანი იფიქრა. ამ ფიქრებიდან გამოაღვიძა ერთმა ვილაც უცხო კაცმა.—გამარჯობა შენი! — არ იცი ხორის ტყის გზა საით მიღისო? — ჰკითხა მგზავრმა, რომელ-საც უკან რავდენიშე დატვირთული აქლემი მოსდევდა თავისი წინამძღოლებით. მწყემსი წამოდგა ზეზე, აიღო ჯოხი ხელში და გაუშეირა ხორის ტყის გზისაკენ და უთხრა: — აი, წახეალ პირდაპირ, ორ გზას შეხვდები, მარჯვენა გზა პირდაპირ ხორის ტყეში მიგიყანსო. მგზავრმა მაღლობა გადაუხადა, ამოიღო და ერთი ოქ-რო აჩუქა. საღამო მოახლოვდა. მწყემსმა შინისკენ გაი-რეკა ლორები. კარი გააღო თუ არა, ცოლი მივარდა და შესწუწუნა: — შე წუწუო შენა, სულ მუდამ ესრე, მშიერი უნდა ვიყო? სამი დღეა, სველი საჭმელი. არ მი-

ჭამია, თუ არ შეგეძლო ცოლის რჩენა რაზედ ირთავ-
დი!... მწყემსმა ჩუმათ ჯიბიდან ამოილო ოქრო, მისცა
ცოლსა და უთხრა: — ქილო, ძლიერს ღმერთმა მოგვხედა,
ჩვენი გამდიდრება მოინდომა და შენ-კი კიდევ მაგოდე-
ლას მიყვირი? აი დღეს ხორის ტყეში ერთი დიდი ორ-
მო ვიპოვნე, სულ ამისთანა ოქროებითაა სავსე, ხვალ წა-
ვიდეთ და ჩუმათ გადმოვზიდოთო — შე სულელო, შე
გიქო, შენა! გუდა რო გაგვეცო და წამოგელო, ღმერთი
გავიწყრებოდა! ადე ჩქარა, აიღე დიდი ტომარა და წა-
ვიდეთ. ხვალე რალას შოგვიტანს? იქნება ხვალამდის
სხვამ ამოცალის! შენ ხომ მაგდენს ჰქუა არ გიჭრის!...
ადე, ჩქარა წავიდეთო! ბევრი ეხვეწა ქმარი: პატა-
რა დავისვენოვო, ძრიელ დალალული ვარო, ან ერ-
თი ლუქმა პური შევქამოვო, მაგრამ ცოლმა მი-
სი ხვეწნა არ შეისმინა! რას იზამდა? ადგა და წაპ-
ჟა. ცოტა ხნის უკან ცოლი და ქმარი მიადგნენ
ხმრის ტყეში ერთ ორმოს, რომელსაც იქაურები
ეძახდნენ „უძირო, ეშმაქის ორმოს“ და რომელსაც ზე-
ვიდამ ერთი დიდი ლოდი ეფარა. ცოლმა და ქმარმა
რის ვაი-ვაგლახით გადააგორეს ეს ლოდი. ქმარმა უთხრა
ცოლსა: — მოდი მე ჩავალ ამ ორმოში და ავაესებ ტომა-
რას ოქრო-ვერცხლით და შენ თვიკი ამოსწიეო. ცოლ-
მა შაუტია: — შენ იმდენი შნო სად გაქეს, რომ ტომა-
რა აავსო, მგონი ნახევარი შიგ დატოვო? მოიტა ტო-
მარა, მე ჩავალო! ეს სთქვა თუ არა, გამოსტაცა ქმარს
ტომარა, ავიდა ორმოს თავზედ, ჯერ ტომარა ჩააგდო
შიგ და მერმე ჩაეშეა თვითონ. ქმარი ზევიდან უყურებ-
და. იმდენი კერ მოასწრო ქმარმა, თვალი დაეხამხამებინა
და ცოლი პარტყა-პურტყით წავიდა ქვევით-ქვევით.
მწყემსმა დიდი წვალებით მიაცოცა ლოდი, დააფარა

ორმოს და თანაც მიაძახა: — აი შენი ადგილიც ეგ იყოვი! აი ახლა შეირთე მდიდარი ქმარიო! სთქვა და გამობრუნდა უკან. ამ დროს ერთი შესაზარავი წივილი მოესმა; მაგრამ ამან ყურიც არ გაიბერტყა. თურმე, ნუ იტყვით, ამ ორმოში ერთი ეშმაკი ყოფილა. ქალი რომ ზედ დაეცა, ეშმაკს შეეშინდა და ერთი ისეთი საშინლათ დაიწივლა. მწყემსი წამოვიდა შინისკენ და ისევ ისე დაიწყო ცხოვრება, როგორც ცხოვრობდა უცოლობის დროს. ორმოში-კი სულ სხვა ამბავი იყო: ამ ქალმა ეშმაკიც კი დასძლია! ახლა იმას დაუწყო ჩეუბო. იმდენს სცემდა, რომ საწყალ ეშმაკს გვერდები აღარ შეარჩინა! ბოლოს და ბოლოს, საქმე. რომ გაუჭირდა ეშმაკს, ადგა და ორმოს პირთან ლოდს მიეკრა: ეგები აქ მაინც მოვისვენოვო. ქალს, რასაკვირველია, ძირიდან ზევით ამოსვლა არ შეეძლო, მაგრამ ქვევიდან შემოუბრიალებდა თვალებს და ერთს ისეთს დაუწიკვინებდა, რომ საწყალი ეშმაკი მუშტის ოდენათ მოიკუნტებოდა! ასე გაიარა სამმა თვემ. ერთ დროს მწყესმა თქვა: მოლი დავათვალიერებ, რა მოუვიდა ჩემს ცოლს. / წავიდა ტყეში და მივიდა ორმოსთან. ამ დროს ეშმაკს ფეხის ხმა შეესმა და იქიდან დაუძახა: — გეთაყავინა ხარ იმისთანა სულიერი, მადლი დაიდე, ახადე ორმოს თავი და ამ ქალის ხელიდან გადამარჩინე და იცოდე, რომ ერთს დიდს ბედსა გწევო! მწყემსს შეეცოდე ეშმაკი, ახადა ორმო და ამოუშვა. ეშმაკმა დიდი მადლობა გადუხადა და თანაც უთხრა: — მე ეხლა წავალ აღმოსავლეთისკენ, აღმოსავლეთის მეფეს ერთათ ერთი ქალი ჰყავს, შევალ იმ ქალში და გავაგიუებ. იცოდე, ბევრს ეცდებიან, ბევრს წამალს მოლევენ, მაგრამ შენს მეტი ვერავინ მოარჩინს. შენ მოხვალ იმ პირობით,

რომ თქვენი ქალი ცოლად უნდა შემჩროთ, თუ მო-
გარჩინე-თქო. შენ, შემოხვალ თუ არა ქალის ოთახში, მე
იქიდან გავქრები, წავალ და მაშინ შენ იცხოვრე მეფუ-
რადო. ეს სთქვა და გაქრა ეშმაკი. არ გაუვლია იმის
შემდგომ ორ-სამ კვირას, რო გაისმა ხმა: აღმოსავლე-
თის მეფის ქალი გაგიუებულაო, ბევრი წიმალი და ბევ-
რი ექიმი მოლალეს, მაგრამ ვერა უშველეს-რაო. ეს
რომ გაიგო მწყემსმა, მოაგონდა ეშმაკის სიტყვა, აღგა
და გასწია აღმოსავლეთისკენ. ბევრი იარა თუ ცოტა,
მივიდა სასახლესთან, შევიდა სამზარეულოში და დაუწ-
ყო კითხვა, თუ რა ანბავია, ან რათ არის ამდენი ხალხი
დალონებულიო. იქ იმას აუხსნეს ხელმწიფის ქალის
მდგომარეობა. — მიმიკვანეთ მეფესთან, შიჩვენეთ ის ქა-
ლი, იქნება მე შევიძლო იმის მორჩენაო. მოსამსახუ-
რებმა ერთმანეთს გადახედეს და გაიცინეს, მაგრამ
მაინც მწყემსს აუსრულეს თხოვნა და მიიკვანეს მეფესთან.
მეფემ უთხრა: — ბიჭო, შენ შეგიძლია ჩემი ქალის მორ-
ჩენაო? — მოვარჩენ იმ პირობით, თუ თქვენს ქალს ცო-
ლად მომცემთო — მიუკო მწყემსმა. — და თუ არ მოარ-
ჩენ, თავს მოგჭრიო, — უთხრა მეფემ. — კარგიო, დათანხმ-
და მწყემსი. შეიცვანეს ქალის ოთახში. მოხურა თუ არა
კარები, იმის წინ გაჩნდა ეშმაკი და უთხრა: — მე ხომ
ავასრულე ჩემი პირობა: ეხლა შენ გახდები აღმოსავ-
ლეთის მეფედ და მაგ ქალსაც შეირთავ, მე-კი ეხლა
წავალ დასავლეთისკენ, იქაც მეფეს ერთათ-ერთი ვაჟი
ჰყავს საცოლო, შევალ იმის ტანში და გავაგიუებო.
შენ იცოდე: არამც და არამც არ მოხვიდე, თორემ
იქვე გაგათავებო. გამოესალმა და გაპქრა. შემო-
ვიდა მეფე და რა ნახა თავისი ასული მორჯულებუ-
ლი, სრულ ჰყუაზედ, გაეხარდა დადათ. მეორე დღესვე

გამართა ქორწილი და დაუთმო ტახტი თავის სიძეს. რამ-
დინიშე ხნის შემდგომ გავარდა ხმა, რომ დასავლეთის
ერთად ერთი ტახტის შემკვიდრე ჭკუაზედ შეშლილაო,
ბევრი წამალი და ბევრი ექიმი მოღალეს, მაგრამ ვერა-
ფერი უშველესო. დასავლეთის მეფემ შემოუთვალი აღ-
მოსავლეთის ძველ მეფეს: „შენი სიძე მობრძანდეს ჩე-
მი შეილის მოსარჩენად და ნახევარს სამეფოს საჩუქრად.
მივართევო, და თუ არ გამოგზავნიო, მოვალ ჩემი ჯარით
და სულ აგაკლებთო.“ ამ სიტყვებმა ძლიერ დააფრირიანა
ახალი მეფე. იმას სულით და გულით უნდოდა შემკვიდ-
რის მოჩენა, მაგრამ იმ წყეულ ეშმაკისა ეშინოდა. ბო-
ლოს სთქვა: „მთელი ხალხის გაწყვეტას, ისევ სჯობიან
მე მოვკვდეო“ სიმამრმა ბევრი ურჩია ჯარიც წაეყვა-
ნა, მაგრამ დიდი უარი განაცხადა. ორი კვირის შემდ-
დგომად მივიდა დასავლეთის მეფესთან. იმან დიდი სია-
მოვნებით მიიღო იგი, აუხსნა თავისი შეილის მდგომა-
რეობა და სთხოვა, რომ ეხმარა ყოველი წამალი მისი-
ერთად ერთის შეილის მოსარჩენად. მწყემს-ხელმწიფე
შევიდა იმ ოთაში მარტო, საღაც მემკვიდრე იწვა და
კარი მოკეყტა. ამ დროს წამოდგა მის წინ ეშმაკი და-
შეუყვირა: — შენ არ გიბრძანე, რო აკ წამოსულა არ
გაბედო, თორემ გაგათავებ-მეთქი! ხელმწიფემ უთხრა
მოწიწებით: — მოიცა, ბატონო, მე შენთან მოვედი: ჩემი-
ცოლი ამოსულა ორმოდან და შენ საძებნელით დადი-
სო. — მაშ, გენაცვა, ტირილით უთხრა ეშმაკმა, ეგები-
შენ ჯარს დააჭერინო ის ქალი, სანამ მე დავიმალებო-
დე სადმეო! ესა სთქვა, გააღო კარი, გამოვედა და ისე-
თი გაიქცა, რომ აქამდის ცხრა შთას გადივლიდა. ხელ-
მწიფის მემკვიდრე განიკურნა და მწყემს-ხელმწიფემ მი-
იღო ნახევარი დასავლეთის სამეფო.

ბალ ხური ღეგესები

(შექრებილი კახეთში ზ. ჩხილაძისაგან).

შენ, მამუკა ჭავჭავაძე, ჭევიანთ და კონიურთ,
 ზღვის პირს გაზღიულო დერწამო, ბატონის კარს აქმიანთ!
 გლეხნი გაქებენ, თავადნი, უეინი კახს გეტევიანთ.
 გომბორის ჭარი ჩამოსულა, თურდოზედ¹⁾ ჩამოდიანთ.
 ქვა სტირის, ქვიშა დასძახის: მამუკას თავსა სჭრიანთ...
 ახალ მოვისა ჰერანგსა, ძაღლი ლეკები ხდიანთ.
 —წინანდლის ციხე მაღალი, რისთვის აგარე ტიალ!..
 ფედ მოწეობილო მარანთ, საწოლო ფანჯარიანთ...

ნანაბაანთ ქაღი გიუაფ,
 სიუმაანთი ჟარარძალი,
 მუტრუკები დამეტარგა,
 ხელთ ავიღე თითის ტარი.
 გენახების ბოლოს ჩაველ,
 იქ დამიხვდა უცხო გაცი,
 ცხენი გვერდზედ გამიტარა,
 გამიცინა, მიერ თვალი...
 ღედამთილი ეხვეწება:
 გაუშვი ეგ ჟარარძალი. ²⁾

¹⁾ წყლის სახელია.

²⁾ მეორე ვარიანტი.

დაშარს ¹⁾ მოვიდა თილიძე, გულდიდათ დაჯდა ხალხშია,
შემოეხვივნენ ფშავლები, როგორც ბატონსა ყმანია.
— შენ აქ არ მოგეცსვლება, დიდი ჰქენე ცოდნა-ბრალია,
დასწევი, დასდაგე ხოშორა, ცისქენ აუშვი ალია.
ნაკეთაურის ჭერზოსა შენ შეხსენ რკინის კარია,
დასჭერ საღუდე ქვაბები, დმერთს მისდიოდა ჩქამია!

შასუხა თილიძისა

დამეხსენთ, დაღო ფშავლებო, მაღოცეთ თქვენი ჭეარია!
სამლოცვლად მომიუყანია თეთრი, ქურაი ხარია!
ეგ მშინ გაგარიგოდეთ, როდა გამოვა მთანია,
მტერსა ვინ ედგეს ახლოსა, ვის იფრო სჭრიდეს ხმალია.
უბისთავს ²⁾) დაუენევი, ფშავლებო, თქვენი ცხვარია,
უბისთავს დანათდებოდეს თილიძის ხეადის ³⁾ ნალია.

დად ვენასში მივდიოდო
ბარითა და ნიჩაბითა,
ყევით შაგამ დამიძახა:
— აქ მობანდი, მე რა გითხრა.
ერთი წიგნი დაეწერა,
დამსო, წამიკითხა წერილათ:
დავიდაღმე დამაუღლე,
ნუ დამავლებ თითო ჭინსა,
ისეთ მტევნის გავიკეთებ,
ჰგავდეს მეწერილმანის ვინსა,
ხანდისხან შემოხვიდოდე,
ღიმი მოგდიოდეს პირსა.
საგაისოდ მოიკითხე

¹⁾ ფშავლების სალოცავია.

²⁾ მთის სახელია.

³⁾ ულაყი ცხენი.

სამაშულე ჩემი რქისა;
საწნახელი მომიმზადე,
დაბლა მოუმართავ პირსა,
ისე გაგივსებ ქეკვრებსა,
ცვარი აღარ გეღბეს სწვისა;
სულ დაგითრობ მეზობლებსა,
ვეღარ გადიოდნენ ხიდსა,
ჭირი ბევრი მოკაშორო
და სირცხვილი მეზობლისა.

გუშინ რომ ვიუავ დორშია,
ნავალი ვნახე მტრისათ,
გავუწოდე და ვესროლე,
მოვარტევი გულის პირსათ.
ჩვენა ჟატარა გოგოტა
ლებს მოუდვია ქვეშაო...
— მიშველე, ძმარ გიორგი,
თქვენი ვარ განა სწვისათ
ა გრე დაბრუნდა გიორგი,
როგორც ბორბალი წელისათ,
კაფა და კაფა ლეპები,
როგორც ტოტები ხისათ,
დახე სამშაურაშვილისა:
ლებს ცეკლიფითა სთლისათ,
ჩემი ხანჭალი მეგონა,
შენიც ხომ კარგად სტრისათ!

—
მაღლიდგან გადმომდგარიუო
თვალუშეუნ თეთრი ქალია,
ხელს მიწნევს: აქეთ წმოდა,
შინ არ ჩემი ქმარია!

ციხის საგებლად გავიზავნე,
 ქვა დასცემია თავშია,
 მასარობელი მოვიდა:
 ქალო, მოგიკლეს ქმარია.
 სამახარობლო გავიღე,
 სამასი სული ცხვარია,
 იმასაც არ დავაჭერე
 წელს შემოვარტუი ხმალია.

ამანის ღვეში

ეს ამანი ყაჭიშვილი
 ტან წერილი და სუფთა არის,
 ბელაქონს შემოუარა,
 ბაღჩა ნახა სამალავი.
 ნადირობას შეუჩინა,
 ყვირილობას ხოცა ხარი,
 შვილი კამბეჩი ჰაზვერა,
 შვილი ზაქინი არის.
 ერთი ბატონსა აჩუქა,
 რომელიც რომ კარგი არის,
 ბატონშია მაშული მისცა
 საკენახეთ კარგი არის.

სესიას ღვეში *)

გაი, სესიავ სესიავ, შენ წამიუვანე ტუეშია!
 სადირის ქებას მომიუევ თეთრომანთა სერშია.
 შენ ემაგრე სერ-სერ წამო, მე უკან ნაკერჩხალშია.
 სესიას ღროვა აუდგა: მაღალია და მრეშია,
 თოფი ზეზედ მიაუედა, დამბაჩა მისცა მხრებშია.

*) მეორე ვარიანტი.

გამოქანდა და გამომერა ამ სისქე ბარძაუებშია,
ისი გვერდა ავირბინე, ერთი არ დამიხვნეშია.
შინ რომ მოველ დაგიხნეშე: გაიმე დედავ წელია!
შეოჭო, დედამ რა გიშველოს—მონადინისა წესია!

ნიბღაძემ სთქმა—ერაულმა:
—სიტყვა გამომდის მართალი.
მთა და ბარი მაბარია,
ზაფხულია თუ ზამთარი.
ბატოხმა ქალაქს გამგზავნა,
რო დადგა შესა ზამთარი,
საგზალი კარგი გამიწეო:
თართი, დოში და სათალი;
აშას ხომ არ დამაჯერა,
ხერჯინს ჩამიდო ქათამი.
შეს გზაზედ რომ მიველი,
გველმა დამიწეო ფანცქალი:
ერთი ჟატარა სე იუო,
უდელი ხარის სათარი.
თუ ესა მრერი არ არის,
წამოქუზული რათ არის?
ამისგან შემინებულმა
იქვე დავუარე საგზალი,
ისეთი მოვრბი თავ-თავ-ქვე,
როგორც რომ ქურდი თათარი.

რესთ ხელშწიფე გადმობრძანდა,
თმი მოხდა თმარ ხნისა.
ალექსანდრე აშიტირდა,
თვალზედ ცრემლი ჩამოსდისა:

რისთვის ავეუგ თავიბერასა,
ეს საქმე სულ მისგნით მშინისა!
რათ არ გიჯექ ქაზიეშია,
დგინით არ გიძანდი შირსა!...

მე მაღლას მელესიშვილსა უქებენ ხელსა, ფეხსაო,
შემკობილობა უხდება — თოთ-იარალი წელსაო.
კისერი ბუღას მიუგას, თვალები უგაგს მწერსაო.
დაღისტანი დაიბარა, წინ მოუძღვდა ლეგსაო;
უვარელში შემცესია ფერს-ცვალების ღდესაო.
ქალი და რძალი არჩია, გადაუენა მთებსაო, —
სულ ფეხ-ში შეველა გარება, ქოში არ ეკრა ერთსაო.
ერთ სასახლეში შერეპა შვილ დამესა და დღესაო...
ეს ძაღლი მელისიშვილი სიტუას ამბობდა ძნელსაო:
საბეჭადოში ავიყვან, შიგ ამოვარჩევ ერთსაო.
შევიღა გამოარჩია, დამეს ანათებს ძნელსაო.

ახმეტური ქალი ვიუვ, ახ, ნეტაფი მეო!
უმარილი ვლესე, ვლესე, ფერი ვიწარბეო;
თეთრი ცხენი მომიუგანეს, პირი გარიდეო,
წითელი ცხენი მომიუგარეს, გადაფლაჯეო;
საუდრისებენ წამიუგანეს, ეს მიამა მეო,
მღვდელმა რამ დაიგვანა, ის მეწერინა მეო.
აუიური თეძო ვეგდე, ქვეშ მოვიქციეო,
შეგვექ ცხენზედ და წაგელი არ მოგიცადეო,
სოფლის ბოლოს რამ ჩავედი სახლი ვაკითხეო,
შევედი ღერეფანშია, ლიტრა გავტეხეო.
ღედამთილი მომეგება „ახა, ვაკლას მეო!“
ჯვარის წინას მომარანეს, საჭდომს დავხედეო,
სუსებლანი პურსა სჭამენ. — პური მშაან მეო.

ასი კვერცხის ერბო-კვერცხი მარტო შევჭამეთ.
დადი ღუქმები გისკოლე, ბოძს მოვეფარეთ.
დედამთილი გრიფე, გრიფე, მზღვი გავტორეთ,
შელი კარს ეფარებოდა — „დმერთო მიღხინეთ!“
სამი დღის ჰატარძალიგარ, მმები გავუარეთ.

ნიხშირშა სთქება: მე მაჩივლე,
გნახო ჩემი სამართლი.

— უველა ჩემით გეთდებოდა,
სახნისი და საგვეთელი,
კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი იარაღი ჭრელი.

ამას ბამბა წამოუდგა:
— მე რითა მჯობს ფერი შენი?
ჩემი მუშა არ მოსცდება,
ჩიხონი და საპენტელი.

ჰარკის ჭია წამოუდგა:
— მე რითა მჯობს ფერი თქვენი?

თავაღები დაგმშეგნე,
ახლა მივუავ გლეხებს სელი.

ამათ ცხევარი წამოუდგა:
— მე რითა მჯობს თქვენი ფერი?

ცალ მხარეზედ მატელი მიძევს,
სამ კუნწულზედ — გერი უველი;
ბაგის კარებზედ ვუსდიგარ,
შიგნით ბატანეს გამოველი.

ნეტავ მანატრა, მანატრა,
ეს ნატერა ამიხდინათ:
მებაღის ქალსა მიქებენ,

ლოგინში ჩამიწევინათ;
მუჭუბნის ღვინით დამათრო,
ახმეტას დამაძინაო,
გიორგი მეფე უმად მომცა,
ამილახვარი შინაო,
თორმეტი კოდი გორგოტი
ერთ ჯერად გამიჩინაო,
ლალის უურის გალაფანი
ჭამათ დამიღგა წინაო,
სადაც დიდი ჭახვარია,
გოვზათა მომცა შინაო.

ნეტავ მანატრა, მანატრა,
ეს ნატრა ამიხდინაო;
ოქროს სასახლე ამიგო,
გერცხვლის ფინჭრითა წინაო;
მუხრან-ბატონი უმათ მომცა
ამილახვარი შინაო;
კახური ღვინო წითელი
შილებით მომიღინაო,
ჩერქეზის ქალსა მიქებენ,
ის გვერდით მომიწევინაო.

თქმულება თამარ დედოფალზე

(ოსისაგან ნაშმიბი, დ. ცხანვალში და ჩაწერილი თ. აღ. მარაბე-
ლისაგან)

თამარ დედოფალი იყო ერთი ძლიერი თათრის ხელ-
მწიფის ქალი. ძალიან ლამაზი იყო, ბევრი მთხოვნელიცა
ჰყავდა, მაგრამ არავის მისთხოვდა. ერთხელ მამამ უთხრა:
— ერთი დიდი ხემწიფის შეილი გთხოულობს და იმას
უნდა მისთხოვდეთ. თამარმა თავი გადაიკლა: გათხოვება
არ მინდაო. მაშინ მამა გაუწყრა და ციხეში დაამწვევდია,
შეჩე მოინდომა იმისი დატანჯვა. თამარი გულთ მისა-
ნიც იყო: გაიგო, რაც მოელოდა, ჭუეხვეწა ღმერთსა:
ოღონდ აქედან გამომიყვანე, აღთქმა დაუდო, მოვინა-
თლებით. ღმერთმაც გაუგონა ლოცვა, გამოიყვანა და
ის ძალაც მისცა, რომ რასაც ინატრებდა, აუსრულდე-
ბოდა. გამოფრინდა თამარი ციხიდან, წამოვიდა და
ბრუტ-საბძელაზე *) მოვიდა. ინატრა და სასახლე და საყ-
დარი აშენდა. იქ დაიწყო ცხოვრება და ცისკარიც იმასა
ჰყავდა დაჭერილი, ცაზე აღარ იყო. იმასა ჰყავდა ერთი
მოახლეც. გამოვიდა ხანი-ბანი, თამარმა მოინდომა შვილ
ზღვის პირას — იმერეთში წასვლა. აბა ვინ დაუშლიდა?
დაუძახა თავის მოახლეს, მისცა შვილი ოთახის გასაღე-
ბები და უთხრა:

— ამ ექვსი ოთახის გალება შეგეძლოს, მაგრამ ამ
მეშვიდეს ხელი არ ახლო და არ გააღოვო. ადგა და
გადაჰურინდა იმერეთში და იქ დადგა.

მოახლეს გულმაჟ არ გაუძლო, მალე დააღო ეს.

1) ბრუტ-საბძელა მთის. მწვერვალოა ოსქეთში.

ექვსი ოთახი და ნახა, რაც რამ იყო, სიმღიდრე იყო,
თუ რაცა. მეშვიდე ოთახის გაღება ვერ გაბედა ჯერ და
ფიქრი დაიწყო: მოდი, რაც მომივა, მომივა და ამ მე.
შვიდე ოთახსაც გავაღებო, რა არის, რათ დამიშალაო?
ბევრი აღარ იფიქრა აფა და გააღო. უცბათ დაიფთხ-
რიალი იმ ოთახში დაწყვდეულმა ცისკარმა, გაფრინდა
ცაში და გარეშემო ღრუბელი შემოირტყა. თამარმა გა-
ხედა ცასა, დაინახა რომ ღრუბელში ცისკარი იმაღე-
ბოდა. ბევრი ინანა და ინაღვლა, მეშვიდე გასაღები
რათ მივეციო, მაგრამ რაღას მოეწეოდა ადგა, საჩქაროთ
შეაკაზინა ცხენი და გამოეშურა ბრუტ-საბძელასაკენ:
ეგება როგორმე საქმეს ჭუშველოვო. წამოვიდა იქიდან
და გზაში თოვლა დაიწყო; ღარში რომ ამოვიდა, ცხენ-
მა ღარივით გაამკვლია მუხლზე მომდგარი თოვლი და
იმ ადგილზე გაშენებულს სოფელს იმიტომ დაერქეა:
„დარი“. ზევით რომ ამოსუდა და გამოიარა გზა, თოვლი
ცხენს ბეჭამდის მოადგა, იმ ადგილს დაერქეა „ონი“, *)
სადაც ეხლა ონის ქალაქია. გამოაშურა კიდევ, მაგრამ
ცხენმა ვეღარ შესძლო და მოკვდა. იმ ალაგს დაერქეა
„კუდარო“, სადაც ეხლა სოფელი „კუდარო“ არის, ე. ი.
მოკვდაო. ფეხით წამოსელა აღარ შეიძლებოდა. გამო-
ხედა დალონებულმა თამარმა ბრუტ-საბძელასა, დაინახა
სულ თოვლით ჩამოლესილიყო, ადგა და გაჯავრებულმა
დასწყევლა: „შენ თოვლს თოვლმა მოასწროსო“. მას
უკან ძველ თოვლს ახალი ასწრობს და იმიტომ ოსებში
ზამთარია, თორემ ოსებში ზამთარს რა უნდოდა? სულ
ვენახები იყო გაშენებული, ეხლაც ბევრია ნავენახრები
და ქვევრები ოსებშით.

*) ონი ოსურათ ბეჭა ჰქენა.

(ლეგენდა, ჩაწერილი აღ. ჭებურიშვილისაგან).

სოფელ გორაში¹⁾ ერთი დიდი ტბა არის, რომელ-
საც სახელათ „ტაბაყუროს“ უწოდებენ. ეს ტბა დგას
ერთ მაღალ ციცაბო კლდის ძირში და უჭირავს თით-
ქმის ერთი ქცევის მანძილი სიგძით და ნახევრადისა სიგა-
ნით. აღმოსავლეთის მხრით კლდე უძევს, ჩრდილოეთით,
დასავლეთით და სამხრეთით თითქმის ნახევრამდის შე-
მოზღუდულია ახალ-მოზარდი ლაფნის ჩირგვებით და ორი-
სამიოდ დიდრონი ლაფნისავე ხეებით, რომელთაც მა-
ინცა და მაინც არ ეტყობათ დიდი სიძველე. დასავ-
ლეთით ტბას გაჭრილი აქვს პატარა არხი და ნელი დუ-
დუნით გადაჩანჩქარებს კუპრივით შავი წყალი. პირველ
დანახვაზე მნახველი დიდ განცვიფრებაში მოჰყავს და
მართლაც განსაცვიფრებელია. ორი-სამი საჯენის მან-
ძილზე რომ მიუახლოვდეთ და მიწას ფეხი დაჭრათ,
რაღაც ბაყა-ბუჟი გააქვს, თითქოს ქვეშ ქვევრი იყოსო.
ბევრმა გასინჯა ამ ტბის წყალი გამაღილებელი შუშით
(მიკროსკოპით) და რა ნაირი მატლი ან ჭია უნდა იყოს
მიწაში ისეთი, რომ ვერ შენიშვნოთ გამაღილებელი შუ-
შის შემწეობით; ათას ნაირი ჭია-ლუა დაფუსფუსობს
შიგა. გარდა ამისა ამ ტბაში რაღაც არა ჩვეულებრივი
სიდიდის მექონე უნასებია (გველები).

1) ს. გორა ჭუთაისის მაზრაში და ძევს სამხრეთ დასავლეთით
ჭ. ჭუთაისიდან.

როგორც აქაური ხალხის ზეპირ-გარდმოცემა მო-
გვითხრობს, თურმე იმ ალაგს, სადაც ეხლა ტაბაყუროს
ტბა არის, ოდესმე ერთი მოსახლე ყოფილა. იქ ყოფი-
ლი ერთი ქვრივი ქალი 4—5 წლის პატარა ბავშვით.
როგორც ეხლა, ეგრეთვე უწინაც სცოდნიათ სოფლის
ქალებს ხამის ქსოვა. სხვათა შორის იმ ქალსაც სცოდ-
ნია ეს ხელობა. ხარება დღეს დაუდგამს საქსლე და
დაუწყია ხამის ქსოვა. ამ დროს გამოცხადებია ღვთისა-
გან მოგზავნილი ანგელოზი კაცის მგზავსათ, მისულა ამ
ქალის სახლში და უკითხავს მისთვის: — ქალო, რო ქსოვ,
დღეს რა დღე არისო? ქალს სიცილით მიუგია: — ხარება
და ხარხარებაო, ჩემი ქმარ-შვილის გახარებაო. შემდეგ
ანგელოზს მიუთითებია მაქვაზე და უკითხავს: ეს რაღა
არისო? ქალს მიუგია: — ეგ მაქვა არისო. მაშინ ანგე-
ლოზს უთქვამს: — მაშ ქვათ იქეციო! ამ სიტყვებზე ქა-
ლი ქვათ ქცეულა! გაწყვეტილა მიწა და თან ჩაუტანია
ქვათ ქცეული ქალი, ბავშვი და მთელი სახლიც. იმ აღ-
გილს კი გაჩენილა ეს ზემოხსენებული ტბა. ამბობენ იმ
სოფელში მცხოვრებნი, რომტბაუძირო არისო და დარ-
წმუნებულიც არიან; უსინჯავთ ბევრჯერ და ას საენ-
ზე მეტ თოკზე მობმული ქვა ჩაუშვიათ, მაგრამ ძირამდის
ვერ ჩაუწევიათ. ამბობენ კიდევ და რწამთ კიდეც, რომ
კითომც ყოველ ხარება დღეს ტბა ამოიტივტივებს საქ-
სლეს, სავარცხელს და რამოდენიმე ხანის შემდეგ ისევ
ჩაიკარგება უფსერულშიო. ძლიერ დიდი მაზარალებელია
ეს ტბა აქაურ მცხოვრებლებისთვის. ვინ მოსთვლის,
რამდესე ხარი, ძროხა, ცხვარი და სხვა პირუტყვები ჩამ-
ხვალა ამ ტბაში. ამისათვის აქაურმა სოფლელებმა ბევ-
რჯერ განიძრახეს თურმე ამ ტბის დაშრობა: უნდოდათ,
რომ კარგა მოზრდილი არხი გაექრათ და წყალი გადა-

ეშვათ, მაგრამ ყოველთვის ხელი მოუცდათ თურმე. ქხ-
ლაც ფიქრობენ, მაგრამ აქაურ მოხუცებს საეჭვოთ მია-
ჩნიათ იმ წყლის გადაშვება და ტბის დაშრობა, რად-
განაც სჯერათ, რომ ის ღვთის ბძანებით გაჩენილი ტბა
არისო, ღმერთი ნებას არ მისცემს, რომ წყალი გადუ-
შვან და ტბა დააშრონ.

ს ფ ხ ე გ ი ბ ი.

(მასალა ნ. ჯანაშიასი)

I

რაზე დგას სამყარო?

აფხაზის ჩრდილოებით, ჩვენი შვენიერი სამყარო დგას, უშველებელ ხარის რქებ შუა, თავზე. სამყაროს გვერდითვე ხარის რქაზე მუდმივათ არის ანგელოზი ღვთისა, რომელსაც ნაბრძანები აქვს უფლისაგან: რაც დედამიწაზე ხვდება მას, უფალს, თავის დროზე მოახსენოს. შემოქმედის ბრძანებითავე ხარის წინ ყოველთვის, მოუშორებლათ არის ერთი დიდი კოლო. ეს უკანასკნელი ნებას არ აძლევს ხარს თავის ადგილიდან დაიძრას, რომ ამ მოძრაობის დროს ხარის რქიდან არ გადმოვარდეს ჩვენი სამყარო (ადუქე). ხან-და-ხან ეს ხარი თავისი მტერი კოლოს შესაშინებლათ გაიქნევ-გამოიქნევს რქებს, რის გამოც ჩვენი დედამიწა დაიძრის. აი, ამ დროს ჩვენ ვამზობთ: დედა-მიწა იძვრისო. თეითონ სამყაროს საძირკველი—ხარი—ვეებერთელა თევზის ზურგზეა გაჩერებული. თევზი კი უძრავადა გაჩერებული ზღვის შუაგულას.

II

სამყაროს გაყოფა და ეჭვაჲ უა.

ეშმაკი, სანამდი ეშმაკათ გადაიქცეოდა, იყო ანგელოზი და საყვარელი დის-წული უფლისა. უფალს ძალიან უყვარდა თავისი დის-წული და დიდ პატივის

ცემაში ჰყავდა. მაგრამ ამ სიყვარულმა და ლვოთის პატივის ცემამ გააძმაყა, გაასულ-დიდგულა იგრ: ღმერთი არაფრად, ჩაგდო და თვითონ ღმერთობა მოინდომა! აგრეთვე უფალს მოსხთოვა ნახევარი სამყარო თავისთვის: „რადგანაც მე შენი დისწული ვარო, სამყაროს ნახევარი მერგება მერკვიდრეობით“. უფალმა ყოველი ლონე ილონა, ყოველი საშუალება იხმარა, შემცდარი ანგელოზი გონზე მოეყვანა, თავისი ცოდვები შეენანიებინა, მაგრამ ამათ: ველარ მოიყვანა გონს, ველარ მოარჯულა. მაშინ უფალმა ეშმაქათ აქცია თავისი საყვარელი ანგელოზი და ვითომ დათანახმდა ქვეყანის გაყოფაზე და უბრძანა ეშმაქს: — რადგანაც ჩემზე უმცროსი ხარ *) შენ გაჰყავიო ორ ნაწილათ ქვეყანა და მე ამოვარჩევ ჩემ წილსო.

— არაო, უბასუხა ეშმაქმა, შენ გაანაწილე და ჩემთვის პირველათ მე ამოვირჩევ ერთ ნაწილსო. უფალი დათანხმდა და ასე გაჰყო ქვეყნიერობა: ერთ ნაწილათ მცენარეულობა დასახა და მეორე ნაწილათ თვით მიწა, ხმელეთი. მაშინ ეშმაქმა სთხოვა უფალს: — ერთი დღე მაღროვე, რომ დავფიქრდე, რომელი ნაწილი ამოვირჩიოვო. უფალსაც ეს უნდოდა და კიდევაც მისცა დაფიქრების ნება. ამ ერთ ლამეს უფლის ბრძანებით ყოველივე მცენარე შვენივრათ აყვავდა და სანახავათ ხანატრელი გადაიქცა. მეორე დღეს ეშმაქი ამ მცენარეთა სიტურფითა და სილამაზით მოიხიბლა და თავის წილა ხვედრათ მცენარეულება ამოირჩია. უფალს გულის საწადელი აუსრულდა. მაშინვე უბრძანა ურჩ ეშმაქს: თავისი წილი მცენარეულობა მიწიდან აეღო და სადაც.

*) აფხაზეთში, საცა ძმები იყოჭებიან, უმცროსშა უნდა გაჰყოს გასაყოფი, რომ უფროსმა თავისს გემოქნებაზე უკეთესი წილი თავისთვის აირჩიოს.

շնորհա, ոյ ֆայլու, մեռլուտ մովուստուս կո մոյ Շորեցիա. աելու կո մոխուդա յ՛Շմայո տացու Շյըլումաս, մագրամ ցանուն ոյու. աեց ճա ամ հոգատ լյուտու ցահենուլու յշըպանա ուսց մաս ջարիս. մեռլուտ յ՛Շմայմա յս ցածեցա ճա տեռցած: — օմատու սյուլցի մանց մոմեցու, զոնց եղան համոցար- ցեցա ճա մոյ պայցան. ամ տեռցանա՛նու յշըպանա օմատ սյու- լցի արցոնա յ՛Շմայմա, զոնց եցու ասցուս դրու լցուս սաեցու ար մուստենա ճա ար տէցա: « լմերտու, մ՛շութունիուտ համութունցան յու ».

III

ԻՆ ԱԿՈՍ ԹՈՎԱՐՈՒՍ ՇԱՑԵԼԵՑՈՒՍԱ?

այսանուս անրուտ, ճամուս կայլուց ցշմաց մտցարյես յ՛Շըպանցի ծոյ (արժ, աթքա) յմուրուցա. ուս մուլամ օմուս լունանու, հոմ հոցուրմեց ճայլուս մտցարյես, հաձ- պանուս ճա մուտ ուսցուաց ծնյուլու ճամբ մտլուգ ճաանց- լուս. մագրամ մաս ամ սա՛նոնցի անրուս Շյըսհոյլցիուս նց- ծաս ար ամլուցեն այսանու, հուտցուսաց այսանու մուլամ ցա- յուպուցիուտցալ-պուրուս ալցոնցի ծոցարուս ճաանցլուցիուս ճա Շյամինցըն տոյ արա մտցարյ ծնյուլցի ծոյ, մա՛նոնց տո- յոցիուս սրուլուս ոլոյցի հոմ ամուտ Շյա՛նոնբ ծոյ ճա ցա- յիլուն. *)

ԻՆ ԱԿՈՍ ԹՈՎԱՐԵՑՎ ՇԱՅՈ ԽԱԼԵՑՈՒ?

յրտ դրույլ յվրու գրեգուացս որու սանածացատ սա- նագրունու, կալմուտ օլոյ՛յըրուլու ճա յնուտ ցամուցույթյմելու սոլամանուս զայո-Շյուլու չպացա. գրեգուս ամատ յերու արա յիծալա հա, մաս ամատից ամուցուուլա մից. յրտեցլ գրեգում Շյոնոննա, հոմ մուս զայցի հաւես յշըպանա ճա յմացուտ սկամեն Շոն սայմելուս. ամատ համուցենումց ենուս Շյըմլցը ևուլ

*) յիշա յի հյոյալութա դացովիկցիաս յմլուա.

დაანებეს თავი საჭმლის ჭამას. ამ გარემოებამ დედა
დიდ საფიქრალსა და საგონებელში ჩააგდო. გამოკითხ-
ვით ვერაფერი შეიტყო. „არა გვშია“ — ეუბნებოდნენ მას
ყოველთვის, როცა საჭმელს შეაძლევდა. მწუხარე დედამ
ყოველივე ღონე იღონა, რათა შეეტყო ამ გარემოების
ნამდვილი მიზეზი. იმან ჩუქ-ჩუმათ სულ შვილების მოქ-
მედებას და ყოფაქცევას დაუწყო თვალ-ყურის გდება.
აკი კიდევაც მიაკვლია მიზეზი. ერთხელ დილა ადრია-
ნათ ვაჟები გავიდენ სახლიდან და ტყისკენ გასწიეს. დე-
დაც მათ შორი ახლო დაედევნა უკან და აირა სურათი
დაინახა მან: შუა გულ ტყეში, ამწვანებული ხის ჩეროში
მისი ვაჟები ორი მზეთ-უნახვა ქალი-შვილის ალექსითა
ტკბებიან, დნებიან!... მათ წინ მოდის მწვანე ხავერდზე ნაირ-
ნაირი საუცხოვო სასმელ-საჭმელები!... საცოდავმა დედამ
ამ სურათით შეშინებულ-გაბრაზებულმა: ვაი, თუ ჩემი
თვალის სინათლე შვილები ამათ წამართებანო და მით
საუკუნოდ დამაობლონო, იქვე ახლოს მდებარე ახალ
ძროხის ნეხვს სტაცია ხელი, აილო ერთი მუქა და, რაც
ძალი და ღონე პქონდა — ესროლა მათ და ერთიანად გა-
სვარა ორივე ქალი-შვილი. ერთი ამ ქალიშვილთაგანი მა-
შინვე მზეთ იქცა, იქვე ახლოს წყლიან თუნგში ჩაძრა,
გაიბანა ტანი და ისე წმინდათ გასწია ზეცისკენ. მეორე
კი მთვარეთ იქცა, ტანის დაბანას არ მიხედა და ისე გა-
ეშურა ზეცისკენვე. თურმე ეს ქალიშვილები ძხე და
მთვარე ყოფილან, რომელნიც მოხიბლულან იმ ვაჟების
სილამაზით და ამიტომაც ქალიშვილების სახით მათთან
სიყვარულით ტკბებოდენ. მზემ, როგორც უფრო გონი-
ერმა, მაშინვე მოიშორა თავისი ჭუჭყი; მთვარეს მიახმა
ნეხვი და დღეს ჩვენ შავ ხალებათ გვეჩვენება. უგნურმა
დედამ თავის უცოდინარობით ვაჟებს ბედნიერება დაუ-

კარგა და ქვეყანასაც მთვარის სინათლე გაუნახევრაო —
ამბობს აფხაზი.

V

ჩათ არ შეუძლიათ ძრებს მპათათვეში წყლის
დალევა?

როცა დიდებული ქვეყნის გამჩენი წყალს აწეს-
რიგებდა ქვეყანაზე, მაშინ მან უბრძანა ყოველ სულ-
დემულს, ამ საქმეში მონაწილეობა მიეღო, როგორც თვი-
თონ უფალი უჩვენებდა. ეს განკარგულება ამიტომ მო-
ახდინა უფალმა, რომ მაშინ ყოველი ცხოველი მეტ
ჰატივს დადებს წყალსო. ყველამ აასრულა დეობის ბრძა-
ნება, გარდა ძერასი. ძერამ იურჩა და ოღარ დაპყვა-
ლოთის ნებას, რისთვისაც უფალშა ეს სასჯელი დაუდო:
აღუკრძალა მყათათვეში, როცა უფრო ჰაპანაქება სიც-
ხეებია, წყლის დალევა. ამიტომაცაა, რომ საცოდავი ძერები
დაფრინავენ, დაყიალობენ და წყალს ეძებენ, მაგრამ სხა-კი
არ შეუძლიათ.

VI

ჩათ იცის კამბეჩა კარგი ცურვა?

როდესაც ცოდვებისა გამო ყოვლად შემძლებე-
ლმა. უფალმა გადასწყვიტა დაესაჯა ქვენიერება წარ-
ლვნით და ნოეს უბრძანა აეშენებინა კიდობანი და შიგ
შეეყანა ყოველ გვარი ცხოველის სათესლე და როცა
ნოემ იღასრულა ეს, მაშინ მან დაინახა, რომ კამბეჩის
საშენებლათ არჩეული ხარ-ფურ-კამბეჩი კარში დარჩა და
შიგ კიდობანში მათთვის ადგილი აღარ არის. კამბე-
ჩის ხსენება რომ არ მოსპობილიყო, ნოე შეეველრა უფალს:
შეენახა ეს ხარ-ფურ-კამბეჩი. ღმერთმაც უსმინა ნოეს
და მისცა იმ ორ კამბეჩს შეძლება და შეგნება, რომ გაპყო-
ლოდენ უკან-უკან ცურვით კიდობანს. აი, რისთვისაც
დღესაც კამბეჩს ცურვაში ტოლი არა ჰყავს შინაურ
ცხოველებში.

მოწყალე მდიდრის უპილი

(ლეგენდა, ზიზაბავრაში ჩაწერილი მესხი კ. გვარამაძისაგან და
ნამბობი ტატურათ ტეფოსაგან).

იყო ერთი მღიდარი და გამოჩენილი ვაჭარი, რო-
მელსაც ერთათ ერთი ნანატრი დედის ერთავაური ჰყავდა.
ეს ვაჭარი იქნობამდისინ სახელ განთქმული იყო, რომ
ხელმწიფესთანაც-კი დიდი მისვლა-მოსვლა და დაახლოება
ჰქონდა.

იმ ხელმწიფესაც ერთათ ერთი დედის ერთა ქალი-
შვილი ჰყავდა. რომ მოესწრა, იფიქრა: „ლუკმა გავარ-
დეს და ჯამში ჩავარდესო“, ქალიშვილის გათხოება მა-
ინც მინდა და გარეულის მიცემას, შინაურისა სჯობიაო,
მოღი ჩემი მეგობრის ვაჟს მივცემ, მზითვათ—მთელ ჩემს
სახელმწიფოსა და სიკვდილის შემდეგაც იმასვე დავუმ-
კვიდრებ ტახტესო. ამ ნაირათ მოყვრობა მალე განუ-
ცხადა თავის მეგობარს. მასაც ესიამოვნა ხელმწიფის
მოყვრობა და იმანაც ახარა თავის ვაჟი-შვილსა. შვილი
საცლა მიეშურებოდა და ამიტომაც პასუხი ვერ მისცა
გამას.

თავის საქმეზე რომ მიღიოდა შვილი, ერთი სახლიდან
მოესმა რაცდა ტირილსავით. შევიდა და ნახა, რომ თა-
ვისი ნაცნობის ყოფილიყო: ჰყავდათ სულ-ამომავალი
ყმაშვილი და იმაზედ გლოვობდენ და წუხდენ საწყალი
დედ-მამა. შესვლისათანავე ვაჭრის შვილმა ნახა შემდეგი:
გაჩნდა სულის ამომრთმევი თავისი საშიშარი ცეცხლის

მახვილით, ამოართვა სული მომაკვდავს და გადასცა ანგელოზთა გუნდს, რომელიც იმ წამსვე გაბრწყინდა. იქვე და მათაც დიდის დიდებით და გალიბით ზეცისა-კენ გაუჰინარეს. ეს ჩვენება რა ნახა, შეშინდა, მარა მასთანვე გამხნევდა. მიუახლოვდა ჭირის-უფალთა, რო- მელნიც მწარედ დაპყვიროდენ ცხედარს (მიცვალებულს) და უთხრა: — ნუ სტირით, თქვენი ჭირიმე, ნუ, ნუ! მაგას რა უჭირს? — აი, მე ვნახე, როგორ მიიბარეს ანგელო- ზებმა მაგ პატარას სული და როგორ დიდის დიდების ქებით ზეცისაკენ გააფრინეს ღმერთისაკენ... იყოს ჩვენი სულის მეოხე; ეგ სატირალი-კი არა და სასიხარულოა მაგის წაბძანება ზეცას: იქნება თქვენი სულის პატ- რონიო. ნეტავი მეც მოვესწრებოდე იმ ნაირ ბელნიე- რებასაო!

რა მოუოხა მტირალ ჭირის-უფალთ, გამოვიდა კარ- ში. იქ დახვდა საშინელი სულის ამომლები და ჰკითხა:

— რას შეშინდი და გამხნევდი, ან და რას ნატ- რობდი, ჭირის-უფალთ რომ უოხებდიო?

— ვნატრობ, მეც ამხალოთ სული ისე, როგორც იმ ყმაწვილსაო, რომ მეც მასთან ვიქნე ზეცას სასუფე- ველში ლვთის მაქებ-მაღიდებლათაო.

— ეგ ადვილი საქმეა და აგხდი სულსაო — უთხრა და გაბრუნდა. შეშინებული ვაჭრის შეილი შეეკითხა: — რო- დის ამართმევ სულსაო? — როცა ცოლს შეირთავ და და- წვები მასთან, იმ დროსაო — თქვა და გაუჰინარდა სულის ამომლები.

ვაჭრის შეილი მეტაზ დააფიქრა უკანასკნელმა სი- ტუვებმა: „როცა ცოლს შეირთავ და დაწვები მასთან, იმ დროსაო“. წავიდა სახლში დაფიქრებული. ამბობდა გულში: თუ შეეირთე ცოლი, მოვკვდები და სიკვდილს

ხოშ სიცოცხლე ჯობიან; აბა რაღათ მინდა ცოლი, თუ ვერ ვიცოცხლებო! ფიქრობდა მეორესაც: რომ, თუ მოკვდებოდა, სამაგიეროთ ცხონდებოდა და ცხონება: წიწყმელას ხომ ჯობდა.

აი, ამ ორმა უდიდესშია და გამოურკვეველმა ფიქრებმა შეიძყრო და გაიტაცა ეს ყმაწყილი კაცი და ბოლოს გადაწყვიტა ასე: მე სულის ცხონებისათვის შევირთავ ცოლს, მარა არა ხელმწიფის ქალსა, რადგანაც, რომ მოკვდები, იმას დარჩება მამა ჩემის ქონება და რათ უნდა იმას ეს, როცა მამა მისის ქონება-სახელმწიფოსაც ვერ მოერევა შესაჭმელათაო. სჯობიან ღარიბლატაკის ქალი შევირთოდო, რომელსაც დავუტოვებ. საჭმელ პურსაო და ეს დიდი მაღლიცააო.

მამას უარი განუცხადა ხალმწიფის ქალის შერთვაზე. ამის გამგონე მამას ეწყინა შვილია უარი და მოინდომა, როგორმე მოეყვანა ნაბაზე. შვილი სულ უარზე იდგა. ერთხელ ვაკრის შვილი დაიარებოდა ქალაქს გარეთ სასეიროთა. დაინახა ერთი ქოხი, ღარიბის სამოსახლო. გაიარა იქ და ნახა, რომ კარ წინ შვენიერი და ლამაზი ქალიშვილი იყო ძველ აკონკილ ტანისამოსში გახვეული. წავიდა იმისაჟენ. ქალიშვილმა რომ დაინახა შვენიერათ ჩაცმული სტუმარი, სიშიშვლის გამო ჩაქუქდა იქვე და დაიწყო მიკალთ-მოკალთიება. წინ რომ მოიკალთებდა, უკან უშიშვლდებოდა, უკან რომ იფარავდა, წინ ეშიშვლებოდა. შეწუხდა და სირცხვილისაგან შეწითლებულმა და შექარხალებულმა დაიწყო სმასა-სმუსი. ყმაწყილი სტუმარიც შეწუხდა მის სიშიშვლეზე და უთხრა: — არა გიქირს რაო. — დედ-მამა გყავსო? ჰკითხა. სირცხვილით დამწერმა თავი დაუქნია ნიშნათ: დიალ მყავსო! — შინ არიანო? იმ გვარათვე ანიშნა: ვა-

ხლავთო. — აბა დამიძახეო — უთხრა ვაჭრის შეიღლმა. უცბათ
წამოხტა, მოტრიალდა და შევარდა შინ. გამოვიდენ იმის
დედ-მამა გარეთ და რო ნახეს უცხო და დიდი სტუმარი, მძი-
მეთ თავი დაუკრეს და მდაბლათ სალაში მისცეს. — ის ქალი-
შეიღლი თქვენია? შეეკითხა ვაჭრის შეიღლი. — ჩვენია,
მიუვეს იმათ. — გათხოვილი ხომ არაა? — არ გახლავთო.
ამოილო ჯიბიდან ერთი ჭაჭვი ოქრო და მისცა: აქედან
ზოგი თქვენ ჭამეთ და ზოგიც მაგ თქვენს ქალიშეიღლს
უყიდეთ და ჩაცვით ტანზედო; მე მსურს შევირთო ცო-
ლათ და მომავალ დროს წავიყავან და ჯვარს დავიშერო.
— თქვენ თანხმა იქნებით ჩემ სიძეობაზედაო? ამათ გა-
უკვირდათ: ეს ვინცდა დიდებულია და ჩენ როგორ
გვიკადრებს, თუ არ ხუმრობსო! ჯერეთ ვერა უთხრეს
რა პირველ შეეკითხვაზე, რადგანაც ხუმრობა ეგონათ;
მეორე, კითხვაზე კი — თქვენი ნებააო, უთხრეს და ამ-
პირობით წავიდა შინ ვაჭრის შეიღლი, რომ შეერთო და
ნიშნულ დღეს ის ღარიბი ქალიშეიღლი.

მივიდა სახლში და მამას გამოუცხადა თავისი აზრი.
მამას ეწყინა და თან უკვირდა, რომ ხელმწიფის ქალს არ ირ-
თავდა და უბრალო ღატაქს კი. რა რო ვერ მოიყვანა შეიღლი
თავის ნებას, არც მისი ნება გატეხა იმ აზრით, რომ ოჯა-
ხი არ გაგვიცივდება და გვარი არ ამოვარდებაო: შეირ-
თოს და ვინც უნდა — იყოსო.

ვაჭრის შეიღლმა გამართა შესაფერი ქორწილი და მი-
იყვანა თავისი ღანიშნული ღარიბის ქალი. იქორწილა
დიდუბულათ. სალაშის რომ შევიდენ ნეფე-დედოფალი
საწოლ ოთახში და იხდიდენ ტანთ, მოარაკუნა ვინცდამ
კარებს. გაულეს კარი და ერთი მტირალი მათხოვარი
ქალი შევარდა.

— თქვენ საბედნიეროთ მომხელეთ! ასე-ასე ამდენი წერილ-შვილი ობლები მყავს, რავდენიმე დღეა, მაც არა უკამიათ რა, შიშველ-ტიტულები, მშიერნი ტირიან და თვალებს მტიკნიან, რომ გვაჭამე დედავ რამეო... გავიგე თქვენი გაბედნიერება და მოვედი, იქნება გადამარჩინოთ მათ უბედურების მზერასაო; ამაღამის ვაშამი შეაწიე ჩემ წერილ-შვილს მშიერთ ობლებსო...

აღგა ნეფე და ტომარა ქადებით და ნაზუქებით გაუცხო, და მისცა: წაიღე და აქმეო. — ამდენს ვერ ვზიდამო — უთხრა მტირალმა ქალმა. — სახლი შორს ხოარააო? — ახლოს გახლავთო — მიუგო ქალმა. ნეფემ ჩაიცაა ნახევრათ გახდილი ტანსაცმელი ჟ ფეხსაცმელი, წამოიკიდა ის ტომარა და დედოფალს უთხრა: შენ დაწევი, მე ახლა მოვალო, და თვითონ გაჰყვა მტირალსა. შევიდა, ნახა მტირალი შიშველ-ტიტველა, მშიერი ყმაწვილები. ტომარა რომ ჩამოილო, მიცვივდენ ყმაწვილები, ალარ აცალეს პირის გახსნა და მიგლიჯ-მოგლიჯეს კბილებით ტომარა, ამოილეს ქალები და ნაზუქები და დაიწყეს საცოდავათ გლეჯა და ლუქმება. რომ მოიბრუნეს სული, დაიჩიქეს და მალა ხელ-აპყრობით დაიწყეს ლოცვა: „უფა, უფა!... ჩვენი ქადის მომტანს მიე ღიღი დღე, რომ ბევრ-ბევრი მოგვიტანოს საჭმელადაო.“

ამის მნახველი ნეფე დაბრუნდა შინისკენ და შათ დაუბარა: ხვალაც მოდით მამა ჩემის სახლში და კიდევ გამოგიგზვნინ საჭმელსო.

მივიდა შინ. დედოფალი დაწოლილიყო. გაიძრო საჩქაროთ. თვითონაც რომ დაწვა დედოფალთან და მიეხურა, გაჩნდა სულის ამომლები და უთხრა: მოემზადე სასიკვდილოდაო!.. ნეფეს თავიდან ფეხებამდის შიშის

ზრიან ტელმა და სასიკვდილო ჰაერმა დაუარა. ამ დროს
გაჩნდა ანგელოზი და უთხრა სულის ამომლებს: ნუდა
ართმევ მაგას სულსა! უსმინა ღმერთმა მშიერობოლ-
თა ლოცვასა და ვედრებასაო. მაშინ სულის ამომლები
უჩინარი გახდა ანგელოსთანვე ერთად. დაწყნარდა ში-
შისაგან აკანკალებული ნეფე, გახარდა ამისთანა ხილვა-
ზე და თავისი თავი დიდ ბედნიერათ ჩააგდო, თითქმ
მეორედ დაიბადაო, ისე ეგონა. მას შემდეგ ობოლთა
და მშიერთ უწყო ჭამა-სმა და შიშველთ შემოსვა და
მის ცოლთან მამა მისის ჭონებაზე ბედნიერათ ცხოვრებდა.